



რუსულან ზექალაშვილი

ეროვნული  
სიმუზიუმი

# ქართული მეტყველების კულტურის საპითხები

ნაკვეთი პირველი



Հայոց պատմութեան  
բառ այշիկը առ

միլիոն

10. III. 04

რუსულან ზექალაშვილი



ინტერნეტ-გვერდი  
სიმულაციების

## ქართული მატყველების კულტურის საკითხები

ნაკვეთი პირველი

დედაენის იდუმალი სამყარო  
(კითხვარითა და ტესტებით)

1450/2003

თბილისი  
2003

821.353.1 282 + 821.353.1 282  
 კუძღვნი ჩემი მშობლების - დამსახურებული პერვოუნი  
 ნათელი ნიკოლაიშვილისა და პროფ. რაფიელ შამქლაშვილის  
 მამა გიორგი შემოქმედის შემოქმედის  
 მამა გიორგი შემოქმედის

1 ჭრა 2010 ერთობლივ - სხ  
 2 ჭრა 2010 ანთა ცინა

ნაშრომში მოთხოვბილია ქართული ენის, დაალექტებისა და ანბანის შესახებ, ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაზე, ჩვენი დედაენის ადგილზე მსოფლიოს ენათა შორის. გამოყენებულია შ.ძიმიგურის, ზ.ჭუმბურიძის, თ.გამყრელიძის, რ.პატარიძის, ლ.კინწურა-შვილისა და სხვა ავტორთა ნაშრომები, მეტყველების კულტურის საკითხებზე გამოქვეყნებული მასალები, მათ შორის ტექნიკური უნივერსიტეტისთვის გამოცემული სახელმძღვანელო (რედ. ლ.კიკვაძე, თ.ჯაგონიშვილი) და სხვ.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისა და ქართული ენით დაინტერესებული მკითხველისათვის. მას თან ერთვის კითხვარი და ტესტები.

რედაქტორი: ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფ.  
 რამაზ ჭურდაძე

ტაქტიკური: ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფ.  
 კონსტანტინე კაკიტაძე

წ/119.8/3





ქართული ენა უდიდესი ისტორიისა და კულტურის ცენტრი  
რომელსაც აქვს ერთ-ერთი უძველესი და ძალიან დახვეწილი ანაბი.

ქართულად შემონახულია მსოფლიო მნიშვნელობის წარწერები და  
ხელნაწერები, მაღალი დონის თხუთმეტსაუკუნოვანი მხატვრული  
ლიტერატურა.

ქართული ერთიანი საქართველოს სახელმწიფო ენაა, საერთო-  
ეროვნული და სალიტერატურო, პოლივალენტოვანი ანუ  
მრავალმხრივი ფუნქციის მქონე, რადგან ქართული ენა მეცნიერების,  
ტექნიკის, მასშედის, განათლების, ახალი სამეცნიერო-ტექნიკური  
ტერმინოლოგიის საბაზისო ენაა.

ქართულმა შემოგვინახა და გადაარჩინა ბერძნული,  
ბიზანტიური, სპარსული და არაბული მწერლობის ძეგლთა  
თარგმანები, რომელთა დედნებიც დაკარგულა (აპოლიტე რომაელის,  
მიტროფანეს და სხვ.). მაგალითად, სპარსული რომანის „ვის ო  
რამინის“ სპარსული ტექსტის დასადგენად იშველიებენ მის  
ბრწყინვალე თარგმანს ქართულად („ვისრამიანს“).

აკად. ნ. მარი ქართულ ენას უწოდებდა „ძვირფას სპეცალის“,  
„ქართველობის არსების უდიდეს განძს“.

ქართული ენა წილნაყარია უდიდესი ცივილიზაციის ენებთან,  
მოწმეა წინა აზიის ისტორიული ცხოვრებისა.

ხანგრძლივი და მნელი გზა განვლო ქართულმა  
სალიტერატურო ენამ, რომელიც ყოველთვის ასრულებდა ქართველი  
ხალხის გამაერთიანებელ ფუნქციას. ჯერ კიდევ X საუკუნეში დიდმა  
ჰაგიოგრაფმა გიორგი მერჩულემ გამოხატა ეროვნული ერთიანობის  
იდეა, რის საფუძვლადაც მან ენა აღიარა: „ქართლად ფრიადი ქუე-  
ყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უმი  
შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღსრულების“, ე. ი. საქართველოდ  
ითვლება ყველა ის კუთხე, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად  
მიმდინარეობსო. მაშასადამე, მან ენა ჩათვალა ჩვენი ერთობის მთავარ  
ნიშნად და იარაღად.

დიდი ხანი არაა, რაც სტუდენტობაშ და ინტელეგნციაშ  
ბრძოლით შეუნარჩუნა ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი და  
1978 წლის შემდეგ ყოველ 14 აპრილს დედაენის დღეს ვზეიმობთ.

ჩვენი დიდი წინაპრები შესანიშნავად ხვდებოდნენ დადგუნდენის  
მნიშვნელობას კროვნული თვითმყოფადობისა და შეობის  
შესანარჩუნებლად, ერთიანობის განსამტკიცებლად და უძველეს  
ქართველებთან ჩვენ გვაკავშირებს მხოლოდ ენა, რომელიც ჩვენს  
თავზე დატრიალებული მრავალი ქარტეხილისა და უბედურების  
მოწმეა. ვარ. თოვეურია წერდა: „ქართულ ენაში ასახულია, როგორც  
ეს ყველა ენაში ხდება ხოლმე, მისი შემქმნელი და მატარებელი  
ხალხის, ამ შემთხვევაში ქართველი ერის წარსული, აწყო და  
მომავალი, მისი ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება“, რადგან „ენა  
არის ხალხის მეობის ძირითადი ნიშანი“ (არჩ. ჩიქობავა). თითოეულმა  
დაბატურობელმა შემოიტანა ენაში თავისი სიტყვები (საარსული,  
არაბული, თურქული...), მაგრამ ქართულმა შეძლო ამ ზეწოლის  
მოგერიება, არ გადაგვარებულა, შეინარჩუნა თავისი სახე და ფუნქცია.

მ. მაჭავარიანის სიტყვები გავიწსენოთ:

„ქართული მარტო ენაა?!“

ქართული ქართველთ რწმენაა,

ღმერთია!

ბედისწერაა!

ზღვა როა! –

იმოდენაა!“

დიდი ხანი არაა, რაც განგაშის ზარად გაისმა ამ შესანიშნავი  
პოეტის სიტყვები:

„კი, მაგრამ ...

ღმერთი აღარაა?!“

ბნელა? –

ქართული იქნებ ვინმეს ნორჩი ჰეონია ენა!!“

იაკობ გოგებაშვილის „აი იათი“ აღზრდილებს თითქოს აღარ  
უნდა გვჰირდებოდეს გამოფხიზლება და იმის შეხსენება, რომ  
მოყვრულად მოსული მტერი უფრო საშიშია!

სიტყვა „უცხო“ არ უნდა გვხიბლავდეს და გვაბრმავებდეს,  
რომ არ წაგვლეკოს ინგლისურმა სიტყვებმა, რუსიციზმებმა,  
ვულგარულმა გამოთქმებმა, ჟარგონმა და ბილწსიტყვაობამ (სხვათა  
შორის, ინგლისური სიტყვების მოძალებასა და ენის დანაგვიანების  
საფრთხეზე განგაშს ტეხენ ისეთი ძველებიც, როგორებიც არიან:  
გერმანია, საფრანგეთი და სხვ.). უცხოური ენებით მოდურმა

გატაცებამ მშობლიური არ უნდა დაგვაეიწყოს და უდიერად მოყოფასა /  
არ გაგვაძევინოს: „ვნა არ გაწყენს არც ქრთი, უნდა მუცულუკი  
რამდენიც, მაგრამ ეს უნდა იცოდე – მშობლიურებუ მოყვიწერებუ“  
(მ. მაჭავარიანი).

დიდმა იაკობმა დედაენას უწოდა „ბურჯი ეროვნებისა“,  
ამიტომაც აღმართეს „დედაენის“ ძეგლი საქართველოში, მაგრამ  
ქართულს სჭირდება მოვლა, პატრონობა, ზრუნვა, თითოეული  
ჩვენგანის ძალისხმევა, პასუხისმგებლობის გრძნობა ენის წინაშე, რომ  
ვწეროთ და ვიმეტყველოთ დახვეწილი ქართულით, ვიკითხოთ ბევრი  
და გავიმდიდროთ სიტყვათა მარაგი. ეს ყველას საქმეა და არა  
მხოლოდ ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ენის პალატისა თუ  
სპეციალისტებისა.

მაგრამ ერთია ენისთვის ძეგლის დადგმა, მისადმი მიღვნილი  
დღესასწაულის დაწესება, ენის კანონისა თუ პროგრამის მიღება და  
მეორეა საქმე. ილიასი არ იყოს: „შენმა სამშობლომ საქმე რომ  
მოვთხოვოს, მაშინ რასა იქმ?“ მართლაც, რეალურად ვაფასებთ კი  
დედაენას? ვიცავთ მის სიწმინდეს? კითხულობს კი ახალგაზრდობა  
ქართველ კლასიკოსებს? სამწუხაროდ, ამ მხრივ არცთუ  
სახარბიელოდა საქმე.

ყოველ ქართველს უნდა ახსოვდეს, რომ მსოფლიოში არ  
არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც ქართულად წერენ და მეტყველებენ,  
რომ მხოლოდ ჩვენ ვართ დიდ ქართველ მოაზროვნეთა, მოღვაწეთა  
მემკვიდრენი. ამიტომ გვმართებს კარგად ვიცოდეთ ჩვენი დედაენის  
ისტორია, მისი ადგილი და მნიშვნელობა მსოფლიო ენათა შერის.  
უნდა გავაცნობიეროთ, რომ დედაენის გარეშე ჩვენი აზროვნება ვერ  
განვითარდება და სხვაგვარად ჩვენი საზოგადოების წინსკლა  
შეუძლებელია.



## თავი პირველი: მნა და საზოგადოებრივი ურთიერთობა

### §1. მნისა და საზოგადოების ურთიერთობის განვითარება

კაცობრიობის ისტორია უშუალოდაა დაკავშირებული ენის განვითარებასთან. ფიქრობენ, რომ ენები უკვე არსებობდა 5.000-6.000 წლის წინათ. თითოეული ადამიანის ცხოვრება შეუძლებელია ენის გარეშე, რადგან ის ენის მეშვეობით აგებინებს სხვას საკუთარ აზრებს, განცდებს, სურვილებს. ადამიანი ვერც აზროვნებდა ენის გარეშე, რადგან აზრი ყალიბდება მხოლოდ ენის ფორმებში. ენის, მეტყველების გარეშე კაცობრიობის წინსვლა და კულტურის განვითარებაც შეუძლებელი იქნებოდა. ცხოველისაგან ადამიანი განსხვავდება სწორედ მეტყველების უნარით. ამიტომაც უწოდა ქართველმა ცხოველს „პირუტყვი“ (ანუ არამეტყველი) და ადამიანს – „მეტყველი“.

მართალია, ზოგიერთ ცხოველს (მაგალითად, თუთიყუშს) შეუძლია მიპაპოს ადამიანის ხმას, წარმოთქვას სიტყვები ან მთელი წინაღადადებები, მაგრამ ეს არის მხოლოდ იმიტაცია და არა – დანაწევრებული მეტყველება, ლოგიკური ცნებით აზროვნება. საერთოდ „ცხოველის ენა“ მეტაფორაა. ცხოველებს აქვთ მხოლოდ ვიზუალური აზროვნება და არა – ცნებითი და აბსტრაქტული, თუმცა შეუძლიათ გარკვეული ინფორმაციის გადაცემა. მაგალითად, ფუტკარს ან ჭიანჭველას აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის ძალზე დახვეწილი და გასაოცარი უნარი, თურმე ჭიანჭველა 60-მდეც კი ითვლის. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ფუტკარს შეუძლია თავისებური ცეკვით საკმაოდ ბევრი რამ გააგებინოს სხვა ფუტკრებს. ძალიან განვითარებული აქვთ ინფორმაციის გადაცემა-მიღების სისტემა დელფინებს და ა. შ. მაგალითის მოყვანა კიდევ ბევრის შეიძლება, მაგრამ „ცხოველის ენა“ ოდნავაც ვერ შეეძრება ადამიანისას.

ენა ადამიანთა ისტორიის უტყუარი მოწმეა. ის გაცილებით ადრე შეიქმნა, ვიდრე უძველესი წარწერები თიხის ფირფიტებზე ან არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ეპიგრაფიკული ძეგლები.

ენა და საზოგადოება იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ უერთმანეთოდ კერც იარსებებუნ. ენა განპირობებულია მხოლოდ საზოგადოების არსებობით და მის გარეშე კვდება. ტაცროგი გამოიყენება ისტორიაში ცნობილია უძველესი ქულტურის ბევრი ენა, დღეს რომ აღარ არსებობს. მაგალითად: აქადური, ურარტული, შუმერული, ხეთური, ძველეგვიპტური, ლათინური და სხვ. მართალია, ლათინური კარგა ხანს დარჩა მეცნიერების ენად, დღესაც გამოიყენება მედიცინაში, მაგრამ ლათინურად არავინ აზროვნებს ან მეტყველებს. ახ. წ. I საუკუნეში, ოულიუს კეისრის დროს, ლათინური რომის იმპერიაში ერთადერთი სალიტერატურო ენა იყო (ახლანდელი იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის ტერიტორიაზე). ლათინურად წერდნენ ციცერონი, ოვიდიუსი, ვირგილიუსი, ტეტ ლივიუსი, მაგრამ მას თანდათან აღარ ხმარობდნენ, როგორც დედაქანას და ენაც მოკვდა. ლათინური შეცვალა იტალიურმა, ფრანგულმა, ესპანურმა და სხვა ნაკლებად აკადემიურმა, მაგრამ ცოცხალმა სასაუბრო ენებმა.

საზოგადოებისგან დამოუკიდებლად ადამიანი კერც დაიწყებდა ლაპარაკს. ბავშვი ბუნებრივ გარემოში ადვილად სწავლობს ენას. ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, როცა მცირეწლოვანი ბავშვები მოხვდნენ (ცხოველებს შორის (მგლებთან, მაიმუნებთან, დათვებთან, ლეოპარდებთანაც კი), აღიზარდნენ სოციუმისაგან (საზოგადოებისაგან) მოწყვეტით. როცა ისინი იპოვეს, ცხოველებივით ოთხ ფეხზე დარბოდნენ, ღმუოდნენ, ყმუოდნენ, ფრუტუნებდნენ, იკბინებოდნენ და იკაწრებოდნენ, შემდეგ უკვე ვეღარ შეეგუნ ადამიანურ გარემოს, ვერც დანაწევრებული, აზრიანი მეტყველება შეძლეს (რამდენიმე მარტივი სიტყვისა და უმარტივესი ფრაზის გამორჩების გარდა). ცნადა, სინამდვილეში რ. კიბლინგის „მაუგლის“ მსგავსი შემთხვევები გაცილებით ტრაგიკულად მთავრდება.

მეცნიერებს აღნუსხული აქვთ რამდენიმე საინტერესო შემთხვევა: 1694 წელს ლიტველი დათვის ბავშვმა და 1731 წელს ნაპოვნმა უნგრელმა ტომაკომ შეძლეს ენის შესწავლა. 1799 წელს იპოვეს ავერონელი ველური ბავშვი ვიქტორი, რომელიც ზედებოდა, რას ეუბნებოდნენ და შეეძლო კითხვა.

1828 წელს აღმოჩინეს ნიურნბერგელი კასბარ ჰაუზენი, ხოლო 1970 წელს – ამერიკელი ჯენი. პირველი დაზვეწილად მეტყველებდა, ჯენიმ კი შეძლო მაშინვე ესწავლა რამდენიმე სიტყვა.

ასეთ ანომალიებს უწოდებენ გლოსოგენეტიკურ მოვლენებს და მათ მეცნიერების ბევრი დარგი სწავლობს: სოციომილოგია, ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია, სემიოტიკა, ნეიტროლიტიკა, ლინგვისტიკა და სხვ. (იხ. „ბურჯი ეროვნებისა“, 2000, №10-11). ასეთ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე მეტყველებისა და აზროვნების, ენისა და საზოგადოების ურთიერთობის მეცნიერულად გაანალიზებისათვის.

## §2. ენის ფუნქციები

1. ენის უპირველესი დანიშნულებაა კომუნიკაციის დამყარება ანუ ურთიერთოგაგებინება. ამიტომ ენის პირველ და მირითად ფუნქციად ასახელებენ საკომუნიკაციოს (ლათ. *communicatio* – „ვატყობინებ“).

2. ენის მეორე ფუნქციაა ექსპრესიული ანუ აზრის გამოხატვისა (ლათ. *expressio* – „გამოვხატავ“). ენა გამოხატავს ემოციასაც (ამას ფატიკურ ფუნქციასაც უწოდებენ). აზროვნება შეუძლებელია ენის გარეშე. ენაში ხდება ურთულესი პროცესი: წარმოდგენების გარდაქმნა ცნებებად, შემდევ კი ბევრების საშუალებით სიტყვებად ჩამოყალიბება. ადამიანის აზროვნება ცნებითი ანუ აბსტრაქტულია. ყოველი სიტყვა ცნებაა. საკუთარი სახელიც კი შეიცავს გარევეულ განზოგადებას. მაგალითად, „უანი“ გვეუბნება, რომ ეს ადამიანის სახელია, კერძოდ, მამაკაცისა, სავარაუდოა, რომ ეროვნებით ფრანგია, „ხორხე“ – მამაკაცის ესპანურ წარმომავლობაზე მიგვითითებს, „ვლადიმირი“ – რუსულზე, „იოკო“ – იაპონურზე, „პანსი“ – გერმანულზე, „მზისა“, „მზევინარი“ – ქალთა ქართული სახელებია და ა.შ.

3. ზოგი მეცნიერის აზრით, ენის მესამე ფუნქცია არის შემცნებითი. ამბობენ, რომ ესაა აზრის დანაწევრებითი ანუ არტიკულაციური ფუნქცია. ადამიანი სამყაროს აღიქვამს ენის (დედანის) პრიზმაში. ყოველი ენა წარმოადგენს მსოფლალქმის განსხვავებულ მოდელს, სამყაროს აღქმისა და შემცნების სისტემას.

უბრალო დაკვირვებითაც ჩანს, რომ სინონიმური სიტყვებიც კი სხვადასხვა ენაში მნიშვნელობით აბსოლუტურად იღენტური არაა.

მაგალითად, ქართული „შვილი“ რუსულში, გერმანულსა და ინგლისურში უნდა დაკონკრეტდეს სქესის მიხედვით: сын, der Sohn, son – ვაჟიშვილი; დოჩა, die Tochter, dauther – ქალიშვილი; Tante, aunt – ქართულად სამი სიტყვით გადმოცემა: დეჭბა, უამინდა, ბიცოლა; „სამშობლო“ გერმანულად არის die Heimat ან das Vaterland (მამული – მამის ქვეყანა), ქართულში კი – მშობლის ქვეყანა; „ხელთათმანი“ გერმანულად ხელის ფეხსაცმელია: der Handschuh; „სათითური“ – თითის ქუდი – der Fingerhut; „ცისარტყელა“ – წვიმის თაღი ან რკალი - der Regenbogen; „გარდაცვალება“ ქართულში გულისხმობს არა სამუდამო გაქრობას, არამედ სხვად ქცევას, არსებობის სხვა ფორმაში გადასვლას. „წუთისოფელი“ მთელი ცხოვრებისეული ფილოსოფიაა, რომ ეს ცხოვრება წუთივით სწრაფად გადის.

ქართულ რთულ სიტყვებში: ქალ-ვაჟი, ცოლ-ქმარი, და-ძმა, დედ-მამა, დედობილ-მამინაცვალი, დედალ-მამალი და სხვ. პირველ ადგილას ქალის აღმნიშვნელი სიტყვა დგას, რითაც მეცნიერები ასკრინან, რომ ეს ქალის პატივისცემის დიდი ტრადიციის მიმანიშნებელია; „სულთმობრძავი“ – მომაკვდავი ადამიანი თითქოს საკუთარ სულს ებრძვის; „გათვალისწინება“ ქართულად თუ წინ გახედვას გულისხმობს, გერმანულად უკან (ზურგისკენ) მოხედვაა - berücksichtigen; საინტერესო ეტიმოლოგისაა ქართული სიტყვები: თვალსაწირი, ყურის დაგდება, ყურად იღო, გულისხმიერი, ხელის შეშლა, ხელის გამართვა, ზურგში ამოდგომა, მხრებში გამართვა ...

ეროვნული განუმეორებლობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ფრაზეოლოგიაში: კოვზი ნაცარში ჩაუკარდა, გული ჩასწყდა, გულზე მოეფონა, თავში აუკარდა, წყალს ნაყავს, თვალში ნაცარს გვაყრის, თავსლაფი დაასხა, ცა გაეხსნა, შეაყრა ქედელს ცერცვი, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა, ენით ზურგს იფხანს, სახე მოედრუბლა და ა.შ.

ქართველი მისალმებისას „გამარჯვებას“ უსურვებს მეორეს და გამოთხვებისას – მშვიდობას (გამარჯობა! მშვიდობით!). ასევე: დილა მშვიდობისა! ღამე მშვიდობისა! რუსი – ჯანმრთელობას (Здравствуйте!), გერმანელი – კარგ ღღეს (Guten Tag! Guten Morgen!); ბავარიაში მიღებულია მისალმებად Grüß Gott! (ღმერთი მოგესალმოს)! საახალწლოდ ზოგ კუთხეში უსურვებენ ბედნიერ მოსრიალებას (ყინულზე) – Guten Rutsch zum Neujahr! და ა.შ.

ყოველი ადამიანის ცნობიერება ყალიბდება დედაქნის სამყაროში და მისი მოდელის მიხედვით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შექმნეს წინაპრებმა. ეს ენობრივი მოდელები სამყაროს მისეული აღქმა განუმეორებელია ყოველი კონკრეტული ფრთხია თვის.

მაშასადამე, ენის სამი ფუნქციიდან – 1. საკომუნიკაციო, 2. ექსპრესიული, 3. შემეცნებითი – ძირითადია მაინც საკომუნიკაციო (ზოგი მეცნიერი გამოყოფს ენის კიდევ ერთ ფუნქციას – პიროვნების განმსაზღვრელს ანუ ადამიანის მიმაკუთვნებელს სოციალური ჯგუფისთვის – Identitätsstiftende Funktion. თუ ენა ამ ფუნქციას დაკარგავს, ის თანდათან კვდება, როგორც ეს დამართა ბევრ ძველ ენას, მაგ., ლათინურს).

არნ. ჩიქობავა წერს, რომ ვახტანგ VI-ის ამაღლის შთამომავლობას ენა დაავიწყდა და ამიტომ თანდათან გვარტომობაც შეეცვალათ. ბულგარული ენა სლავური ენაა, ტომით კი ბულგარულები თურქული მოდგმისანი არიან. ახლა ბულგარულებს სლავებად მიიჩნევენ, რადგან ენამ შეცვალა ხალხის მეობის შეგნებაო. ასე რომ, ენა განსაზღვრავს ეროვნულობას და სახელმწიფოს არსებობისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

### §3. ენის საფუძველი

მაინც რას ეყრდნობა თითოეული ენა? რისგან შედგება ის? რით განსხვავდება ერთი ენა მეორისგან? ყოველი ენის საფუძველს (ბაზისს) ქმნის: 1. ბერითი შემადგენლობა, 2. ლექსიკური ფონდი და 3. გრამატიკული წყობა.

ენის ყველაზე მცირე ერთეულია სამეტყველო ბერა ანუ ფონემა. ყოველ ენაში განსაზღვრულია ბერითი შემადგენლობა. ქართულში 33 ბერაა (5 ხმოვანი და 28 თანხმოვანი), ზოგ ენაში – მეტი, ზოგან – ნაკლები (ფონემათა მინიმალური ზღვარია 15, მაგრამ მაღალური კი – 70-80). ჩვენ გვესმის უამრავი ხმა, მაგრამ სამეტყველო ბერა დანაწევრებული ბერაა, ადამიანის სამეტყველო აპარატით წარმოთქმული. ცხოველის მიერ გამოცემული ხმები

დაუნაწევრებელია (ყუილი, ღრიალი, ფრუტუნი, ჭიხვინი, წრიკმჩი, კნავილი, ყველა, ღმუილი და სხვ.).

ბგერების შექრთებით მიღლება სიტყვები, რაც ჟმენის რუსულექსის იკუთხურ ფონდს - ყველა სიტყვის ერთობლიობაში და უძლიერი უკავებელი ფონდი უნდა იყოს. ზოგი სიტყვა ძველდება (არქაიზმები, ისტორიზმები) ან მნიშვნელობა ეცვლება, იქმნება ახალი სიტყვები (ნეოლიგიზმები), ხდება სესხება სხვა ენებიდან.

მაინც რამდენი სიტყვაა ენაში? ამის ზუსტი აღნუსხვა შეუძლებელია. მაგ., კომპტონის ენციკლოპედიის თანახმად, ინგლისურ ენაში 500.000 სიტყვაა, სხვა წყარო კი 750.000-ს ასახელებს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში 113.000-მდე სიტყვაა, მაგრამ ეს რაოდენობა სულაც არ ამოწურავს ქართული ენის მთელ ლექსიკურ მარაგს. ლექსიკონში არაა შეტანილი უამრავი ტერმინი, დალაქტური სიტყვა, ფარგლეული სიტყვა და სხვ.

ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე დედაენაში არსებული სიტყვების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს იყენებს, თუმცა პიროვნების ლექსიკის სიმდიდრე დამოკიდებულია განათლების დონეზე, წიგნიერებაზე, სპეციალობაზე, საქმიანობის სფეროზე.

გამოთვლილია, რომ გაუნათლებელი უბრალო ადამიანის ყოველდღიური ლექსიკონი ძალზე შეზღუდულია (მხოლოდ რამდენიმე ასეულ სიტყვას მოიცავს). ლინგვისტების გამოთვლით, საშუალოდ ადამიანის სიტყვათა მარაგი 2.000 - 10.000-ია. ამა თუ იმ გამოჩენილი მწერლის ენა კი საოცრად მდიდარია და ათი ათასობით განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულს ითვლის (მაგ., შექსპირის, სერვანტესის, დანტეს, პუშკინის, რუსთაველის, გალაკტიონის და სხვ.). ბიბლიაში გამოყენებული ყოფილა 7.200 განსხვავებული სიტყვა. უილამ შექსპირის სიტყვიერი მარაგი კი თურმე ითვლის 24.000 ლექსიკურ ერთეულს, აქედან მხოლოდ ერთხელ გვხვდება - 5.000. ინგლისელ პოეტსა და ესეისტს ჯონ მილტონს გამოუყენებია 17.000 სიტყვა... არსებობს სპეციალური სიმფონია-ლექსიკონები, სადაც აღნუსხულია ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებებში გამოყენებული ყველა სიტყვა თავისი განსხვავებული ფორმებით (მაგ., ქართულ ენაზე არსებობს სახარება-ოთხთავის, „ვეფშისტყაოსნის“ სიმფონია-ლექსიკონები, ნ. ბარათაშვილის, აკ. წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ენის ლექსიკონები...).

ენის ლექსიკა ერთგვაროვანი არაა წარმოშობის მიხედვით: ზოგი სიტყვა ძირულია, ზოგიც – ნასესხები უცხოური ენებიდან. ლექსიკაში ცვლილებებს განაპირობებს ქვეყნის უსრულობელი პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა, შეურწოების განვითარება, სხვა ქვეყნების როლი ქვეყნის პოლიტიკასა და მეურნეობაში და ა.შ.

მაგრამ ენა მარტო სიტყვები არაა. მხოლოდ გარკვეული წესების დაცვით შეიძლება მათი ურთიერთდაკავშირება და გამართული წინადადებების შედგენა. ამისთვის საჭიროა ენის გრამატიკული წყობა: მეტყველების ნაწილების ფორმაცვალება (მორფოლოგია) და მათი ურთიერთდაკავშირება (სინტაქსი). მაგ., 3-4 წლის ბავშვიც კი არ იტყვის ასეთ არასწორ წინადადებას „ბიჭი შევჭამე ატამს“.

თუ ცალქე ავიღებთ სიტყვებს: ქარი, რხევა, სარკმელი, იასამანი, ტოკვა, წინ, მე – მათ შინაარსი აქვთ, მაგრამ მხოლოდ გრამატიკული წესების დაცვით შეიქმნება გალაკტიონის პოეტური ფრაზა: „ქარი არხევს და ატოკებს ჩემ სარკმლის წინ იასამანს“.

უძველესი ადამიანი პრიმიტიულად აზროვნებდა და ასევე მარტივად ლაპარაკობდა. „ეს არის ძაღლი“, „ეს არის ზე“ იოლი სათქმელია, მაგრამ, როცა მწერალმა V საუკუნეში თქვა: „მოვიდა მგელი იგი ვარსექნ“, „შეიქმნა და დადნა, ვითარცა ავლი“ ან „სანთელი ჩემი დაშრიტა და ყვავილი ჩემი დააჭირ“ – ეს მეტაფორული აზროვნების მაღალ დონეზე მიუთითებს. ენამ განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო, სანამ შოთა იტყოდა: „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა გულსა მდუღრად ანატირსაო“ ან ვაჟა: „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინიო“.

სამყაროს აღქმა მხატვრული სახეებით მხოლოდ ადამიანთა განვითარების მაღალ საფეხურზე შეიძლება, რადგან ესთეტიკური ფენომენის ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესია. აზროვნების მეტაფორიზაცია მაღალგანვითარებულ ადამიანს გულისხმობს.

ყველა ენას აქვს საკუთარი გრამატიკა, რაც ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერებითაა განსაზღვრული და ისტორიულად ჩამოყალიბებული, თუმცა ისიც იცვლება, არაა ერთჯერ და სამუდამიდ დამკვიდრებული.

მორფოლოგიური ნიშან-თვისებები ედება საფუძვლად ენათა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას.



შსოფლიოში 2.500-5.500-მდე ენაა. ჭირს ზუსტი რეცეპტებს უდასახელება, რადგან ბევრი ენა არაა სათანადოდ შესტაციული რაოდენობას უძლია სათქმელია, დამოუკიდებელი ენაა ის თუ დიალექტი. ზოგჯერ ენათა დაყოფას პოლიტიკური ან რელიგიური საფუძველი აქვს და არა - ლინგვისტური. მაგ., ძალიან ჰებრეუს ერთმანეთს ჩეხური და სლოვაკური, რუსული და ბელორუსული, აზერბაიჯანული და თურქული, რუმინული და მოლდავური, სერბიული და წორვატული, მაგრამ მათ მიიჩნევენ არა დიალექტებად, არამედ ენებად.

მეცნიერები დიდი ზანა ექცედნუნ უპირველეს ენას. უამრავ ხალხს აქვს ლეგენდა შექმნილი ამის შესახებ. ჯერ კიდევ ანტიკურ ზანაში დაისვა ფილოსოფიაში პრობლემა, როგორ დაურქვა საგნებს სახელი: შეთანხმების მიხედვით თუ თვით საგნების ბუნების მიხედვით. თუ საგნების ბუნებაა გადამწყვეტი, მაშინ ყველა ენაში მსგავსი უნდა იყოს სიტყვები, ეს კი ასე არაა. შდრ.: წყალი – вода (რუსული) – das Wasser (გერმანული) – aqua (ლათინური) – water (ინგლისური) – l'eau (ფრანგული) – ,ab' (სპარსული), ქიმიაში – H<sub>2</sub>O; პური – хлеб (რუსული) – das Brot (გერმანული) – bread (ინგლისური) – lexem' (ებრაული) და ა. შ.

ენის წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში გავრცელებული იყო რამდენიმე თეორია. მაგ.: „ხელის ენის“, ზმამიბაძვითი, შორისდებულების ანუ წარმაბილების და სხვ.

ა) „ხელის ენის“ (უსტიკულაციის) თეორია აღიარებს, რომ ადამიანები პირველად ერთმანეთს აგებინებდნენ უსტი-მიმიკის, ხელების საშუალებით. შეიძლება ასეც იყო, მაგრამ უსტიკულაცია ხომ ენა არაა.

ბ) ონომატოპოეტური ანუ ზმამიბაძვითი თეორიის მიხედვით, სიტყვები ენაში წარმოიშვა ზმის მიბაძვით, მიმსგავსებით. მართლაც, ბევრი სიტყვა ასე შექმნილი, მაგრამ სხვადასხვა ენაში განსხვავებულად აღიქვამენ ცხოველებისა და ფრინველების ზმებსაც კი. ქართველისათვის მამალი იძახის „ყიყლიყო“-ს, რუსისთვის – კუკარეკი-ს, გერმანულად – Kikeriki-ს ინგლისურად – cock-a-doodle-doo-ს. ზმამიბაძვითი სიტყვებია ქართულში: ბაყაყი, წიწილა, ჭრიჭინა, გუგული, წიწკანა... უამრავი ზმა და სახელზმნა: წიკწიკი,

ტიკტიკი, რატრატი, თქარათქური, რახარუხი, ყიყინი, სიხინი, ჭიკჭიკი, ღველავი, ღმუილი, ყმუილი, ბზუილი, ღრიალი, ჭრიალი, კიკინი, კაკანი, წიწინი, შიშინი... რუსულად: კვაკა, რიჩა, მაუკა, კუდახთა, კარკა, კუკუშკა... გერმანულად: mjauen, muhen, piepsen, picken, quaken, blähen, wiehern და ა.შ.

გ) შორისდებული არის ემოციებისა და გრძნობების გამოხატველი სიტყვა, უნებური წარმოახილი. ასეთი სიტყვები ბევრ ენაში ჰგავს ერთმანეთს, რადგან სხვადასხვა ემოციის გამოხატვა ადამიანებში ზოგადად მაინც მსგავსია. მაგალითად: ვაი, უი, უჰ, აჰ, ვაჰ, ვიშ, ეჰ, ჰე, ჰა-ჰა, ჰაუ, ვაშა, თფუი, ფუჰ... რუსულად: ой, ай, ага, ого, увы, ура, тьфу ... გერმანულად: oh, weh, hoho, hora, puh, au, ah, wau, ps, hm...

მაგრამ შორისდებულთა მსგავსება სრულებით არ ჰყენს ნათელს ენის წარმოშობის რთულ პროცესს.

დ) ენის წარმოშობის შესახებ არსებობს ე.წ. სინერგეტიკული თეორია, რომლის მიხედვითაც, ენა წარმოიშვა საზოგადოებაში ერთობლივი შრომის პროცესში აზრის გასაზიარებლად.

გარდა მეცნიერული თეორიებისა, მრავალმა ხალხმა შექმნა საინტერესო ლეგენდები და თქმულებები, რომლებშიც ყველა ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს დედამიწაზე უპირველესი ენა სწორედ მისი იყო.

XIX საუკუნეში იმდენად ბევრი თეორია და შეხედულება დაგროვდა ენის წარმოშობის შესახებ, რომ პარიზის საუნათმეცნიერო საზოგადოებამ 1866 წელს განაცხადა, მოხსენებებს ამ საკითხზე აღარ მივიღებოთ. მართლაც, უპირველესი ენის ძიება დღეს თითქმის წარმოუდგენელი და აბსურდულია. მეცნიერებამ ვერ ამოხსნა თავდაპირველი ენის საიდუმლო.

გავიხსნოთ ი. ჰერდერის ერთი შეხედვით პარადოქსული აზრი: „ადამიანი ადამიანად იქცა მხოლოდ ენის მეშვეობით, მაგრამ ენა რომ შექმნა, ის უკვე ადამიანი უნდა ყოფილიყო“ (იხ. H. Buhmann, Lexikon der Sprachwissenschaft, გვ. 493).

მართლაც, შეიძლება იმის განსაზღვრა, ცოცხალ ენათაგან რომელია ბევრი, რომელი – შედარებით ახალი, თუმცა ამა თუ იმ ენის ზუსტი ასაკის დადგენაც ვერ ხერხდება. მაგ., ძალზე ძველია

მკვდარი ენები (აქადური ანუ ასურულ-ბაბილონური, შუმერული, ხეთური, ძველეგვიპტური, სანსკრიტი - ძველი ინდური სამწერლობრენა, ფინიკიური, არამეული და სხვ.).

ამბობენ, რომ დღეს არსებულ ენები ყველაზე ძველია ინდოეთში სპილოების მდევრების – მაჲაუტების ენა.

მექსიკაში, ოაქსაკას შტატში ლაპარაკობენ ე.წ. მაცატეკოს ენაზე (ძირითადად ქალები). ესაა კომუნიკაცია სტევენითი მეტყველებით, რასაც ახასიათებს ტონი, რიტმი, ტემპი. ამ დროს ხდება მოკლე ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და ასეთი მეტყველება გამოიყენება არაოფიციალურ საუბარში ყოველდღიურობაში („ბურჯი ეროვნებისა“, 2000, №5).

ცოცხალ ენებში უძველესთა შორის უნდა დავასახელოთ: ჩინური, ებრაული, სირიული, ბერძნული, სომხური, ქართული და სხვ. თუმცა მათი თავდაპირველი სახის აღდგენა დღეს ვერ ხერხდება, რადგან ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ისინი შეიცვალნენ. ამბობენ, რომ ქართული ენა შედარებით ნელა იცვლებოდა, ამიტომ ჩვენს ხელთ არსებული ძველი ქართული ტექსტების შინაარსს დღესაც ვიგებთ. იმავეს ვერ ვიტყვით ძველბერძნულზე, ძველსომხურსა და სხვა ენებზე.

საინტერესოა ერთ-ერთი სემიტური ენის – ძველებრაულის ბედი. ეს ენა ბიბლიის ენად რჩებოდა საუკუნეების მანძილზე. ძველებრაულ ენაზე შექმნილი უძველესი ლიტერატურული ნაწარ-მოებია ძვ.წ. XII საუკუნით დათარიღებული „დებორას სიმღერა“, რომელიც ბიბლიაში შევიდა, ე.ი. ამ ენას სამიათასწლოვანი ისტორია მაინც აქვს. ძვ.წ. I ათასწლეულის შუაში ძველებრაული აღარ იხმარებოდა სასაუბრო ენად და დარჩა რელიგიურ პრაქტიკაში, მაღალი სტილის საულიერო და საერო ლიტერატურაში. XVIII-XIX საუკუნეებში სალიტერატურო ენად თანდათან ჩამოყალიბდა ივრითი.

მე-19 საუკუნის II ნახევრიდან კი მას იყენებდნენ ყოველდღიურ სასაუბრო ენად (აშკენაზური და სეფარდული გამოთქმით). და აი, მოხდა კაცობრიობის ისტორიაში უჩვეულო რამ: აღორძინდა მკვდარი ძველებრაული ენა, რომელიც 18 საუკუნე მხოლოდ წიგნებსა და ლოცვებში ცოცხლობდა, და იქცა ხალხის ცოცხალ სასაუბრო ენად.

ივრითის აღორძინებას XIX საუკუნის ბოლოს სათავეში ჩაუდგა 20 წლის სტუდენტი ელიეზურ პელერმანი (მისი ფსევდონიმი

ცალკე ვერ გამოყოფთ რიცხვისა და ბრუნვის ნიშნებს. სიტყვა „დედა-თა“ შეიძლება ასრულებდეს მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების ფუნქციებს (წინადადებაში). უკრანული

ქართული ენის აგლუტინაციურობა განსაკუთრებით იჩენს თავს ზმნებში, სადაც თითოეულ აფიქსს თავ-თავისი ფუნქცია აქვს. მაგ., გა-მ-ა-კეთ-ებ-ინ-ა (მან მე ის). გა-ზმნისწინი, მ-ი ირ. ობ. პირის ნიშანი, ა-საარვისო ქცევის ნიშანი, -კეთ-ძირი, -ებ-თემის ნიშანი, -ინ- შუალობითი კონტაქტის ნიშანი, -ა III სუბიექტური პირის ნიშანი. ქართული ზმნა 14-მდე კატეგორიას გამოხატავს აფიქსებით: სუბიექტურ ან ობიექტურ პირს, რიცხვს, დროს, კილოს, ასპექტს, ქცევას, კონტაქტს, აქტს, სიტუაციას, გვარს და სხვ. ანუ ვინაა მოქმედი პირი, ვისთვისაა დანიშნული მოქმედება, რაზე ან ვისზე ხდება ეს მოქმედება; როდის, რამდენჯერ, ვისი მეშვეობით, მოქმედი აქტიურია თუ პასიური და ა. შ.

გ) ფლექსიურ ენებში გამოყენებულია ბრუნვისა და პირის ნიშნები, ხმოვანთა ცვლა (ფუძის დრეკა). ერთ მორფემას რამდენიმე ფუნქცია აქვს.

ფლექსიურია: ინდოევროპული, სემიტურ-ქამიტური ენები.

მაგ., გერმანული der Bruder (მმა) – die Brüder (მმები), ინგლისურში man – men (კაცი – კაცები), რუსულში друг –друзья; книг/ам – მიც. ბრუნვაა მრ. რიცხვში, მაგრამ ცალ-ცალკე ვერ გამოიყოფა მათი ნიშნები, -ამ ბრუნვასაც აღნიშნავს და რიცხვსაც.

ამას გარდა გამოყოფენ ანალიზურ და სინთეზურ ქვეჯგუფებს. ანალიზურ ენებში გრამატიკული მნიშვნელობები გამოიხატება დამხმარე სიტყვებით (მაგ., ინგლისური ენა), სინთეზურში კი – თვით სიტყვის ფორმით (მაგ., რუსული ენა).

მაგ., ბავშვი მიღის (ახლა). ინგლისურში - the child is going.

მასწავლებელი აწერინებს მოსწავლეს წერილს.

გერმანულად: der Lehrer lässt den Schüler einen Brief schreiben.

წერილი მწერება – The letter is written (Egl.). Der Brief wird geschrieben (გერმ.).

დ) პოლისინთეზურ ენებში ზმნა აერთიანებს მთელ წინადადებას და სიტყვა წინადადებას ნიშნავს.

მაგ., ინდიელთა ერთ-ერთ ენაზე (ჩინუკ ენა) i-n-i-á-j-u-d-am ნიშნავს: მე მოვედი, რომ მივცე ეს მას; ამერიკელ ინდიელთა ენაზე

ninaj-kwa-nak (მე-ხორც-ჭამ) ნიშნავს „მე ხორცს ვჭამ“. ამ ტიტანისაა ჩუკოტკურ-კამჩატკური და ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ენები. ერთ დროს მეცნიერები ცდილობდნენ ენათა ჭუკოტკურ-კამჩატკურ-გრიბის გამოყოფილობის და გამოყოფილობის განვითარებული (პრიმიტიული) და განვითარებული ენები. ასეთი მიღომა არამეცნიერული და მოუღებელია.

2. გენეალოგიური კლასიფიკაცია ენებს ნათესაობის ანუ წარმოშობის მიხედვით აჯგუფებს.

ფიქრობენ, რომ მონათესავე ენები მომდინარეობენ საერთო ფუძეებისაგან, რომელსაც დროთა განმავლობაში გამოყოფილი დალექტები, ხოლო თანდათან ისინი ენებად იქცნენ.

ენების ისტორიული განვითარების შედარებით დგინდება მათი მსგავსება-განსხვავება. ისტორიულ-შედარებითი ანუ კომპარატივისტული მეთოდი ლინგვისტიკაში დაამკვიდრა XIX საუკუნეში გერმანელმა მეცნიერმა ფრანც ბოპმა; ამ მხრივ დიდია რასმუს რასკის დამსახურებაც.

ენათა ნათესაობის დასადგენად უნდა ჩამოყალიბდეს რეგულარული, კანონზომიერი ბეჭრათშესატყვისობები. ცხადია, მნიშვნელოვანია შესადარებელ ენათა გრამატიკული და ლექსიკური სისტემებიც.

სხვადასხვა მეცნიერი ენათა მეტ-ნაკლებად განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს. დღეს 20-მდე ენათა ოჯახს გამოყოფენ, მაგრამ ენათა ყველა ჯგუფი არაა სათანადოდ შესწავლილი და ამდენად, კლასიფიკაციაც პირობითია.

ენათა ოჯახებია: ინდოევროპული, სემიტურ-ქამიტური, თურ-ქულ-ალათაური (ანუ თურანული), უნგრულ-ფინური, ჩინურ-ტიბეტური, დრავიდული, იბერიულ-კავკასიური, მონღოლური, პალეოაზიური, ავსტრალიის, პაპუა-ენების; ჩრდილო, ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის, პალეოაფრიკული, ამერიკის ენები (ზოგი მეცნიერი უწოდებს ამერინდურ ენებსაც)...

ოჯახებში, თავის მხრივ, გამოიყოფა ენათა შტოები (ჯგუფები).

ა) ყველაზე უკუთაა შესწავლილი ინდოევროპულ ენათა ოჯახი. მასში შედის ენათა რამდენიმე ჯგუფი: ინდური, ირანული (სპარსული, ოსური...), სლავური (რუსული, უკრაინული,

პოლონური...), ბალტიკური, გერმანიკული (გერმანული, ინგლისური, დანიური, შვედური...), რომანული ანუ იტალიკური (ლათინური, ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუმინული), ბერძნული, ორენცული (ძველსომხური, აზალსომხური), კელტური, ალბანური და სხვა მართლისა. ამ რეაცია ინდოევროპული ენები დღეს ხუთივე კონტინენტზეა გავრცელებული, ხუთი საუკუნის წინათ კი მხოლოდ ევროპასა და აზიაში გვხვდებოდა (ინდოეთში, ირანსა და კავკასიაში). ამ ოჯახს უწოდებენ ასევე „ინდოევროპულს“.

ბ) სემიტურ (ანუ სემიტურ-ქამიტურ) ენათა ოჯახში შედის:

1. სემიტური ენები: არაბული, ძველებრაული, აქადური, არამეული, ასირიული (ასურული ანუ აისორული), ფინიკიური; 2. ქამიტური ენები: ძველეგვიპტური, კოპტური, კუშიტური ...

ფინიკიურ, უგარიტულ და ძველებრაულ ენებს უწოდებენ ქანანურს.

„სემიტური“ და „ქამიტური“ ბიბლიური წარმოშობის სახელებია.

შენიშვნა: ნ. მარი თვლილა, რომ უნდა გამოიყოს ეწ. „ნოეტური“ ენები, სადაც შევა სემიტური, ქამიტური და იაფეტური (ანუ ქართველური) ენები.

გ) ალათაურ-თურქულ ანუ თურანულ ენათა ოჯახში შედის: თურქული, თათრული, აზერბაიჯანული და სხვ.

დ) ქართულს აკუთვნებენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს. თვით საქართველოში გავრცელებული ზოგი ენა სხვა ენათა ოჯახს ეკუთვნის. ამიტომ გვოგრაფიულია ცნება კავკასიის ენები, ხოლო გენეალოგიური – კავკასიური (ან იბერიულ-კავკასიური) ენები, სადაც 40-მდე ენა შედის. მაგ., კავკასიაში ინდოევროპულია სომხური (არმენული ჯგუფის), ოსური (ირანული ჯგუფის), რუსული, უკრაინული (სლავური ჯგუფის), ბერძნული; თურქულ-ალათაურია – აზერბაიჯანული.

გენეალოგიურ კლასიფიკაციაში განცალკევებით დგას ბასკური და იაპონური ენები. ზოგი მეცნიერი ბასკურს აკუთვნებს იბერიულ-კავკასიურ ენებს, თუქოსდა არსებობდა უსკარო-კავკასიურ ენათა დიდი ოჯახი, მაგრამ ეს ნათესაობა ჯერ არაა დადგენილი.

ამბობენ, რომ იაპონური ენათესავება რიუკიუულ ენას, მაგრამ ენათა რომელიმე ოჯახს ვერ მიაკუთვნეს (ზოგჯერ განცალკევებულად მიიჩნევთ კორეულ და აინუურ ენებსაც).

სხვადასხვა დროს მეცნიერები ცდილობდნენ უნათა ეს დაკვეფებები გაერთიანებინათ მაკროვახებად (მაგ., ნოსტრატული მაკროვახანი – ვ. მ. ილიჩ-სვიტიჩის მიხედვით, ევრაზიული რეზი გრინბერგის მიხედვით და სხვ.).

ყველა მსგავსი ცდა მიზნად ისახავდა ენათა ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული სურათის დაღვენას, თუმცა ეს ძალზე ძნელი და ნაკლებპერსპექტიული საქმეა.

გერმანელი ენათმეცნიერების აზრით, ენების არსებობა ივარაუდება 5-6 ათასი წლის წინათ (კაცობრიობის ისტორია კი დაახლოებით მილიონ წელს მოიცავს).

## §6. მნა და პოლიტიკა

ენობრივი პოზიცია პოლიტიკის უშუალო შემადგენელი ნაწილია. ეთნოკონფლიქტები და ეროვნული დაპირისპირებანი ეროვნული ენის ჩაგრისა და დისკრიმინაციის შედევია. ადამიანები მტკიცნეულად განიცდიან ენობრივ დამცირებას, შევიწროებას, რადგან მცირერიცხოვანი ერები ხშირად იღვნებიან და იჩაგრებიან.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ენას პოლიტიკის სამსახურში აყენებდნენ, კრძალავდნენ მშობლიურ ენაზე სწავლას და ხალხს აჩეჩებდნენ მისთვის გაუგებარ უცხოურ ენას.

ქართველ ხალხს ზან გათათოება ემუქრებოდა, ზან – გარუსება, ახლა კი ჩენივე ნებით ვცდილობთ საკუთარი შეილები უცხოენოვან ბაღებში, სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში შევიყვანოთ, რითაც მშობლიურ ენას სულ უფრო ვავიწყებთ. ცნობილი ფაქტია, რომ ბავშვობაში დავით კლდიაშვილსა და მიზეილ ჯავახიშვილს სკოლაში ქართული დავით შესწავლა. გავიხსენოთ, რას მოგვითხრობს აკაკი წერეთელი „ჩემს თავგადასავალში“, როგორ ზრდიდნენ მეფის რუსეთის ერთგულ მოხელეებს საქართველოში და ბავშვებს ქართულად სიტყვის თქმისთვისაც კი მკაცრად სჯიდნენ. მაშინ ყოველგვარ ეროვნულს კლავდნენ და აბუჩად იგდებდნენ, სახელმწიფო

დაწესებულებებში რუსულად მიმდინარეობდა საქმის წარმოება, სასამართლოში უბრალო ხალხს არაფერი ესმოდა...

ერთ დროს ანტიეროვნული პოლიტიკის გამტკმცველების ჩააგონებდნენ, ქართველები გჩაგრავენო, გულშემატკიცის ნიღაბაფარებულნი აქეზებდნენ, უარი ეთქვათ ქართულ განათლებაზე; უკიფინებდნენ, დაწერათ სახელმძღვანელოები მეგრულად, დაეტყვდათ უურნალ-გაზეთები, ეთარგმნათ ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებები და ა.შ.

თურქეთში მცხოვრებ ლაზებს თურქულმა პოლიტიკამ თითქმის გადაავიწყა საკუთარი მოდგმა, ჯიში, ზოლო ლათინურენოვანი ანბანის ხელში შეჩეჩებით საკუთარ ფესვებთან მისასვლელი გზებიც მოუჭრა.

საკაოდ შეზღუდულია ინგილოების უფლებები აზერბაიჯანში, ხშირად არ მიღის მათთან ქართული უურნალ-გაზეთები, ვერ ისმენენ ქართულ ტელე- თუ რადიოგადაცემებს.

არასწორი ენობრივი პოლიტიკა, როგორც წესი, მცირერიცხოვან ერებს ეხება და მათ წინააღმდეგაა მიმართული.

მაგ., ბასკები ესპანეთსა და საფრანგეთში ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ და გამუდმებით სჭირდებათ საკუთარი ენისა და უფლებების დაცვა.

ინგლისში შოტლანდიელები და უელსელები განიცდიან გაბატონებული ენის ზეწოლას.

ენათმეცნიერ ლილი გოქსაძეს მოჰყავს ნაწყვეტი ამერიკელ ლინგვისტ რიჩარდ როდრიგესის სტატიიდან, სადაც ავტორი ჰყვება, რა ძნელი იყო მისთვის ლიტერატურული ინგლისურის დაუფლება, რადგან ოჯახში ესპანურად ლაპარაკობდნენ. ამის გამო ის საზოგადოებასა და სკოლაში შებოჭილი იყო. შიშისაგან გაკვეთილებზე ხმას არ იღებდა. მხოლოდ შშობლების ხელშეწყობით დაძლია ეს შიში, როცა დედ-მამა ოჯახში ინგლისურად აღაპარაკდა (თუმცა დამახინჯებულ ინგლისურზე-გრინგოზე). როდრიგესი მალე წარჩინებულ მოსწავლედ იქცა, დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ, სამწუხაროდ, დაირღვა ოჯახური იდილია. მოხდა ერთგვარი გაუცხოება დედ-მამასთან (იხ. „ბურჯი ეროვნებისა“, 1998, №1). მაშასადამე, ენობრივმა პოლიტიკამ გააბატონა ინგლისური ენა და საზოგადოებაში წარმატების მიღწევის საწინდარი გახადა.

ნაციონალიზმი, თუკი ის გულისხმობს საკუთარი კრისა და ენის სიყვარულს, პატივისცემას, დაცვა-განვითარებას, ცხადია, საჭირო და მისასალმებელია, მაგრამ უკიდურესი ნაციონალურობა შეიძლება გადაიზარდოს შოვინიზმში, სხვა ერების სიძულვით შიგონება ფაშიზმი და ნეოფაშიზმიც საფარველად ეროვნულ იღებს იყენებს და ამით ეწევა სპეციალისტებას. ყოველგვარი რასიზმი თუ ანტისემიზმი დამღუპველია ადამიანებისათვის.

ვიცით, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტებში ენობრივი პოლიტიკაც ერია.

საქართველოში ძირითადი მოსახლეობა (70%) არის ქართველობა, მაგრამ აქ ცხოვრობენ სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები, ოსები, უკრაინელები, ქურთები, ებრაელები და სხვ. ქართველებს მათთან ყოველთვის კეთილმეზობლური დამოკიდებულება ჰქონდათ. საქართველოში არასოდეს ყოფილა ებრაელთა რბევა და დევნა, რაც ასე ხშირი იყო სხვა ქვეყნებში; ოცდაექვსაუკუნოვანი მეგობრობა არ დაივიწყეს ისრაელში ასულმა ებრაელებმა, რომელთაც საქართველოს მიწისა და ენის მაღლი გაჰყვათ. ისინი უშვებენ ქართულ გაზეთებს, უურნალს, ჩამოაყალიბეს ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, თეატრალური დასი და აქვთ ქართული რადიოგადაცემებიც. როგორც ამბობენ, სხვა ქვეყნიდან ასულ არც ერთ ებრაელს არა აქვს ასეთი ნოსტალგია და სიყვარული დატოვებული ქვეყნისადმი.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ენას უდიდესი ძალა აქვს და პოლიტიკასთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

## §7. ინტერნაციონალური, ნაციონალური (ეროვნული) და ხელოვნური ენები

ეროვნული ენა ემსახურება ერს, თუმცა ის ყოველთვის არაა სახელმწიფო ენა. მაგალითად, აფრიკაში რამდენიმე ნაციონალური ენაა, მაგრამ სახელმწიფო ენა ზოგან ინგლისურია, ზოგან – ურანგული და მაღალ კლასებში მოსწავლეები ამ ენებზე სწავლობენ. ინდოეთში ნაციონალური ენებია: ჰინდი, ბენგალური, ურდუ და სხვ., სახელმწიფო ენა კი ინგლისურია.

დღეს არსებული ენებიდან ემრავლესობა ტრამისტრია, რომელთაც სახელმწიფო ენის სტატუსი არა აქვთ, მხოლოდ 300-ოდე არის ოფიციალური ენა.

მაგალითად, ფრანგული სახელმწიფო ენაა შესტატუსი, ბელგიაში, შვეიცარიაში, კანადაში, ჰაიტისა და მონაკის რესპუბლიკებში. ინგლისური სახელმწიფო ენაა: აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, კანადაში, ირლანდიაში (აფრიკის 15 სახელმწიფოში ერთ-ერთი ოფიციალური ენა ინგლისურია).

1997 წელს გაეროში 185 ქვეყანა შედიოდა. მის სამუშაო ენებად გამოცხადებულია: ინგლისური, ფრანგული, რუსული, ესპანური, არაბული და ჩინური ენები.

ნატოს სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული.

ევროგაერთიანებაში 11-ვე ენა თანაბარუფლებიანია: დანიური, გერმანული, ინგლისური, ფინური, ფრანგული, ბერძნული, იტალიური, ნიდერლანდიური, პორტუგალიური, შვედური, ესპანური.

ენებისა და სახელმწიფოების რიცხვი, ცხადია, სრულიად განსხვავებულია. დღესდღეობით მსოფლიოში რამდენიმე ასეული სახელმწიფოა, სადაც ლაპარაკობენ 5.500-მდე ენაზე (როგორც აღნიშნეთ, ენათა რაოდენობის რიცხვი, სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, მერყეობს 3500-დან 5500-მდე).

ზოგ სახელმწიფოები ერთი სახელმწიფო ენაა, ზოგან – რამდენიმე. ზოგი ენა კი რამდენიმე ქვეყანაშია სახელმწიფო ენად გამოცხადებული. მაგალითად, შვეიცარიაში სახელმწიფო ენებია: გერმანული, ფრანგული, იტალიური, რეტორმანული; კანადაში: ინგლისური და ფრანგული; ბელგიაში: ფრანგული და ფლამანდი. ესპანური სახელმწიფო ენაა ესპანეთში და ლათინური ამერიკის 19 ქვეყანაში, არაბული – აზისა და აფრიკის 20-ზე მეტ ქვეყანაში (პალესტინა, ეგვიპტე, სირია, ერაყი).

ადგილობრივ მაცხოვრებელთა ეროვნულ ენას უწოდებენ ავტოქ-ტონურს, კოლონიზატორთა ენას კი – ეგზოტონურს (მაგალითად, ინდოეთში – ინგლისური, ლათინურ ამერიკაში – ესპანური ან პორტუგალიური, აფრიკის ზოგ ქვეყანაში – პორტუგალიური).

შეუძლებელია სახელმწიფო ენად გამოცხადდეს ქვეყანაში მცხოვრები ქვეყანა ეროვნული უმცირესობის ენა. მაგალითად,

გერმანიაში ცხოვრობენ დანიელები, სერბები, ფრიზები, თურქები, იტალიელები, ბერძნები, ესპანელები და სხვ. მაგრამ სახელმწიფო ენად ვერ გამოაცხადებენ ამ ენებს.

კუნძულ ჰაიტიზე ოფიციალური ენაა იჯინ-ენა (**ჰიტელური**), რომელიც წარმოადგენს ინგლისურისა და ადგილობრივი ენის ნარევს (სხვადასხვა ქვეყანაში სერიოზულად არიან შემფოთებული ინგლისური ენის მასობრივი შემოჭრის გამო, რასაც უწოდეს „მონდიალიზაცია“—გამსოფლიურება; ლინგვისტები თუ პოლიტიკური მოღვაწეები წუხან, რომ ბევრ ენაში საოცრად მომრავლდა ინგლისური და ამერიკული სიტყვები).

საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობის მიხედვით: ამ მხრივ პირველ ადგილზე დგას ჩინური ენა (მილიარდზე მეტი ადამიანი), მეორეზე — ინგლისური, რომელიც 322 მლნ ადამიანისათვის არის მშობლიური ენა (ამათგან მხოლოდ 55 მლნ ცხოვრობს დიდ ბრიტანეთში). ინგლისურს, როგორც მეორე მშობლიურ ენას, 400 მლნ ადამიანი იყენებს, ხოლო როგორც უცხო ენას — 800 მლნ.

ენების უდიდეს ნაწილზე ძალზე ცოტა ადამიანი ლაპარაკობს (მათ ზურაბ ჭავჭავაძის უწოდებს „ლილიპუტ“ ენებს, ხოლო ძალზე გავრცელებულებს — „გოლიათ“ ენებს).

მაგალითად, თითქმის გადაშენდა აფხაზურ-ადიდეური წარმოშობის ჩრდილოკავკასიური ენა — უბისური (რამდენიმე ათეული კაცი თუ ლაპარაკობს); წოვათუშურ ანუ ბაცბურ ენაზე საუბრობს 3.000-მდე ადამიანი (ახმეტის რაიონი, სოფ. ზემო ალვანი); უდიურ ენაზე ლაპარაკობს 9.500-მდე ადამიანი (უდებს თვლიან ძველ ალბანელთა შთამომავლებად, ისინი ცხოვრობენ საქართველოში — ყვარლის რაიონში და აზერბაიჯანში), ბოთლიხურზე — 3.000-მდე, კაპუჭურ (ბეჟიტურ) ენაზე — 2.500 კაცი; კეტურად (კრასნოიარსკის მხარეში) — 2.500 ადამიანი, ნიხვურად (კსახალინზე და ამურის შესართავთან) — 4.000-მდე; იაკუტიაში არის ოდულური (იუკაგი-რული) ენა, რომელზეც მხოლოდ 250-მდე ადამიანი ლაპარაკობს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თითოეული ენა, იქნება ის მცირერიცხვან თუ მრავალრიცხვან ხალხთა ენა, კაცობრიბიბის მონაპოვარია, საჭიროა მისი დაცვა და ზრუნვა იმისთვის, რომ არ გაქრეს და გადაშენდეს იგი.

ინტერნაციონალური ანუ საერთაშორისო ენგბის ფუნქციას დღეს ასრულებს ყველაზე გავრცელებული ნაციონალური ენგბი: ინგლისური, ესპანური, ფრანგული, რუსული (ყოფილი კულტურული კავშირის ხალხებში და ყოფილ სოციალისტურ ძველებში). ლათინური შეუსაუკუნეებში ინტერნაციონალური ენა იყო კათოლიკური სამყაროსთვის, არაბული კი – მაკმადიანურისთვის.

გარდა ბუნებრივად ჩამოყალიბებული (ადამიანური) ენგბისა, არსებობს ეწ. ხელოვნური ენგბიც: საერთაშორისო დამხმარე ენგბი, ფორმალურ-ლოგიკური, პროგრამული და ნიშანთა ენგბი (ჟესტ-მიმიკის, მორჩეს ანბანი...). ლაპარაკობენ მუსიკისა და პლასტიკის ენებზეც (მუსიკალურ ხელოვნებაში, ქორეოგრაფიაში, პანტომიმაში).

კარგა ხნია მეცნიერები ფიქრობდნენ ხელოვნური საერთაშორისო ენგბის შექმნაზეც. XVII-XX საუკუნეებში ამისთვის 1.000-მდე პროექტი შეიქმნა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე განხორციელდა. ზოგი ხელოვნური ენა ბუნებრივი ენგბისგან დამოუკიდებელი იყო, ზოგს მათგან ნასესხები ჰქონდა მასალა, ზოგიც ორივე ტიპის ნარცეს წარმოადგენდა. წერილობით-ბერით სისტემებს უწოდებენ პაზილალიებს, საყოველთაო წერითი სისტემის მქონეს – პაზიგრაფიებს. ცნობილია სანოტო ანბანით (და ბერებით) გამოხატული მუსიკალური ენა „სოლრესოლი“ (1817-1866), ასევე ციფრებით, ფერებით, ჟესტებით გამოხატული ენგბი...

1879 წელს გერმანიაში ი. შლაიხერმა შექმნა ხელოვნური ენა „ვოლაპუკი“, რომელშიც გამოიყენება ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ლათინური და სხვ. სიტყვები (ინგლისური word > vol, speak > puk > volapük, ე.ი. მსოფლიო ენა).

1887 წელს პოლონეთში შეიქმნა ხელოვნური ენა – ესპერანტო, რომელიც ყველაზე მეტად გავრცელდა. საფუძველი ჩაუყარა ვარშაველმა ექიმმა ლ. ლ. ზამენჰოფმა (მისი ფსევდონიმი იყო „ესპერანტო“, რაც ნიშნავდა „იმედიანს“). ამ ენაში გამოყენებულია ინტერნაციონალური სიტყვები (ძირითადად რომანული წარმოშობისა, გვხედება გერმანული და სლავური ელემენტებიც), გრამატიკა შედარებით მარტივია, მკაცრად იცავს წესებს. სულ ძირითადია 16 გრამატიკული წესი, მეტყველების ნაწილებისათვის

გამოყენებულია 11 დაბოლოება (0 -არსებითი სახელებისთვის, ა - ზედსართავი სახელისთვის, e - ზმნიზედისთვის...).

1887 წელს შექმნილი იყო 927 ძირი, 1970 წელს ქანკალების შემთხვევაში რიცხვმა 16.000-ს მიაღწია. ესპერანტოზე ბევრი მხატვარული ფანტასიური სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურაა თარგმნილი, 1984 წელს ამ ენაზე მუშაობდა 9 რადიოსადგური, ხოლო 1987 წელს აღინიშნა ესპერანტოს 100-წლიანი იუბილე.

ცნობილია კიდევ სხვა ხელოვნური ენებიც: იდო ენა (1907წ.), ლათინო-სინე-ფლექსიონე (1903 წ.), ოქციდენტალი (1921-1922წწ.), ინტერლინგვა (აშშ, 1951წ.), ნოვიადი (1928, დანია) და სხვ.

სპეციალიზებულ, ხელოვნურ ენებად ითვლება პროგრამული ენები ეგმ-თვის. 1957 წელს აშშ-ში შემუშავდა „ფორტანი“, 1960 წელს - „ალგოლ-60“, 80-იანი წლებისთვის არსებობდა 500-ზე მეტი პროგრამული ენა (ბეისიკი, ალგოლ-68, პასკალი, ადა ...).

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ინტერნაციონალურ ლინგვისტურ საზოგადობას სურდა შეექმნა უნივერსალური საერთაშორისო ხელოვნური ენა. ენათმეცნიერთა კამათში ასეთი ენის შესახებ სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: ჰ. შუხარდტი, ჰ. მეიერი, ბოდიუენ და კურტენე, XX საუკუნეში - ა. მეიე, ო. იესპერსენი, ე. სეპირი, კ. ულენბეკი, შ. ბალი, უ. ვანდრიესი და სხვ.

ყოველ ასეთ ფდას საბოლოო მიზნად ჰქონდა კაცობრიობისთვის საყოველთაო ენის შექმნა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთი ინტერნაციონალური ენა ვერასოდეს შეცვლის მშობლიურს და ვერ დაიკავებს მის ადგილს. არამეცნიერულია ერთი ზოგადსაკაცობრიო ენისა და საბოლოოდ ერთი ერის შექმნის იდეაც. ეს შეხედულება პოპულარული იყო კომუნისტური იდეოლოგიისათვის და ზოგიერთი ვაი-მეცნიერი თავსაც იწონებდა ამ „პროგრესული“ და „ხელსაყრელი“ იდეით.

შეუძლებელია ოდესმე ერთნაირად და ერთ ენაზე ილაპარაკონ იაპონელმა და გერმანელმა, თურქმა და ჰოლანდიელმა, იაკუტიელმა და ქართველმა. თეორიულადაც რომ დავუშვათ ასეთი შესაძლებლობა, დროთა განმავლობაში ენა თანდათან შეიცვლება, გაჩნდება დაალექტიზები და შემდევ - დამოუკიდებელი ენებიც.

არ შეიძლება რომელიმე პოპულარულმა და გავრცელებულმა საერთაშორისო ენამ შეავიწროვოს ან განდევნოს დედაქანა, რომელიც

ადამიანის ეროვნულ მეობასთან სიღრმისეული ფესტივალთა  
დაკავშირებული, რისი ამოძირებაც შეუძლებელია და დრიდი  
დაწყვეტილია კაცობრიობისა და ღვთის წინაშე.



## §8. დედაქა

„დედაქა... უპირვესი ღონისძიებაა ნორმალური ვონებითი და ზნეობითი გახსნისათვის. კინც ზედმიწევნით არ სწავლობს თავის ენას, ის ვერასოდეს კერ მიეწევა ჩეროვანს სიღრმეს აზრისას და კრძობისას“.

(ივოგებაშვილი)

რა არის დედაქა ჩვენთვის? შეიძლება თუ არა ადამიანს ორი ან მეტი მშობლიური ენა ჰქონდეს? ნუთუ დედაქაც მხოლოდ იმ ფუნქციებს ასრულებს, რასაც საერთოდ ნებისმიერი ენა? განა ახალდაბადებული ბავშვისათვის სულ ერთა, რომელ ქვეყანაში გაიზრდება და რომელი ენა გახდება მისთვის მშობლიური?

ეს კითხვები ბევრ დავასა და კამათს იწვევდა და იწვევს მეცნიერთა შორის.

ყოველ ადამიანს ერთი დედაქა აქვს, რომელზედაც დედა ესაუბრება, რომელზედაც ენას აიღამს (თურმე ფერეიდნელი ქართველებიდან ქართული ენა მხოლოდ იმ ოჯახებმა შეინარჩუნეს, სადაც ბავშვებს დედა ქართველი ჰყავდათ!). ესაა მისი ერის, მშობლების ენა. როგორც წესი, ადამიანი მხოლოდ დედაქაზე აზროვნებს, ფიქრობს (ცხადია, არიან გამონაკლისებიც, რომელთაც შეუძლიათ რამდენიმე ენაზე აზროვნება, მაგრამ ენის ყველა ნიუანსისა და სიღრმის წვდომა მხოლოდ დედაქაზეა შესაძლებელი). თითქმის ყველა გენიალური ნაწარმოები დედაქაზე შეუქმნიათ, რადგან მხოლოდ მშობლიურ ენას აქვს განუმეორებელი წიბლი და ადამიანის შინაგან სამყაროსთან დაკავშირებულია უზილავი სიმებით. დედაქაზე ნათქვამდი თითოეული სიტყვა უჩვეულო ფერით, სურნელით გამოირჩევა, რაც გვაგონებს უბედნიერეს ხანას - ყრძობას, დედის ალერისსა და მშობლიური კუთხის კოლორიტულ ხმებს.

ადამიანის გონებრივი განვითარება მხოლოდ დედაქანზე შეიძლება, სხვაგვარად ეს პროცესი ბრკოლდება. ამით არავინ უარყოფს უცხოური ენების შესწავლის აუცილებლობასაც მარტივი დედაქანს ვერც ერთი სხვა ენა ვერ შეცვლის. ი. ვ. გორუჩევის მიხედვით „რაც უფრო მეტი უცხო ენა ვიცით, კიდევ მეტს ვიგებთ დედაქანის შესახებ“.

დედაქანა ყოველთვის ახლობელი და ძვირფასია, მიუხდავად მისი განვითარების დონისა და გავრცელებულობისა.

როგორც დედის არჩევა არაა დამოკიდებული ადამიანის ნება-სურვილზე და ის ყველას უნდა უყვარდეს (და უყვარს კიდეც), განურჩევლად სილამაზისა, ინტელექტისა და ასაკისა, ასევე სისხლხორცეულია დედაქნის სიყვარული და მასთან კავშირი, რადგან ესაა საკუთარი ფესვების, გენის, ერის სიყვარული.

ცნობილი ენათმეცნიერის, ედუარდ სეპირის აზრით: (ხალხები) „გარკვეულწილად განიცდიან იმ კონკრეტული ენის ზეგავლენას, რომელიც წარმოადგენს მოცემულ საზოგადოებაში ურთიერთობის საშუალებას... ჩვენ ვხედავთ, გვესმის და აღვიქვამ ასე ან სხვაგვარად ამა თუ იმ მოვლენას არსებითად იმის წყალობით, რომ ჩვენი საზოგადოების ენობრივი ნორმები ვარაუდობენ გამოხატვის მოცემულ ფორმას“.

გავიხსნოთ გიორგი მთაწმინდლის „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრება“, სადაც მოთხობილია პატარა ექვთიმეს მძიმე ავადმყოფობის ამბავი უცხოეთში. მამას მისი გადარჩენის იმედიც კი გადაეწურა და ყოველ წამს ელოდა შვილის სიკვდილს. სასოწარკვეთილი შშობელი ღვთისმშობლის წმინდა ტაძარში წავიდა და წმ. მარიამის ხატს ევდორებოდა შემწეობას. სენაქში დაბრუნებულმა იოვანემ იგრძნო საკვირველი სურნელი და დაინახა ექვთიმე, რომელიც ღვთისმშობლის მადლით წამოწეულიყო და საწოლზე სრულიად გამოვანმრთელებული იჯდა. გახარებულ მამას ექვთიმემ უამბო წმ. მარიამის გამოცხადების ამბავი. მას თურმე ქართულად უკითხავს, რა გჭირსო. კვლებით, უპასუხნია ვაუს. ღვთისმშობელი მისულა, ხელზე შეხებია და უთქვამს: „არრავ არს ვნებავ შენ თანა, აღდევ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“.

მართლაც, ექვთიმე განიკურნა. მანამდე თუ ქართველად შეუვს ლაპარაკობდა, ახლა წყაროსავით გადმოსჩქეოდა მისი პირითან უწმინდესი ქართული: „ვითარცა წყარო აღმოდინ უწმინდეს, კოტელია ქართველთასა“. იგი ქართველებს მოვლინა ახალ ოქროპირად და წიგნთაგან დიდად ნაკლოვანი ქართლის ქვეყნა გამდიდრა სულიერი საუნვით.

ასე აღწერა გიორგი მთაწმინდელმა ღვთისმშობლისა და დედაენის მადლით ყრმა ექვთიმეს განკურნება.

XIX საუკუნეში დიდმა იაკობ გოგებაშვილმა თავის ბრწყინვალე მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმა?“ კიდევ ერთხელ შეგვასენა დედის ნამღერი „იავნანას“ სასწაულმოქმედი ძალა.

ანდა რა ტკივილი იგრძნობა მის. ჯავახიშვილის „მიწის ყივილში“! სამშობლო- და ენადავიწყებულ მოხუც ანდრე კაშორში თანდათან იღვიძებს ქართველობა და ხდება საოცრება: მას ავიწყდება ფრანგული, ვერავის ცნობს და ქართულად ამეტყველდება. სიკვდილის წინ დედაენამ ის ისევ ანდრო კაიშაურად აქცია, ნოსტალგიის მტანჯველმა გრძნობამ საკუთარი ფესვები მოაძებნინა, გაულვიძა ბავშვობისა და სამშობლოს სურათები.

დედაენისა და მამულის მონატრება ბევრ ქართველს ექცა მოუშენებელ ტკივილად. ბევრს ჩაჰყეა სამარეში უკანასკნელ ნატრუად, საქართველოს ერთი მუჭა მიწა მაინც მოებნიათ მათს მკრდზე...

რამდენიმე წლის წინ გერმანიაში გარდაიცვალა ქართველი კაცი ნიკოლოზ ჯანელიძე, რომელიც ომის შემდეგ იქ დარჩა და სამშობლო აღარ უნახავს. ის სიცოცხლის ბოლომდე ქართულ საქმეს ემსახურობდა: ასწავლიდა ქართულს გერმანელებს (მათ შორის პროფ. ვინფრიდ ბოედერს), ერთ-ერთ სკოლაში ჩამოაყალიბა ქართული თეატრალური დასი და გერმანელ ბავშვებს ქართულ სიმღერებს ასწავლიდა, თარგმნა და დაბეჭდა „ქართული ზღაპრები“, მოთხრობები, „ქართული სამზარეულო“. მართლაც, მას არ აკლდა სახელი, პატივისცემა, მაგრამ მაინც უცხო და მარტო იყო, ამიტომაც წერდა ერთ-ერთ პირად ბარათში: „ჩემი ძვლებიც კი ტირიან საქართველოზე“.

დედაენას ენის საერთო ფუნქციების გარდა დამატებით აქვს განსაკუთრებული ფუნქციებიც: აზრის წარმოქმნაში, ეროვნული

კულტურის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა, ადამიანების უძრავულ  
ერთობის ერად ქცევის უნარი. მართლაც, უდედაენო ~~ადამიანი~~  
უსამშობლო და უგვარტომოა.

მხოლოდ ეროვნული სულისკვეთება გადაარჩენს მართლად მასში არ არის  
ფსევდოკოსმოპოლიტიზმის იდეის ქადაგება ბრჭყვიალა ყალბ თვალს  
ჰყავს და უეხქეშ გვაცლის იმ ნიადაგს, რომლის ფესვებზედაც  
ამოვიზარდეთ.

დიდი გერმანელი ენათმეცნიერი ვილჰელმ ფონ პუმბოლდტი  
წერდა: „ენა ხალხისა თითქოს სულის გარეგანი გამოვლენაა; ენა  
ხალხისა არის მისი სული და სული ხალხისა არის მისი ენა –  
ძნელია წარმოვიდგინოთ ერთმანეთის უფრო იგივური ორი სხვა რაიმე  
მოვლენა“.  
ის აღიარებდა თეორიას, რომლის მიხედვიდაც, ენა  
ენერგიაა, აქტიური ძალა, მოქმედი და არა შექმნილი – პროდუქტი.

საბჭოთა პერიოდში პუმბოლდტის თეორია იდეალისტურად  
მიაჩნდათ და აკრძალული იყო.

ჟ. პიაუე და მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ  
ახალდაბადებული ბავშვი ენობრივად სუფთა დაფას (tabula rasa)  
წარმოადგენს და უნარი აქვს შეითვისოს ნებისმიერი ენა, რომელ  
კოლექტივშიც გაიზრდება, ე. ი. სულ ერთია, რომელი ენა იქცევა  
მისთვის მშობლიურად.

ე. ლენგებერგისა და ნ. ზომსკის თეორიის თანახმად, ახალდა-  
ბადებულ ბავშვს აქვს თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამა, ე. წ.  
უნივერსალური გრამატიკა, ანუ მეტყველების ნიჭი, რაც მას  
ცხოველისაგან განარჩევს.

მესამე შეხედულებით კი, ეს გენეტიკური პროგრამა მხოლოდ  
დედაენის მიმართ არის ჩადებული. ძალის ლეკვი რომ ყეფას  
სწავლობს, კატის კნუტი – ქნავილს, ასევე გენეტიკურად  
განპირობებული მშობლიური ენის შესწავლაო. მაგრამ ეს არ ნიშნავს,  
რომ დედაენის სწავლა საზოგადოების გარეშე შეიძლება ანდა სხვა  
ენობრივ გარემოში ბავშვი მაინც დედაენაზე აღაპარაკდება.

ესპანელმა ინჟინერმა პედრო მონაგასმა გამოიგონა ჯიბის  
ხელსაწყო, რითაც შესაძლებელი ხდება ჩვილი ბავშვის ტრილის  
მიზეზის გარკვევა, ე. ი. მუჭუთა ბავშვის ტრილი სხვანაირი ყოფილა  
შიმშილის, დაღლილობის, ტკივილისა თუ მოწყენილობის დროს.  
ქართველმა ლინგვისტმა, ფონეტისტმა პროფ. ზ. ჯაფარიძემ ასევე

ექსპერიმენტულად დაადასტურა, რომ ადამიანის მუცეულების პირველი ნიშნები ჩვილ ბავშვებშიც არსებობს. სხვადასხვა ეროვნების (კურძოდ, ქართველ და რუს) ახალშობილთა ტირილის ფედორებით მან გამოავლინა სრულიად მოულოდნელი და სენსაციური ფაქტით მათი ტირილის მახასიათებლებში განსხვავება ყოფილა, ე.ო. თურმე ისინი განსხვავებულად ტირიან. ეს დაადასტურა სპეციალურმა აპარატურამაც და ხანგრძლივმა აუდიტორულმა ანალიზმა. მეცნიერმა ეს ფაქტი ასწავ ქართულისა და რუსულის ცნობილი ფონეტიკური თავისებურებებით და გამოიტანა ეჭვმიუტანელი დასკვნა, რომ მშობლიური ენის საწარმოთქმო ჩვევათა ჩანასახი ახალშობილსაც აქვს.

აშშ-ში, შეედეთსა და რუსეთში ფსიქილოგებისა და ლინგვისტების ცდებით დადასტურდა, რომ დედის ნამღერი „იავნანა“ და ბავშვთან სპეციალურად მოჩქლექით, ალერსით ლაპარაკი ხელს უწყობს მისი შემეცნების განვითარებას, დედაენის ფონეტიკური სტრუქტურისა და საერთოდ ენობრივი უნარ-ჩვევების სწრაფ ათვისებას. უცხოეთში ჩაატარეს ცდა, თუ რა ზეგავლენას ახდენს ძუძუმწოვარა ბავშვზე დედაენაზე საუბარი. აღმოჩნდა, რომ ბავშვი გაცილებით ინტენსიურად წოვს ძუძუს, როცა მას დედა ესაუბრება დედაენაზე და არა – რომელიმე უცხო ენაზე.

დიდი პედაგოგისა და მოაზროვნის კ. უშინსკის აზრით, არამშობლიურ ენაზე ბავშვის აღზრდა-განათლება უარყოფით გავლენას ახდენს მის გონიერივ განვითარებაზე. იაკობ გოგებაშვილი დედაენას უწოდებდა „გონების ბუნებითს იარაღს“. ა.კ. წერეთელი წერდა, რომ XIX საუკუნეში პედაგოგებმა შენიშვნეს, ვინც დედაენა და ქართული წერა-კითხვა იცოდა, რუსულსაც უკეთ სწავლობდა, რუსულად სწავლის დროს კი ბავშვებს გონება უჩლუნგდებოდათ. „ეს რომ გაიგო კორონცოვმა, ბრძანა, ქართველი ყმაწვილებისათვის ჯერ, პირველ ხანებში, დედაენა ესწავლებინათ და მერე გადაეცვანათ უცხოზე“. ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილში „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“ წერდა: „უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისა, დართგუნვისა, გათახსირებისაა“.

ცნობილმა ექიმებმა გამოიკვლიერ, თუ რა გავლენას ახდენდა ჯანმრთელობაზე არამშობლიურ სკოლებში სწავლა. მაგალითად, პედიატრმა სიკორსკიმ ჩაატარა ექსპერიმენტი პრიმარიული გერმანულენოვან სკოლებში (მსგავსი ცდა ჩაატარეს შემდეგ ინგლისურენოვან სკოლებშიც), პროფ. ირ. ფალავაძ კი - საქართველოში. აღმოჩნდა, რომ არამშობლიურ სკოლებში ბავშვებს არტერიული წნევა უფრო მაღალი ჰქონდათ (კვირა დღეს კი წნევა ნორმალური აღმოჩნდათ).

მაშასადამე, დედაენის უარყოფა სწავლის დროს ნეგატიურად მოქმედებს ბავშვის ჯანმრთელობაზე. ამიტომ ადამიანს უფლება უნდა ჰქონდეს შშობლიურ ენაზე მიღლოს განათლება, თუკი ეს ენა კულტურულია, აქვს საკუთარი დამწერლობა და ჩამოყალიბებული ლიტერატურული ტრადიციები. მთავარია, არ დაირღვეს ენათა თანასწორობის პრინციპი, არ დაიჩაროს სხვა ენა, ძალით არ მოახვიონ თავს საზოგადოებას უცხოური ენა.

საფრანგეთის სენატის წამყვანი სპეციალისტი ბენედიქტ რუჟე ერთ-ერთ წერილში საუბრობდა ფრანგული ენის დაცვის პოლიტიკაზე. თურმე 20 მარტს 50-მდე ფრანკოფონურ სახელმწიფოში აღინიშნება ფრანკოფონიის მსოფლიო დღე. ეწყობა ფრანგული ენის კვირეული (შვეიცარიაში, კვებეკსა და ბელგიაშიც), ცდილობენ მოქალაქეთა ყურადღების მიპყრობას (ე.წ. სენსიბილიზაციას) ფრანგული ენისადმი. „თითოეულ ფრანგს უნდა დავანახოთ“ მრავალი წახნავი ფრანგული ენისა: ის, რომ ფრანგული ენა წარმოადგენს პიროვნულსა და კოლექტიურ კაპიტალს“ (ბურჯი ეროვნებისა, 1998, №2). მათ უნდა გააცნობიერონ ფრანგული ენის როლი საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, მისი საერთაშორისო მნიშვნელობა, რათა ყველასთვის მისაღები გახდეს ფრანგული ენის სიცოცხლისა და პრესტიჟის მნიშვნელობა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პარალელურად ზრუნავენ რეგიონალური ენების განვითარებაზე (ბრეტონული, კატალონური, კორსიკული, ბასკური, ოქსიტანური, კრეოლური).

მართლაც, სამაგალითოა საფრანგეთისა და ფრანგების დამოკიდებულება შშობლიური ენისადმი.

დახვეწილი სალიტერატურო ენით მეტყველება პრესტიჟულია ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. აღბათ ბევრს ახსოვს ინგლისის

ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწის ირგვლივ ატეხილი სკანდალი იმის გამო, რომ თურმე ის არასწორი ორთოგრაფიით წერდა „სიტყვას „ხვალ“ (tomorrow), რაც არ ეკადრებოდა.

გავიხსნოთ ბერნარდ შოუს შესანიშნავი ნაწარმოები „პიგმალიონი“, სადაც უბრალო მეყვავილე გოგონა ელიზა დიულიტლი დახვეწილი, არისტოკრატიული ინგლისურის დაუფლების შემდეგ მიიღეს ელიტარულ საზოგადოებაში და ეჭვიც არ შეპარვიათ მის მდაბიო წარმომავლობაში. ასე დიდი მნიშვნელობა აქვს მეტყველების დახვეწილობას, ლექსიკის სიმძიდრეს.

სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დედაენის მოვლას, მასზე ზრუნვას. ზოგმა ადამიანმა, პოლიგლოტმა, შეიძლება იცოდეს 8, 10, 20, 40 ან მეტი ენაც კი, მაგრამ დედაენის მსგავსად ვერც ერთს ვერ დაუფლება, სილრმისეულ ნიუანსებს ვერ ჩასწერდება და ძირითადად მაინც შშობლიურ ენაზე იაზროვნებს.

დიდი ილია ამბობდა: „ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება მთელი ხელი უქმნელი ისტორიაა, კრისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ“ („აი, ისტორია“).

მართლაც, ქართველი ხალხის ისტორია, ეროვნული ფსიქოლოგია და უძველესი ტრადიციები უკუფენილია ქართულ ენაში. მასში გამოხატულია ჩვენი ხალხის სული, იგრძნობა გარდასულ საუკუნეთა სუნთქვა, ჩანს შორეულ წინაპართა მსოფლაღქმა, რადგან ენაში ჩადებულია ქართველი ერის გენეტიკური კოდი, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა.

აბსურდულია ორი შშობლიური ენის ქადაგება. სწვა ენა ადამიანისათვის ვერასოდეს გახდება დედაენა. რაც უნდა სრულყოფილად და ზედმიწევნით ფლობდეს ადამიანი უცხოურ ენას, ის ვერასოდეს შეუცვლის დედაენას, რომელიც ეროვნების ბურჯად ითვლება. დედაენაზე დიდადა დამოკიდებული ადამიანის ხასიათის ფორმირება და პიროვნების ჩამოყალიბება.

საქართველოს მთავრობის  
სამინისტროს მინისტრის  
სამსახურის მინისტრი

თავი მეორე  
ქართველური მენეჯერი, ქართული  
სალიტერატურული უნივერსიტეტის  
დამსახურის მინისტრი

### წ9. ქართველთა ფარმაცლობა

თეორიები ქართველი ტომების ჩამოყალიბების შესახებ უკრძანობა წერილობით ცნობებს, ენობრივ და არქოლოგიურ მასალებს.

ქართული ენის წარმომავლობის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ქართველთა წარმოშობის პრობლემასაც. დღემდე საკამაოა, სახლობდნენ ქართველები მუდმივად დღევანდელ ტერიტორიაზე თუ სხვა კუთხიდან არიან ჩამოსახლებული. აქ შეხედულებები ორად იყოფა: პირველის მიხედვით, ქართველები მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ, ხოლო მეორე შეხედულებით, ისინი ჩამოსახლებული არიან მცირე აზიდან, საიდანაც ხეთებმა და სხვა ტომებმა გამოდევნეს.

ბერძნი ისტორიკოსი პერიდოტე (ძვ. წ. 484-425წწ.) უკიპტური წარმოშობისად მიიჩნევდა დასავლეთ საქართველოში მოსახლე კოლხებს, მეფე სესოსტრისის მოღაშქრების შთამომავლებად, რომლებიც მდ. ფაზისთან დასახლდნენ. ამას მეცნიერი ზოგი ადათისა და სამეურნეო საქმიანობის წესების მსგავსებით ადასტურებდა. ფიქრობენ, რომ ქართველებს ოდესაც ემზობლებოდნენ წინა აზიის, შუამდინარეთის (შუმერები, ჰურები, კასიტები, ხეთები, ლუკიელები, პროტოხეთები, მუშკები) და წმელთაშუა ზღვის აუზის ხალხები (მცირე აზიის, საბერძნეთის, პირენეისა და აპენინის ნახევარკუნძულების ხალხები, ეტრუსკები, ბასკები).

ივ. ჯავახიშვილის თეორიის მიხედვით, ქართველები თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე გვიან მოსულან, მათი თავდაპირველი საცხოვრისი ივარაუდება სამხრეთში.

ძველ საბერძნეთში ფიქრობდნენ, რომ აღმოსავლეთის იბერები დასავლეთის იბერიიდან (ესპანეთიდან) გადმოსახლდნენ ძვ. წ. VI საუკუნეში, ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის დროს. თუმცა აპიანე უარყოფდა კავკასიისა და ესპანეთის იბერებს შორის მსგავსებას.

ცნობილია ასევე ლეგენდა, თითქოს აქამენიდთა დანარჩინის უკანასკნელი მეფე დარიოს III ფოფილა სატრაპ მითროზატეს შთამომავალი. ამ ცნობას ვხვდებით სომეხ ისტორიკოს უშისეს ხორენელთან.

„მოქცევად ქართლისავ“ ქართველების წინაპრებად ასახელებს არიან-ქართლის მეფის ძეს აზოსა და არიან-ქართლიდან გადმოსახლებულებს. მათვე უკავშირებენ კერპების – გაცისა და გას სახელებს. უნდა ითქვას, რომ ამ მოსაზრებაში ბევრი ბუნდოვანი საკითხია, გაურკვეველია, რას უნდა ნიშნავდეს თვით არიან-ქართლის ადგილსამყოფელი.

„ქართლის ცხოვრება“ ქართველებისა და კავკასიელი ხალხების საერთო წინაპრად ასახელებს თარგამოსს, იაფეტის (ნოეს შვილის) ძმისწულს – თარშს. ბაბილონის გოდოლის დაშლის შემდეგ ჩრდილოეთიდან ჩამოსულს, პყოლია 8 შეილი, რომელთა შთამომავლები არიან კავკასიელებიო: ჰაოს (სომხები), ქართლოს (ქართველები), ბარდოს (რანები), მოვაკან (მოვაკანელნი), ლეკო (ლეკები), ჰეროს (ჰერები), კავკას (კავკასიანნი), ეგროს (მეგრელები).

განსაკუთრებით საინტერესოა I საუკუნის ებრაელი მწერლის იოსებ ფლავიოსის შეხედულება, რომ ბიბლიური ოუბალები არიან ივირნი (იბერები), ხოლო „მეშეხები“ (მოსოხები) – კაპადოკიელების წინაპრები.

ძველი ასურული ლურსმული წარწერების ამოკითხვის შემდეგ დადასტურდა თუბალებისა და მეშეხების არსებობა ძვ. წ. II-I ათასწლეულებში მცირე აზიაში. კ. ლემან-ჰაუპტი ქართებს თვლის ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოსული კარლუხებისა და მცირე აზიიდან მოსული მესხების შთამომავლად.

თაბალების, მუშქებისა და სხვა ტომების ნათესაობა ქართველ ტომებთან გაიზიარა ივ. ჯავახიშვილმა. ის ქართველთა მიგრაციას ვარაუდობდა ძვ. წ. VII საუკუნეში. ამ თეორიას ემხრობოდა ნ. მარიც.

XX საუკუნეში დასავლეთის ორიენტალისტიკამ თაბალები და მუშქები მიიჩნია ინდოევროპელებად. ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა ქართველთა წარმომობა დაუკავშირა მთის კავკასიელი ხალხების ეთნოგრენეზის და მათ თვლიდა სამხრეთიდან მოსულებად, თან

ს. ჯანაშიამ გამოთქვა ვარაუდი, რომ ქართველობა წარმოადგინება მკვიდრი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო და უარყო შეხედულება მათი მიგრაციის შესახებ. დაახლოებით 6.000 წლის წინათ წინა აზიისა და სამხრეთ ევროპის უზარმაზარ ტერიტორიაზე (კავკასია, მცირე აზია, ბალკანეთის, აპენინისა და პირენეის ნახევარკუნძულები) ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. ამით დაისვა საკითხი უძველესი ხალხების – პირენეის იბერების, ეტრუსკების, პელაზგების, შუმერების, ხეთების, სუბარების (ხურიტების), მუშების, თაბალების, ქართველების, კავკასიური ხალხების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში ხეთურ-სუბარულმა ტომებმა შექმნეს ახალი ძლიერი სახელმწიფო – ურარტუ, რომლის ცენტრიც ვანის ტბის ძირას იყო. მათ მეზობლად მეცნიერი ვარაუდობდა ხეთურ-სუბარული სამეფოს – მანას არსებობას.

ურარტუს სამეფოს დამხობის შემდეგ ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოები: კოლხეთი და იბერია.

საინტერესოა საკითხის კვლევა ენობრივი ინტერპრეტაციის საფუძველზე. გ. მელიქიშვილის აზრით, ძვ. წ. III-II ათასწლეულის მიჯნაზე არსებობდა ქართველური ფუძეენა მშოლოდ დააღექტური განსხვავებებით. „კოლხეთის სამეფო“ უნდა ყოფილიყო ქართულ-ზანური მოსახლეობის გაერთიანება, რომელიც მოიცავდა სვანთა ტომებსაც (ივარაუდება დღევანდელი დასავლეთი საქართველო – ისტორიული მესხეთი).

მუშებიც (მოსხები, მესხები) საერთო ქართულ-ზანურ ეთნოსად მიაჩნიათ.

კიმერიელებისა და სკეითებისა შემოჭრამ და კოლხეთის სამეფოს დაცემამ დააჩქარა ქართველური ენების გამოყოფა და ტომობრივი დაყოფა.

ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში გაბატონდნენ იბერები (ქართები). „მესხური“ მოსახლეობა გაჩნდა შიდა ქართლშიც (მცხეთა).

მაშასადამე, მეცნიერთა ვარაუდით, ქართველი ტომები ძვ. წ. II-I ათასწლეულში სახლობდნენ დასავლეთ ამიერკავკასიასა და

სამხრეთ-დასავლეთშიც, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავალზემი, უძველესი ინდოევროპული ტომების მეზობლად.

2002 წლის ივნისში დავით გარეჯის უდაბნოში დაგენერირებულ დღემდე უცნობი ცივილიზაციის ნაშთები. არქეოლოგიური გათხრების დამთავრებისა და მონაპოვართა შესწავლის შემდეგ შესაძლებელია ბევრ საიდუმლოს აეხადოს ფარდა და კაცობრიობის წინაშე გამოაშვარავდეს ბურუსით მოსილი საკითხი ქართველთა წარმოშობის შესახებ.

## §10. ქართული ენის ნათესაობის თაორიენტი

დიდი ხანია მეცნიერები დაინტერესებული იყვნენ ქართული ენის წარმოშობის საკითხით, მაგრამ ლექსიკური ერთეულების პრიმიტიული შედარებები მხოლოდ ზედაპირული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლეოდა.

კერ კიდევ ჰეროდოტე ცდილობდა ქართულის დაკავშირებას ეგვიპტურ ენასთან, ადელუნგი კი მას აკუთვნებდა აზიის ენებს.

XVIII-XIX საუკუნეებში ლინგვისტები ადარებდნენ ქართულის გრამატიკულ კატეგორიებს სხვა ენების მსგავს მოვლენებთან (ანტონ პირველი, პლ. ოსელიანი, ფირალოვი...), თუმცა ეს შედარებები მოკლებული იყო ღრმა მეცნიერულ საფუძველს.

ქართულ ენას სხვადასხვა დროს უკავშირებდნენ ინდოევროპულ, ალათაურ (ანუ თურქულ), სემიტურ, წინა აზიისა თუ ძველი შუამდინარეთის ენებს და სხვ.

მიმოვინილოთ მოკლედ ეს თეორიები:

ა) ქართული ენის ნათესაობის თეორია ინდოევროპულ ენებთან

პაოლინისა და ირბაზის ლექსიკონზე დაყრდნობით ლორენცო პერვასმა ქართული დაუკავშირა ბერძნულ-ლათინურ ენებს.

გერმანელი მეცნიერი გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი (1646-1716) ქართული და უკროპული ენების ლექსიკური მასალის მარტივი შედარების საფუძველზე თვლიდა, რომ ქართული, სპარსული და სომხური წარმოადგენენ სკვითური და არამეული ენების ნარევს. ის ქართულს მიიჩნევდა უკროპული ენების მონათესავედ.

მთავარი ისაა, რომ ლაიბნიცმა გააღვიძა ონტერეზე  
სამეცნიერო სამყაროში ქართული ენისადმი.

ფრანგი ქართველოლოგი, აკად. მარი ბროსე (1807-1880) ქართულს გენეზისურად უკავშირებდა ინდოევროპული ენების (სანსკრიტს, ძვ. სპარსულს, ზენდურს, ბერძნულს). ეს დასკვნა გამოპქონდა მას ლექსიკისა და გრამატიკული სტრუქტურების შედარების საფუძველზე. ნაშრომში „ქართული გრამატიკა“ (1834წ.) აისახა მისი აზრები. ის ადარებდა ქართული ენის ბრუნების სისტემას, ზედსართავი სახელის შედარების ხარისხებს, ზმნის უღვლილებასა და სინტაქსის აღნიშნული ენების მსგავს მოვლენებთან.

გერმანელმა ლინგვისტმა აკად. ფრანც ბოპმაც ქართული ინდოევროპული ენების მონათესავედ ჩათვალა და მის მიერ შექმნილ ენათა ატლასში სწორედ ამ ენებთან მიუჩინა ადგილი, როგორც ინდოევროპული ენების კავკასიურ განშტოებას. ბოპი ეყრდნობოდა ლექსიკისა და მორფოლოგიის საკითხებს და არა — კანონზომიერ ბერათშესატყვისობებს.

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ნაშრომში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპულები“ (1984წ.) გამოვლენილია პარალელები ქართველურისა და ინდოევროპულ ენებს შორის ფონოლოგიურ და გრამატიკულ სტრუქტურებში. ბერძნულ ენაში გამოიყო ისეთი ლექსიკური ფენა, რომელიც ვერ აიხსნება ინდოევროპული ენის საფუძველზე. მათი ასენა ზერხდება მხოლოდ ქართველური ენების მოშეველებით.

ვარაუდობენ, რომ ინდოევროპელთა წინარე სამშობლო უნდა ყოფილიყო წინა აზია (ცენტრალური მესოპოტამიის ჩრდილოეთსა და ამიერკავკასიის სამხრეთს შორის), სადაც ძვ. წ. IV-II ათასწლეულებში ურთიერთობა ჰქონდათ ძველ ინდოევროპელებს, ქართველებსა და სემიტებს, რომლებიც მეტყველებდნენ შესაბამის ფუძეენგბზე. ინტენსიური იყო მათ შორის ენობრივი კონტაქტები. ეს პრეიისტორიული ხალხები შემდეგ ჩამოყალიბდნენ ინდოევროპელებად, ქართველებად და სემიტებად.

ეს დასკვნა კიდევ ერთხელ მოწმობს, რაოდენ მნიშვნელოვანია ქართველოლოგიის მონაცემები ინდოევროპული ლინგვისტიკასთვის (ამ მხრივ საინტერესოა გ. მელიქიშვილის ნაშრომი „საქართველოს,

კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“, თბ., 1965).

ბ) ქართული ენის ნათესაობის თეორია თურქულ-კურთული ენებთან

ინგლისელი მეცნიერი, პროფ. მაქს მიულერი 1854-55 წლებში მარი ბროსესა და როზენის შრომებშე დაყრდნობით ასკვნიდა, რომ კავკასიური ენები შორეულად ენათესავებიან ურალურ-ალათაურ (ანუ თურანულ, თურქულ) ენებს. მ. მიულერი გამოყოფდა ქართული ენის შტოებსაც (საკუთრივ ქართულს, სვანურს, ლაზურს, ასევე სამეგრელოს, ოდიშისა და გურიის მეტყველებას). ის აღიარებდა, რომ, მართალია, ახლა მსგავსება თურქულ ენებთან აღარ იგრძნობა, მაგრამ ამას მეორეულ მოვლენად თვლიდა, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებულად.

გ) ქართული ენის განკურმოებულობის თეორია

ბევრი მეცნიერის აზრით, ქართული განსაკუთრებული მოდგმის ენობრივ სამყაროს წარმოადგენს და იზოლირებულია (პერის კლაპროთი, სენ-მარტენი, ავგუსტ შლაიხერი, ბენჯეი, პოტი, ლეფსიუსი, რიხარდ ერკერტი, შპიგელი). პროფ. ფრ. მიულერი ფ. ბოპის მოსაზრებას ქართულის ინდოევროპულობის შესახებ გონებამახვილურად მიიჩნევდა, თუმცა თვლიდა, რომ სათანადოდ დამტკიცებული არ არის. 1864 წელს მან დაბეჭდა ნაშრომი „კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში“, რომელშიც ის უარყოფდა ქართველური ენების კავშირს როგორც ინდოევროპულ, ისე ურალურ-ალათაურ ენებთან და წერდა: „ჩანს კავკასიური ენები – მსგავსად ბასკურისა ევროპის დასავლეთში – წარმოადგენენ გადმონაშოთს გაცილებით დიდი ენების ჯგუფისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის მხარესა და მის სამხრეთით, ვიდრე აქ სემიტური, არიული და ურალურ-ალათაური ტომები გავრცელდებოდნენ“. ქართულ-კავკასიურ ენებს ის მიაკუთვნებდა იმ დიდი ენათა ოჯახის გადმონაშოთს, რომელიც გავრცელებული იყო ძალზე დიდი წნის წინათ კავკასიასა და მის სამხრეთით. ამ თვალსაზრისს უჰერდნენ მხარს გერმანელი მეცნიერი რ. ერკერტი (1895წ.), პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფ. ალ. ცაგარელი და იტალიელი მეცნიერი ალფრედო ტრომბეტი.

1886 წელს ქ. ვენაში ორიენტალისტთა VII ყრილობაზე აღმართულმა წაიკითხა მოხსენება, რომელშიც კატეგორიულად უარყოფდა ქართულის ნათესაობას მსოფლიოში არსებულ 13 ნაწილში რეაბილიტირების და მას განკურძოებულ ენად თვლიდა.

დ) ქართული ენის ნათესაობის თეორია სემიტურ ენებთან

1888 წელს სტუდენტმა ნიკო მარმა გაზით „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი „ბუნება და თვისება ქართული ენისა“. ის ქართველურ ენებს უკავშირებდა სემიტურ ოჯახს, პოულობდა საერთოს არაბული ენის უღვლილებასა და გრამატიკულ წყობაში, სიტყვის ძირებში. ამას ასაბუთებდა მეცნიერი 20 წლის შემდეგაც ვრცელ ნაშრომში. მოგვიანებით კი საერთოდ უარყო ქართულის ნათესაობის შესაძლებლობა სემიტურთან. 1920 წლიდან ნ. მარი ქართულს უკვე უკავშირებდა წინა აზისა და ხმელთაშუა ზღვის მკვდარ ენებსა და ცოცხალ ბასეურ ენას.

ე) ქართული ენის ნათესაობის თუორია ბასკურ უნასთან

კველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს ქართულისა და ბასკურის გენეზისურ დაკავშირებას (20 საუკუნეზე მეტი), თუმცა ეს ჰიპოთეზა საბოლოოდ არაა არც დამტკიცებული და არც უაღილილი.

ანტიკურ, ებრაულ, რომაულ, ბიზანტიურ წყაროებში ვხვდებით ცნობებს ქართველთა და ევროპის იერიელთა მსგავსებაზე, ერთგვარად ახსნილია ამის მიზეზებიც.

აღსანიშნავია ქართული წყაროებიც (ბასილი კესარიელის თხზულების თარგმანი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდლების შრომები...).

ბასკები ბინაღრობენ ესპანეთში (პირენეის ნახევარკუნძულზე), საფრანგეთში, მცირე ნაწილი კი — სამხრეთ ამერიკაში, მექსიკაში, არგენტინასა და ურუგვაიში.

მსოფლიო ისტორია იცნობს ორ იბერიას: დასავლეთისას (ევროპაში) და აღმოსავლეთისას (კავკასიაში). ანტიკურ ზანაში აღმოსავლეთ საქართველოს უწოდებლნენ „იბერიას“, დასავლეთს კი – „კოლხიდას“.

კერ კიდევ დიდი ხნის წინათ უცხოელ ავტორთა ნაწილი დასავლეთის იბერებს თვლიდა კავკასიონან წასულებად, ზოგი პირი იქნა - აღმოსავლეთის იბერებს მიიჩნევდა დასავლეთიდან ჩამოსულებად, ნაწილი კი საერთოდ უარყოფდა მათ შორის კაშშირს.

ძველ ქართველებს კარგად სცოდნიათ დასავლეთის იბერიკულთა  
არსებობა და მათზე წერდნენ ასე: „ქართველი დასავლეთისანი“.

ზოგ თხზულებაში ვხვდებით საქართველოში ესტონელების  
იდენტიფიკაციასაც. ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობები „მოსახულება“  
უან შარდენთან (XVII ს.), ტიმოთე გაბაშვილის (XVII ს.)  
სამოგზაურო უანრის თხზულებაში (გამოიცა 1954წ. ელ. მეტრეველის  
მიერ).

აკად. ნ. მარი ქართველებსა და ბასკებს თვლიდა იაფეტურ  
ტომებად, მიიჩნევდა აღმოსავლეთიდან წასულებად ლითონის  
მოსაპოვებლად, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური მასალა.  
საინტერესოა, რომ ბასკებსა და ქართველებს შორის მსგავსება  
შეინიშნება არა მარტო გარეგნობაში, არამედ აგროტექნიკაშიც (აკად.  
ნ. ვავილოვი), ხალხური სიმღერების ინტონაციაში, პოლიფონიაში  
(შ. ასლანიშვილი, ვ. გვარარია) და სხვ.

ნ. მარმა რამდენჯერმე იმოგზაურა ბასკეთში და ამ  
შთაბეჭდილებების საფუძველზე გამოიცა წიგნი „პირენეის გურია“,  
სადაც ბევრი მსგავსება აღნიშნა ქართულ-ბასკურ ეთნოგრაფიაში,  
მუსიკალურ ფოლკლორში, ნაგებობათა სტილში, ეროვნულ  
სამზარეულოში და სხვ.

საინტერესოა, რომ ბასკურ ენაშიც ზმნა მრავალპირიანია. ენის  
წყობა იმდენად რთული და განსხვავებულია ევროპული ენებისაგან,  
რომ ლეგენდაც კი შეუქმნიათ: თითქოს ეშმაკმა 7 წელი დაჟყო  
ბასკეთში და ენა მაინც ვერ შეისწავლა.

ბასკური სრულიად იზოლირებულია ინდოევროპულ ენათა  
გარემოცვაში. სამწუხაროდ, ბასკური ტექსტები არსებობს მხოლოდ  
XVII საუკუნიდან, რაც ართულებს მასში არქაულის გამოყოფას და  
ბერათშესატყვისობების დადგენას ქართულთან (ბასკები წერენ  
ლათინური ანბანით).

ბასკურ-ქართული ურთიერთობების კვლევაში დიდი წვლილი  
შეიტანეს ლინგვისტებმა: პუგო შუხარდტმა, ალფ. ტრომბეტიმ, ალ.  
ცაგარელმა, კარლ ულენბეკმა, პენრიხ ვინკლერმა, უორე დიუმეზილმა,  
ი. კარსტმა, კარლ ბოუდამ, რენე ლაფონმა, იან ბრაუნმა, ადოლფ  
დირმა, პანს ფოგტმა, ნ. მარმა, შიშმარიოვმა, ბიხოვსკაიამ, უირკოვმა,  
იური ზიცარმა და სხვ. ყველა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართულ-

ბასკური ენების მეცნიერული კვლევისთვის ქართულს გაჰამწყვეტი  
მნიშვნელობა ენიჭება.

6. მარი ბასკებს თვლიდა იმ იაფეტელთა ოჯახში ჩაშესძლება  
რომელთაც შექმნეს კაცობრიობის უძველესი ცენტრული ხაცია.  
ქართველები და ბასკები გადაშენებულ იბერიელთა მეტვიდრევები  
არიანო.

პროფ. რენე ლაფონი წერდა: „ენათა ერთადერთი ჯგუფი,  
რომელთანაც შედარებითი მეთოდის გამოყენებით ბასკური ენის  
დაკავშირება ასე თუ ისე ზერხდება, კავკასიური ენებია“ და ერთად  
უწოდა მას ეუსკარო-კავკასიურ ენათა ოჯახი.

ზოგი მეცნიერი სკეპტიკურად უყურებდა ქართულ-ბასკურ  
ენათა ნათესაობის თეორიას (ე. მეი, ვ. გეორგიევი, ჰ. ფოგტი,  
ლ. მიჩელენა), რადგან პრაქტიკულად შეუძლებლად თვლიდა საკით-  
ხის პოზიტიურ გადაწყვეტას.

დადებითად უყურებდნენ ამ საკითხს ივ. ჯავახიშვილი და არნ.  
ჩიქობავა.

როგორც აღვნიშნეთ, ქართულსა და ბასკურს მონათესავე  
ენებად მიიჩნევდნენ: გრაცის მეცნ. აკადემიის წევრი პუგო შუხარდტი,  
ბოლონიის უნივერსიტეტის პროფ. ალფ. ტრომბეტი, პოლანდიელი  
მეცნიერი კარლ ბოუდა, გერმანელი მეცნიერი პენრიშ ვინკლერი,  
ბორდოს უნივერსიტეტის პროფ. რენე ლაფონი, აკად. ნ. მარი, პროფ.  
არნ. ჩიქობავა და სხვ.

აღნიშნული პრობლემა მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ-  
ისტორიული საკითხია, რადგან მივყავართ ძველი ხმელთაშუა ზღვის,  
აზისა და კავკასიის ზალხთა და კულტურათა ურთიერთობის  
პრობლემამდე.

ვ) ქართული ენის ნათესაობის თეორია წინა აზისა და  
ხმელთაშუა ზღვის უძველეს ენებთან

კარგა ხანია მეცნიერებაში წამოყენებულია შეხედულება ქარ-  
თულის ნათესაობის შესახებ მცირე აზის უძველეს მკვდარ ენებთან  
(ურარტული, ჰურიტული, ხეთური, ელამური, შუმერული). ფიქრობენ  
წინაელინური (პელასგურ-ანატოლიური) კულტურის შემქნელ  
ხალხებთან კავშირის შესახებაც.

1910 წელს ჩაეყარა საფუძველი ქართულ შუმეროლოგიას.  
ქართულ-შუმერულ ენობრივ პარალელებს უძღვნა გამოკვლევა

ქართველმა მეცნიერმა, ემიგრანტმა მიხაკო წერეთელმა. ასანაშვილია აღ. სვანიძის, ზ. კიქაძის, ჯ. შარაშენიძის დაწლი ამ პრობლემის პლევასთან დაკავშირებით. დადასტურებულია ქართველი მეცნიერის ენობრივი კონტაქტები ხათურ (პროტოხეთურ) და ზურიტულ მოსახლეობასთან. ამას მოწმობს არქოლოგიური მონაცემები: 1877 წელს შუამდინარეთში შუმერული ლურსმული წარწერებისა და თიხის ფირფიტების აღმოჩენა; 1905-07 წლებში თურქეთში ხეთების ქალაქ ბოლაზქოში (ადრინდელ ხატუსში) – წიგნთსაცავისა და არქივის მიკვლევა.

პ. ვინკლერის აზრით, ხეთების მემკვიდრეებად უნდა დავსახოთ ქართველი ტომები. ამ აზრს იზიარებდნენ: ბორკი, ზომერი, პიუსინგი, ბლაიაშტანერი, კარსტი, ტრომბეტი, დირი, ვაიდნერი, მიხ. წერეთელი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ს. ჯანაშია, გ. ახვლედიანი, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, პ. ინგოროვე, ვ. თოფურია, გ. მელიქიშვილი, ედ. მარი, ნ. ბერძნიშვილი, აღ. სვანიძე.

არნ. ჩიქობავა წერდა: „რაც უფრო შორს ვიხედებით ქართველური და სხვა იძერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ წარსულში, მით უფრო ხელშესახები ხდება ამ ენათა წარმოშობითი კავშირი წინა აზისა და შუამდინარეთის ძველი ცივილიზაციის ენებთან (ურარტულთან, ჰურიტულთან, ხეთურთან, ელამურთან, შუმერულთან“).

აშკარა მსგავსება მჟღავნდება მცირე აზის (ეგვესურ) და ქართულ ტოპონიმიკაში: გვხვდება ერთნაირი დაბოლოებები (-დოს, -ასა, -ესა, -სოს, -ანდა, -ენდა, -ინდა, -ონდა). მცირე აზიური ტოპონიმიკის ახსნა ბერძნულ-ლათინურის საფუძველზე შეუძლებელია. ამიერკავკასიაში კი გვაქვს დაბოლოებები: -ისა (კვარისა, ლომისა, დღნორისა), -ისი (თბილისი, დმანისი, რუისი, ურბნისი, შინდისი, ყინწვისი), -ნდა/ნთა (გურიანთა, ლალვანთა, ბიჭვინთა, კვერთა, ლომისანთა), -ეტის/იტის დაბოლოებას პგავს ქართული -ეთი/ითი (იმერეთი, თიანეთი, ხვითი, ლვანკითი) (აღ. სვანიძე).

ბევრია მსგავსი ტოპონიმიც: მცირე აზიაში არსებობს მდ. ლორი, სორა, ქ. ქუთაია, განგრა, გორდიონ (ფრიგიაში), მესტია, თიანითის, ქობულათუს, კვარაჯიქ, მდ. გალისი, მდ. ენგური (შდრ. საქართველოში: ლორი, სორი – რაჭაში, ქუთაია – ძვ. ქუთაისი, გაგრა, გორდი, მესტია, თიანეთი, ქობულეთი, კვარაციხე, გალი, მდ.

ენგური); მეცნიერები „კიბისა“ ციხეა და ამით ხერხდება კიბების  
დაბოლოების ახსნა.

მეცნიერები იკვლევენ მორფოლოგიურ-სინტაქსურ მოვლენებ-  
საც. 

აკად. გ. წერეთელმა ახალი ფურცელი გადაშალა ურარტუ-  
ლოგიაში ურარტულ-ქართული ენების გრამატიკული სტრუქტურების  
კვლევით.

საგულისხმოა პარალელები მატერიალური კულტურის დარგში  
(კლდეში დარბაზებისა და სამარხების გამოკვეთა და სხვ.).

უძველესი ცივილიზაციის ეს ენები ისე გადაშენდა, რომ  
წერილობითი ღოკუმენტები თითქმის არ დარჩენილა. რაც არსებობს,  
იმდენად უმნიშვნელოა, რომ შეუძლებელია ამ ენათა აგებულებისა და  
თავისებურების შესწავლა.

შუმერულისა და ურარტულის შესახებ მეცნიერებმა  
შედარებით მეტი იციან და ფიქრობენ, რომ გარკვეულწილად ისინი  
ამჟღავნებენ ქართულთან მსგავსებას, მაგრამ ამის საბოლოო  
დასაბუთება ძნელი საქმეა. მსგავსება აღმოჩენილია ტოპონიმებში (იხ.  
ზემოთ), ანთროპონიმებში, საზოგადო ლექსიკაში, ქართველთა სატომო  
სახელებში. ქართული სიმღერების რეფრენები უკავშირდება უძველესი  
ენების სიტყვებს: ფიქრობენ, რომ დილა, ო-დილა ბაბილონური  
ღმერთის სახელი „დილ“ უნდა იყოს (ივ. ჯავახიშვილი თვლიდა  
ასეთ სიმღერებს რელიგიურ საგალობლებად).

გ. შელიქშვილის აზრით, „თარი“ ურარტულად „დიდს“  
ნიშნავს, „არალე“ – მოსავლის ღვთაებაა, თარი-არალე – დიდი  
არალე! (ჰ) არი არალე – მომეც არალე!

„თავდაყირას“ და „ყირამალას“ უკავშირებენ ურარტულ  
სიტყვა „ყირას“ (მიწა).

როგორც ვხედავთ, ეს თეორია მეტად საინტერესოა და  
შესაძლებელია ბევრი ახალი დასაბუთების აღმოჩენა მომავალში.

ზ) ქართული ენის ნათესაობის თეორია მთის კავკასიურ  
ენებთან

კავკასიური ენების გამოჩენილი რუსი მკვლევარი პეტრე  
უსლარი აღიარებდა ქართველური და მთის კავკასიური ენების  
ნათესაობას.

დიდი როლი შეასრულა ქართველურ ენათა შესწავლის ისტორიაში ივ. ჯავახიშვილის ნაშრომმა „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937წ.). უკრანცელი

ავტორი ქართულ-ქართველურ ენათა განვითარებაში გამოყოფდა ორ ხანას: უძველესს, როცა ამ ენებს გრამატიკული სქეს-კატეგორიები ახასიათებდა და მეორე პერიოდს, როცა გაქრა ეს სქეს-კატეგორიები.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართველური და კავკასიური ენები თავდაპირველად უმჭიდროესად მონათესავე ყოფილან და მხოლოდ დროთა ვითარებაში დაშორებიან ერთმანეთს. ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი ჩრდილოეთ კავკასიურ ტომებს უწოდებდა სარმატებს. ივ. ჯავახიშვილი ამ სიტყვას ხსნის, როგორც შაროელთა (შდრ. საურო-შაურ) ენას. „საურ“ ნიშნავდა ჩრდილო კავკასიის თემს, „მათ“ კი – ენას, ტომს. ე. ი. სიტყვა საურომატი (სარმატი) აღნიშნავდა შაროელთა ენას. ამიტომ უწოდებდა ივ. ჯავახიშვილი კავკასიურ (სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანურ) ენებს შარომატიულს (ლეგურ-ალბანური –დალესტურია, სინდური – აფხაზურ-აღილეური ენებია, ღილღური – ნახური).

არნ. ჩიქობავას უდიდესი დამსახურებაა იბერიულ-კავკასიური ოჯახის ცალკე გამოყოფა და შესწავლა. მისი და ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, ქართველური და კავკასიური ენები თავდაპირველად ყოფილან ახლო მონათესავენი, შემდეგ კი დაშორებიან ერთმანეთს და ქცეულან ენათა ორ დიდ ჯგუფად. მათი ერთობა მტკიცდება ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური მონაცემებით. არნ. ჩიქობავამ საფუძველი ჩაუყარა კავკასიოლოგთა მთელ სკოლას. ის იბერიულ-კავკასიურ ენებს მიიჩნევდა ზეთურ-იბერიულ ენათა ოჯახის ნაშთად.

ზოგი მეცნიერი ჩრდილო კავკასიურ ენებს (კერძოდ აღიღეურს) აკუთვნებს მკვდარ ხათურ ენას, რომლის ლურსმული ნაწერები ძვ. წ. II ათასწლეულს განეკუთვნება.

ნახურ ქვეჯგუფთან სიახლოეს ამჩნევენ მკვდარ ზურიტულს (ძვ. წ. III-II ათასწლეულის ტექსტები აღმოჩენილია მესოპოტამიაში, მცირე აზიასა და ჩრდილო სირიაში) და ურარტულს (ძვ. წ. I ათასწლეული, ახლანდელი სომხეთის ტერიტორიაზე), თითქს გამოიყოფოდა ზურიტულ-ურარტულ ენათა ჯგუფი.

გამოითქვა მოსაზრება, რომ არსებობდა ენდეურიზრდის კავკასიური ენობრივი ერთობა.

ბევრი მეცნიერი მიიჩნევს საეჭვოდ ქართველური ენდეურიზრდის კავკასიური ენების ნათესაობას, ისინი მსგავსებას ამ ენათა მორის აღიარებენ მხოლოდ მეორეულ მოვლენად, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ხასიათის მქონედ და ხსნიან ერთ კავკასიურ ენობრივ კავშირში შესვლით (ნიკ. ტრუბეცკო, გერჰარდ დეეტერსი, კარლ პორსტ შმიდტი, პანს ფოგტი, გიორგი წერეთელი). გ. წერეთელი წერდა: „საკითხი ქართველურ ენათა გვერდური ურთიერთობისა მთის კავკასიის ენებთან იქნება უფრო მეტად საგანი რწმენისა, ვიდრე ცოლისა, და რა გინდ დიდი იყოს ეს რწმენა, იგი დებულებას ნათესაობის შესახებ მტკიცების ძალას ვერ შეპატებს“ და მოითხოვდა, რეგულარული მიმართების დადგენას ენის ყველა დონეზე – ფონოლოგიის, მორფოლოგიის, ლექსიკის სფეროში.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ენათა მონაცემების მნიშვნელობას ღინდგისტიკის ზოგადი პრობლემების კვლევისათვის ყველა მეცნიერი აღიარებს.

უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ მოსალოდნელია ახალი გამოკვლევების, ახალი მოსაზრებების გამოჩენა ქართველურ ენებთან დაკავშირებით, მაგრამ ამჟამად ცოცხალ ენებთან მათი ნათესაობის დადგენა ნაკლებად სავარაუდოა. მკვდარ ენებთან კი დოკუმენტების სიმცირის გამო ძალზე ძნელდა ნათესაობის დამტკიცება, კანონზომიერი ბერეათშესატყველისობების შესწავლა, რადგან არ ვიცით, როგორ უდერდა ესა თუ ის უძველესი ენა ოდესლაც.

## §11. იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახი

- იბერულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შედის ენათა ოთხი ჯგუფი:
1. ქართველური (ქართული, ზანური ანუ მეგრულ-ჭანური, იგივე მეგრულ-ლაზური და სვანური);
  2. აფხაზურ-ადილეული ანუ აფსუურ-ადილეური (აფხაზური ქვეჯგუფი: აფხაზური ანუ აფსუური და აბაზური; ადილეული ქვეჯგუფი: ადილეური ანუ ჩერქეზული, ყაბარდოული და უბიზური);

3. ნახური ანუ ვეინახური (ჩეჩინური, ინგუშური, ქიბერი, ბაცბური ანუ წოვათუშური);
  4. დაღესტნური (30-მდე ენა);
- საქონლები  
დაღესტნურში გამოიყოფა ოთხი ქვეჯგუფი: შიშლიკოზე
- ა) ხუნძურ-ანდიურ-დიდოური; ბ) დარგუული; გ) ლაკური; დ) ლეზგიური.

დაღესტნური ენებია ასევე: არჩიული, აღულური, ახვახური, ბოთლიხური, ბაგულალური, კაპუჭური, კარატაული, კრიწული, კუბაჩური, რუტულური, უდიური, ტაბასარანული, წახურული და სხვ.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში ყველაზე ძველი და კულტურული ენაა ქართული, რომელსაც წერილობითი ძეგლები მოეპივება V საუკუნიდან და თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურული ტრადიციები აქვს.

კავკასიური ენებიდან მხოლოდ ცხრა ენას აქვს დამწერლობა, შექმნილი რუსული (სლავურ-კირილური) ანბანის საფუძველზე: აფხაზურს, აბაზურს, ჩეჩინურს, ინგუშურს და ხუთ დაღესტნურ ენას – ხუნძურს (ავარულს), დარგუულს, ლაკურს, ლეზგიურს, ტაბასარანულს. დანარჩენი უმწერლობო ენებია.

ენათა მრავალრიცხოვნების გამო კავკასიას „ენათა მთას“ უწოდებენ.

**შენიშვნა:** საკალალოა უბიზების ბეჭი, რომელიც 1864 წელს აუგასთიდან გადასახლებ თურქეთში. თანდათანობითი ასიმილაციით ეს ტომი (და ენც) თითქმის ვაქრა. მხოლოდ მობუცებმა თუ იციან უბიზური ენა ქ. იზმირის მიდამოებში.

უდირი ენა გავრცელებულია საქართველოს ერთ სოფელში (ფარლის რაიონში) და აზერბაიჯანის ორ სოფელში (ნიჯი, ვართაშენი). ამ ენაზე საუბრობს 9.500-მდე ადამიანი (ზოგი მუნიკირი უდებს თვლის ძველი ალბანულების შოაბოძულად).

## §12. ქართველური ენები

ქართველური ანუ იბერიული ენებია: ქართული, ზანური (მეგრული და ლაზური ანუ ჭანური) და სვანური. ტერმინი „ქართველური ენები“ შემოიტანა ავსტრიელმა ენათმეცნიერმა ჰუგო შუხარდტმა. აკ. შანიძე მათ უწოდებდა ასევე ქამესურს (სამი სიტყვის

აპრევიატურა: ქა-რთული, მეგრული, ს-ვანური). მეგრულ-ჭანურის  
ნაცვლად კი იყენებდა ასევე ტერმინ კოლხურს.

ზოგი მკვლევარი მეგრულსა და ჭანურს დატვირთებულ  
ენებად მიიჩნევს, ზოგიც – ზანურის დიალექტებად. გიგლიკონი

ვარაუდობენ, რომ ქართულ ფუძეენას (პრექართულს ანუ  
წინარექართულს) პირველად გამოეყო სვანური, დაახლოებით ათასი  
წლის შემდეგ კი გაიყო მეგრულ-ჭანური და ქართულიც. ეს  
დადასტურდა ლექსიკურ-სტატისტიკური ანუ გლოტოქრონოლოგიური  
მეთოდითაც.

ქართველოლოგ გიორგი კლიმოვის აზრით, სვანურის  
გამოყოფა სავრთო ქართველური ფუძეენიდან დაწყებულა ძვ. წ. II  
ათასწლეულის შემდეგ, ქართულისა და ზანურის დიფერენციაცია კი  
– ძვ. წ. III საუკუნეში.

თამაზ გამყრელიძე და გივი მაჭავარიანი პირველ მოვლენას  
ათარიღებენ ძვ. წ. X საუკუნით, ქართულ-ზანურის გაყოფას კი –  
ახ. წელთაღრიცხვის მიჯნით.

ვარაუდობენ, რომ 4-5 ათასი წლის წინათ ქართული,  
მეგრულ-ჭანური და სვანური ქართველური ფუძეენის დიალექტები  
ყოფილან, შემდეგ კი ჩამოყალიბებულან ენებად. ძველი ქართული  
უფრო ახლოსაა ფუძეენასთან, ვიდრე დღევანდელი ქართველური  
ენები. არქაული ფორმების რეკონსტრუქციისათვის ძალზე ფასეულია  
ზანურისა და სვანურის მონაცემები. სამწუხაროდ, წერილობითი  
ძეგლების არარსებობა ამ ენებზე შეუძლებელს ხდის მათი არქაული  
სახის აღდგენას.

ტერმინი „საქართველო“ წერილობით ძეგლებში გამოიყენება  
XI საუკუნიდან, როცა დასრულდა ჩვენი ქვეყნის გაერთიანება ერთ  
სახელმწიფოდ (ქართლი, კახეთ-პერეთი, ტაო-კლარჯეთი, კოლხეთი  
ანუ ეგრისი, მაშინ აფხაზეთად წოდებული). სახელმწიფო ენის  
ფუნქცია იკისრა ქართულმა ენამ, როგორც ყველაზე მრავალრიც-  
ხოვანი და დაწინაურებული ტომის – ქართების ენამ, რომელსაც  
ჰქონდა უძველესი სალიტერატურო ტრადიციები და საკუთარი ანბანი.  
მაშასადამე, ქართველური ტომების საერთო ეროვნული და  
სალიტერატურო ენაა ქართული, ხოლო მეგრულ-ჭანური (იგივე  
ზანური) და სვანური ტომობრივი ენებია (გამოთქმულია შეხედულება,  
რომ ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური დღესაც დიალექტებია

და არა ენები, თუმცა ეს მოსაზრება ენათმეცნიერთა საყველთაოდ გაზიარებული არაა).

ქართული კულტურა და ენა საქართველოს ყველა წყაროების სთვის საერთოა. ქართველური ენების ნათესაობა, ერთიანი წარმომავლობა დამტკიცებულია რეგულარული კანონზომიერი ბგერათშესატყვისობებით, რაც თვალსაჩინოა არამეცნიერისთვისაც კი. ქართველური ტომების ნათესაობის დასადგენად განსაკუთრებით ფასეულია ტოპონიმიკა, გასათვალისწინებელია ამ ენების ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური სისტემები, ლექსიკური მასალა.

მართალია, სვანური უფრო დაშორებულია მეგრულისა და ქართულისაგან, მაგრამ ეს განსხვავება მეორეულია, გამოწვეული ისტორიული ცვლილებების შედეგად. ქართულ ძ ც წ-ს მეგრულში შეესატყვისება ჯ ჩ ჭ, ა-ს – ო და ა-შ.

ქართველური ენების ნათესაობა სწორედ ასეთი კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების გამო არ იწვევს ეჭვს მეცნიერთა შორის.

დავასახელებთ ბგერათშესატყვისობების რამდენიმე მაგალითს, რაც პილევ უფრო თვალსაჩინოს განდის ქართველური ენების საერთო წარმომავლობას:

ქართული	მეგრული	სვანური
ქაცი	ქოჩი	ჭაშ (= ქმარი)
ძალლი	ჯოლორი	ჟვლ
დედა	დიდა/დია	მი
მამა	მუმა/მუა	მუ
ენა	ნინა	ნინ
დღე	დღა	ლა-დეღ
ქათამი	ქოთომი	ქათალ
თაფლი	თოფური	თური
მზე	მუა/ბუა	მიუ
ძმა	ჯუმა/ჯიმა	ჯიმ-ილ
ასი	ოში	აშირ
ცხრა	ჩხორო	ჩხარა

მე	მა(ნ)	მი
შვიდი	შქვითი	იშგუიდ
ათი	ვითი	დეშდ
და	და(ლ)	დილ
ცოლი	ჩილი	შილი
წითელი	ჭითა	
წიველა	ჭიფური	ჭიფრა
კენახი	ბინეხი	

### §13. ქართული სალიტერატურო ენის განვითარება

ქართულ სალიტერატურო ენას, ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლების მიხედვით, თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ სავარაუდოა, რომ გაცილებით ძველია. ძველისძველი (სირიული, ბერძნული, სომხური თუ დასავლური) ისტორიული წყაროების მიხედვით, ქართველებს დიდი ხნის წინათ პქონიათ დამწერლობა და სხვადასხვა შინაარსის წერილობითი დოკუმენტებიც (იხ. შემდეგ თავში). V საუკუნეშია თარგმნილი სახარება, ფსალმუნები, შეიქმნა იაკობ ცურტაველის „შუმანიკის წამება“. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „წმინდა ნინოს ცხოვრება“ დაწერილი უნდა იყოს IV საუკუნეში. ფიქრობენ ასევე, რომ „ფარნავაზის ცხოვრება“ მეფის თანამედროვე პირს უნდა დაეწერა; ჯუანშერის „ცხოვრებას ვახტანგ გორგასლისას“ მიიჩნევენ V საუკუნის ძეგლად.

ტრადიციულად ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში გამოყოფენ სამ პერიოდს: ძველს (V-XIIსს.), საშუალს (XII-XVIIIსს.) და ახალ ქართულს (XIX საუკუნიდან დღემდე), რომელსაც თანამედროვე ქართულსაც ეძახიან. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ მეცნიერები: აკ. შანიძე, კ. ძეგლიძე, პ. ინგოროვა, ვარ. თოფურია, კ. დანელია, შ. ძიძიგური და სხვ.

ენათმეცნიერთა ნაწილი ახალ ქართულ სალიტერატურო ენას მიიჩნევს ძველის უშუალო გაგრძელებად და აღარ გამოყოფს საშუალ ქართულს, კ. ი. გამოყოფს მხოლოდ ორ საფეხურს: ძველს (V-XIIს.) და ახალს (XII საუკუნიდან დღემდე). ამ აზრს აზიარებდნენ: არნ. ჩიქობავა, ივ. გიგინეიშვილი, ა. კიშირია, ფ. ერთეულიშვილი.

ზოგი მეცნიერი საერთოდ არ გამოყოფს პერიოდულს და ფიქრობს, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარება უწყვეტია, წარმოადგენს თხუთმეტსაუკუნოვან ერთობას და უკუჭურული მწერლობა ყოველთვის ერთი სალიტერატურო ენიში დაქმნისადაც (რ. თვარაძე), მაგრამ, ლინგვისტების აზრით, ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია ფრიად საჭიროა ენათმეცნიერული კვლევისთვის

შენიშვნა: ბ. ჯორგენაძე თვლიდა, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ჩუთი პერიოდი უნდა გამოყოფილიყო.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა პერიოდის სალიტერატურო ქართული ძალიან არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ესაა ერთი ენის განვითარების საფეხურები და არა სხვადასხვა ენა, როგორც ეს შეინიშნება ბერძნულის, რუსულის, სომხურისა და სხვა ენების შემთხვევებში. ქართულის შედარებითი უცვლელობის მიზეზებად ასახელებენ შემდეგ ფაქტორებს: სოციალ-პოლიტიკურსა და კულტურულს, ქართველთა კომპაქტურ განსახლებას მცირე ტერიტორიაზე, სალიტერატურო ენის გავლენას დიალექტებში, უცხოური ენების ძლიერი ზეგავლენის არქონას, სხვა ენებთან შეურევლობას. შიდაენობრივი ფაქტორებიდან აღსანიშნავია: ქართული ენის მეცნიერობისა და კულტურული მართვის მიზანი არტიცელაცია, სუსტი მახვილი, დიალექტების ბგერითი სისტემის შესატყვევისობა სალიტერატურო ენასთან და სხვ.

ცხადია, ყველა ენა ისტორიულად მართვის იცვლება, თუნდაც ეს პროცესი ძალზე ნელი იყოს.

ა) ძველი ქართული ენა V-დან XI საუკუნეებდე არ იყო ერთგვაროვანი. მეცნიერთა აზრით, V-VII საუკუნეებში ქართულ ენას ახასიათებდა „ხანმეტობა“, VIII საუკუნეში კი – „ჰაემეტობა“.

ა. შანიძემ 1922 წელს ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ქართული ტექსტის გაშიფრის შემდეგ განმარტა ტერმინი „ხანმეტობა“, რომელიც პირველად გვხვდება გიორგი მთაწმინდლის ნათარგმნი სახარების ანდერძში, სადაც ნახსენებია ოთხთავის „ხანმეტი“ და „საბაწმინდური“ ტექსტები. მეცნიერმა დაადგინა, რომ ხ-პრეფიქსი ტექსტში გამოყენებული იყო ზმნის II სუბიექტური და III ორიბობიექტური პირების ნიშნად, ასევე – ზედსართავი სახელის

უფროობითი ხარისხის ფორმებში და ინიან ვნებითებში. მაგალითად ჩჟამე, ხიხილე, მიხცა, ხთხოვა. მაშასადამე, ეს პრეფიქსი ზემომეტი იქნებოდა XI საუკუნეში, გიორგი მთაწმინდლის პერიულშეცავა ამიტომაც უწოდა მან ასეთ ტექსტს „ხანმეტური“. გიგანტური ამიტომაც უწოდა მან ასეთ ტექსტს „ხანმეტური“.

ტერმინი „პაემეტი“ (ა.შანიძემ შექმნა „ხანმეტის“ ანალოგით) გულისხმობს ტექსტს, სადაც ხ(ან) პრეფიქსის ადგილას პ(ა) დასტურდება: პუყო, პიხილე, შეპეწიე და სხვ.

მაშასადამე, ქართულ ენას V-VII საუკუნეებში ახასიათებდა „ხანმეტობა“, ხოლო VIII საუკუნეში – „პაემეტობა“. IX საუკუნიდან მოხდა დიფერენციაცია: ზოგან დაიკარგა პაე (ხმოვნებისა და რამდენიმე თანხმოვნის წინ), ზოგან კი შეიცვალა სან-ით (დოტი, ძცწ, ჯჩჭ-ს წინ).

ძველი ქართული ენა გამოირჩეოდა ასევე ფონეტიკური, მორფოლოგიურ-სინტაქსური თუ ლექსიკური თავისებურებებით. მასში არეკლილია ცოცხალი სასაუბრო ენის ფონეტიკურ-გრამატიკული პროცესები. ამ პერიოდის ქართული მხატვრული ლიტერატურა და თარგმანები შსოფლიო სულიერი კულტურის კუთვნილებად ითვლება.

ამას თვალინათლივ დაგვანახებს რამდენიმე ნაწყვეტი ხანმეტური და პაემეტური ტექსტებიდან.

იღემიას წინასწარმეტყველებიდან:

17, 26. „...და საკუმეველი და შესაწირავი და გუნდრუკი და მოხაქუნდეს ქებად სახელსა უ-ლისასა. 17, 27. და უკუეთე არა ხისმინოთ ჩემი წმინდა ყოფად დღი იგი შებათთად და რ-ა არა აღხილოთ ტკირთი და შეხვდოდით ბჭეთა ი-ცმისათა დღესა შბათთასა, აღხუაგზნე ცეცხლი ბჭეთა ი-დასთა და შეჭამნეს ზღურბლნი ი-ცმისანი და არა დაშრტეს“.

მათეს სახარებიდან:

7,6. „ნუ მოხცემთ სიწმინდესა ძალლთა, ნუცა დაბუგებთ მარგალიტსა თქ-ნსა წინაშე ღორთა, რა არა განგხეთქდენ თქუენ. 7,7. ხითხოვდეთ და მოგეცეს თქუენ, ხემიებდით და ხპოვოთ, ხირკვდით და განგელოს თქ-ნ, 7,8. რ- ყ-ლი, რ- ხითხოვს, მიიღის და რ-ლი ხეძიებს, პოვის და რ-ლი ხირექს, განხელის“.

უდაბნოს მრავალთავიდან (IX-X სს.)

„ხ- ნეტარი ჰელენე დედოფალი სავსე იყო სარწმუნოებითა ღ-დათა და იყო იგი წამიერ კითხვად წ-დათა წიგნთა ძუელისა და

ახლისათა და აღთქუმათა გამოეძიებდა. და იწყო გულს-მოდგრინებით ძიებად სამხჭუალთა მათთვეს ჯ~რისათა, რ~ლითა უკუთურთა მათ პურისათა მაცხოვარი დამხჭუალეს. და მოუწოდა იუდაიუ უკუთურთა სახელი ერქუა კურაოზ, და პ~ქა მას: ჯ~რისა მისთხუ უკუთურთა წადილი ჩემი, ხ~ სამხჭუალთა მათთვეს ძელისა ჯ~რისათა, რ~ლინი იგი დამხჭუალულ იყვნეს ზ~ა ჯ~რსა მას, ამათ მაქუ გულსა იჭკ“...

ძველ ქართულ ენაზე იწერებოდა მდიდარი ქართული სასულიერო ლიტერატურა.

### ბ) საშუალი ქართული ენა

საერო ლიტერატურის განვითარებასთან ერთად დაიწყო საეკლესიო და საერო მწერლობის ენის ერთგვარი შერწყმა.

საშუალ ქართულში (XII-XVIIIსს.) თანდათანობით მკვიდრდება ახალი ფორმები (მოხდა ბრუნვისა და რიცხვის ნიშნების, თანდებულების, ზმის პირის ნიშნების, მწერივთა ფორმების სახეცვლილება და ა.შ.), ხშირად ძველი და ახალი ფორმა ტექსტში ერთდროულადაც გვხვდება, ე.ი. ძველისა და ახლის თავისებური ნაზავია.

დიდი წვლილი მიუძღვით საშუალი ქართულის ჩამოყალიბებაში ქართველ მწიგნობრებს: ექვთიმე და გიორგი მთაწმინდლებს, ეფრემ მცირეს (საბერძნეთში ათონისა და შავი მთის სკოლა), ბულგარეთში – პეტრიწონის მონასტრის მოღვაწეებს და სხვ.

XI საუკუნის დასასრულს ჩაისახა საშუალი ქართული სალიტერატურო ენა. საოცრად დაიხვეწა და გამდიდრდა ქართული ჰიმნოგრაფიის ტრადიციები საერო პოეზიაში, ლექსთეწყობაში. შოთა რუსთაველის ენა გარკვეულწილად ეპოქამ შექმნა, რადგან გენიალური პოეტი გვერდს ვერ აუვლიდა იმდროინდელ სალიტერატურო ტრადიციებს, მაგრამ მისმა პოემამ და საოცრად დახვეწილმა, სადა ენამ, თავის მხრივ, უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა თვით ქართული სალიტერატურო და სასაუბრო ენის განვითარებაზე. განვითარდა XI-XVIII საუკუნეების ქართული სამეცნიერო და ფილოსოფიური ენა (გავისენოთ შესანიშნავი მატიანე „ქართლის ცხოვრება“, XI-XIIIსს. ფილოსოფიური აზროვნების უზარმაზარი წარმომადგენელი იოანე

პეტრიწი, მრავალი ორიგინალური და ბერძნულიდან ნათარჯონი თხზულების ავტორი).

ითანე შავთელის, ჩახრუხაძის, შოთა რუსთაველური კრესები ხონელის, სარგის თმოგველის, თეიმურაზ I-ის, არჩილებულის გურაშიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, ბესიკის ნაწარმოებები საშუალი ქართულითაა დაწერილი, თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული გრამატიკული ფორმებისა თუ სიტყვების უმრავლესობა სავსებით ბუნებრივია დღევანდელი ქართველისათვისაც.

განა რამე მოძევებულად უღრს დღევანდელი ქართველისთვის ამ აფორიზმებში: „ლეკვი ლომისა სწორია, მუ იყოს თუნდა ხვადა“, „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“, „თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰეონია“? ასეთი მაგალითის დასახელება კიდევ ბევრის შეიძლება.

ცოცხალმა ხალხურმა სამეტყველო ენაშ სალიტერატურო ქართულს შესძინა ენობრივი სილალე, მოქნილობა, სისადავე და დაარღვია ადრე ჩამოყალიბებული საეკლესიო სტილისთვის დამახასიათებელი დოგმები, შტამპები და ენობრივი ნორმები.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ საისტორიო წყაროებსა და საბუთებს.

საშუალი ქართულის ნიმუშად მოვიყვანთ ნაწყვეტს ვაზუშტი ბატონიშვილის საისტორიო თხზულებიდან „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: „ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შევნიერნი, ჰეროვანნი, შავ თვალ-წარბ-თმოსანნი, თეთრ ყირმიზნი, იშვით შავგვრემან და მოყვითან, იშვით თვალჭრელ და გრემანი და მწითურ ანუ თეთრ. ...წერწერტნი, უმეტეს ქალნი, იშვით სქელნი. მხნენი მუშაქნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შიდა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი“.

საშუალ ქართულზე შეიქმნა ასევე მდიდარი იურიდიული, საისტორიო, ფილოსოფიური, სამედიცინო ლიტერატურა, ითარგმნა სპარსული თუ რუსული ლიტერატურის ნიმუშები.

ამ დროს დაიწყო აღმოსავლური ენებიდან ნასესხები სიტყვების გაქართულება, ენის დახვეწა, რაშიც დიდი როლი შეასრულა სულხან-საბა ორბელიანმა, რომლმაც შეადგინა „სიტყვის კონა“ – ქართული ენის პირველი განმარტებითი ლექსიკონი, სადაც სრულყოფილად აჩსნა სიტყვათა მნიშვნელობა, მიუთითა უცხოური

სიტყვების წარმომავლობა და ქართული შესატყვისები ამ  
ლექსიკონის მნიშვნელობა დღესაც განუზომელია ქართული  
სალიტერატურო ენისათვის.

სულხან-საბასა და დ. გურამიშვილის ენა შემონაცემების ზე  
ხალხურ მეტყველებასთან, გამოიჩინოდა სისადავით, სინატიფით.

მე-18 საუკუნის II ნახევარში ანტონ I-მა ბაგრატიონმა (კათალიკოსმა) საქართველოში დაკანონა „სამი სტილის თეორია“, რომელიც სათავეს იღებდა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან, როცა მკაცრად იცავდნენ განსხვავებული სტილისთვის აუცილებელ ენობრივ ღოვგებსა და ნორმებს. ამ თეორიის მიხედვით, არ შეიძლებოდა ერთნაირად საუბარი ან წერა ყველა საგანზე. ღვთისმეტყველებას შეეფერებოდა „მაღალი სტილი“ – ძველი ქართული სასულიერო თხზულებებისა და XI საუკუნის ფილოსოფოსისა და მთარგმნელის – იოანე პეტრიწის სტილი; საშუალი სტილით ანუ დარბასისლური ქართულით უნდა დაწერილიყო ისტორიული თხზულებები, პუბლიცისტიკა; დაბალი სტილი ანუ ბუნებრივი სასაუბრო ენა უნდა გამოყენებინათ ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აბბებისთვის, საქმიანი მიმოწერისათვის. ცხადია, ეს არც იყო უცხო ქართული სინამდვილისთვის, მაგრამ ამ დროს წესები გამკაცრდა, ენა დამბიმდა და დაბრკოლება შეექმნა სალიტერატურო ქართულის ბუნებრივ განვითარებას.

მაღალი და საშუალი სტილი გაუგებარი, ბუნდოვანი და ძნელად გამოსაყენებელი გახდა ღვლარჭნილი რთული წინადადებების, მიმღებების სიჭარბის, ხელოვნური მარალფარდოვნების გამო.

მოვიყვანთ მაღალი სტილის ნიმუშად ნაწყვეტს ანტონ კათალიკოსის ერთ-ერთი ტექსტიდან: „მართალ არს და ცხად, ვითარმცა ქართულისა კიდე ენად არა ვიცი და ვერცალა მივსწუმთ ენასა სლავენურსა უმჯობესობის. და უკატ თქუას ვინმე, ვითარმედ თუ ვითარ გარდამოვიდე ესენი. მაგრა უწყოდეს მან, ვითარმედ სლავენურისა თარგმანი მიუნდევ გაბრიელ ხუცესსა, თარგმანსა ჩემსა, რომელმან დაღათუ არა უწყოდა ღრამმატიკა, არცა სლავენური და არცა ქართული, არამედ ღრამმატიკოსნი მყუშის რუსნი კლირიკი ეკკლესიისა ჩემისანი, რომელთა ახლად დაესრულათ სკოლად სინტაქსისა და სხუათა შემდგომადთა მოძლუარ ქმნილიყუნეს“.

მსგავსია ნაწყეტი იოანე ბაგრატიონის „კალმახობიდან“ (XVIII ს. II ნაბ.): „ზმა არს ნაწილი სიტყვასა, რომელიცა ნიშნავს ანუ ყოფასა, ანუ მოქმედებასა არსისასა, აგრევე ქმნასა და უმცირებელს ნიშნიდეს ქუმშე უამისა პირითურთ... ყოველი ზმა ანუ კანონიერი არს, ანუ უკანონო. კანონიერი ზმნანი არიან იგინი, რომელიცა განვლიან ყოველთა შინა დროთა და არა იცვალებიან მიმოხრათა შინა თვესთა. ხოლო უკანონონი არიან იგინი, რომელიცა ნაკლ არიან დროებითა და ჰსცვალებენ მიმოხრათა თვესთა“. როგორც ვხდეთ, ორივე ამონარიდის ენა საკმაოდ რთულია და გასაგებად ძნელი.

მაშასადამე, არსებობდა, ერთი მხრივ, „ეკლესიური“, „დარბაისლური“ და, მეორე მხრივ, „გლეხური“ ანუ მდაბიოთა ენა. ანტონ I-ის თეორიის გავლენა ქართულ სალიტერატურო ენაზე თითქმის კრთი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდე მოაღწია. ქართველ რომანტიკოსთა ენაშიც საგრძნობა ამ თეორიის გავლენა (მაგ., არქაული გრამატიკული ფორმები და ლექსიკა).

გ) ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულეს XX-ის 60-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და იაკობ გოგებაშვილმა.

ახალმა თაობამ სალიტერატურო ქართული დაუახლოვა ხალხურ სადა მეტყველებას, უარყო მძიმე, მაღალფარდოვანი, ხელოვნური წიგნური ენა, მისაღები და აღიარებული ძველი თაობისათვის და იბრძოდა ერთიანი სალიტერატურო ენის აღსაღებად.

ილია ჭავჭავაძემ დაიწყო ორთოგრაფიული რეფორმა და ხმარებიდან ამოიღო რამდენიმე ასო, რომელთა შესატყვისი ბერები უქვე აღარ იყო იმდროინდელ ქართულ მეტყველებაში: ც, ჩ, ჟ, ჲ, ტ, შ, ფ (არაქართულ სიტყვებში).

ძველი და ახალი თაობის დაპირისპირების მიზეზი გახლდათ სწორედ სალიტერატურო ენის საკითხები. ეს ბრძოლა ცნობილია „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის სახელით. მასში მონაწილეობდა ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი. ძველი თაობიდან: ბარბარე ჯორჯაძე, ექ. წერეთელი, გიორგი ბარათოვი, რევაზ ერისთავი, გრ. ორბელიანი და სხვ. ახალი თაობიდან: ილია ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, გაზეთ

„დროების“ ირგვლივ დარაზმული ახალგაზრდობა... იღიამ თუ ის პიგრამებში გააკრიტიკა დიდი ჩინოსნები და მოხელეები რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი და ივანე მუხრანს კუთხით 1855 წლის იასელიანი, დიმიტრი ყიფიანი, იასე ჭავჭავაძე, ლევან მელიქიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე, გრ. ორბელიანი და სხვ.

„თერგდალეულები“ იბრძოდნენ სალიტერატურო ქართულის დაახლოებისათვის ხალხურ მეტყველებასთან. ახალგაზრდა იღიას წინაშე დაისვა რამდენიმე გადასაჭრელი პრობლემა: ანბანის გამარტივება, არქაული და ხელოვნური ლიტერატურული ნორმების განდევნა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, საერთაშორისო სიტყვების დაქვიდრება, ტერმინოლოგის მოწესრიგება, არაბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციებისა და ფრაზეოლოგიური კალკებისაგან ენის განთავისუფლება და სხვ. ყველა ამ საკითხს მან შესანიშნავად გაართვა თავი აკაკი წერეთელთან და სხვა თანამოაზრებთან ერთად.

ახალმა თაობამ დაამკვიდრა ახალი ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცოცხალ მეტყველებასთან. ენა შეივსო ახალი ცნებებით, ტერმინებით, საერთაშორისო სიტყვებით, დაიხვეწა ლექსიკა და გამარტივდა მორფოლოგიურ-სინტაქსური წყობა.

ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის ბრძოლა არ იყო ადვილი. იღიას „უსაყველურებდნენ“, „მდაბიური“, „ბიჭუჭების“, „ბაზრის“ ენით წერო, აკაკის ენას „სოფლური“ უწოდა ანჩისხატის დეკანოზმა ეფრემმა (თავადმა ირაკლი ლორთქიფანიძემაც დაუწუნა მას ენა). მათ ლანძღვა-გინებას არ აკლებდნენ, დარბაასლური ქართულის დაკინებაში სდებდნენ ბრალს და დედაენის მტრებადაც აცხადებდნენ, მაგრამ ისტორიამ თვალნათლივ დაგვანახა ახალი თაობის პოზიციის მართებულობა ენობრივ საკითხებში. ახალ თაობას არასოდეს უთქვამს უარი ძველ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებზე, მაგრამ იცოდნენ, რომ სალიტერატურო ენა უნდა დაეფუძნოს ხალხურ ცოცხალ მეტყველებას, ხალხში ჩამაღლულ ენობრივ საუნჯეს.

ქართული ენის პრობლემა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული შეგნებისა და თვითშენარჩუნების საკითხთან. აქვე უნდა დავასახლოთ დიდი ღვაწლი იაკობ გოგებაშვილისა, რომელმაც „დედა-ენით“ (1878წ.), „ბუნების კარით“, „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნით მოსწავლეთათვის“ ქართველ ბავშვებს

მისცა შშობლიურ ენაში შესასელელი გასაღები, დედამიწაზე განვითარების „ბუნებითი იარაღი“ და მრავალი თაობა აღზარდა ამ შესანიშნავი წიგნებით, აზიარა ბავშვები ხალხურ მუტკეცვაზე ქართულ ფოლკლორს. ის დედაენას უწოდებდა ხალხის „სულისა და გულის ენას“ და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სწავლება შშობლიურ ენაზე დაფუძნებულიყო.

იმ პერიოდში კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსმა კირილე იანოვსკებმ ოფიციალურად სცადა ქართული ენის განდევნა სახალხო სკოლიდან. მას ამის გამო მკაცრი და დაუნდობელი პასუხი გასცა იღია ჭავჭავაძემ, შეუწყნარებელი პოზიცია გამოამჟღავნა პოლემიკაში იაკობ გოგებაშვილმაც.

XIX საუკუნეში აღორძინდა ქართული მეცნიერება, პუბლიცისტიკა, თეატრი, პედაგოგიკა, ინტენსიურად დაიწყეს მთარგმნელობითი საქმიანობა, ახალი თაობა გაბედულად იბრძოდა სკოლებში დედაენის უფლებების დასაცავად.

ახალი ქართული სალიტერატურო ენა აგრძელებს ჩვენი მწერლობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. მას იღიას, აკაკის, ვაჟას ენა დაედო საფუძვლად და გაგრძელდა XX საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედებაში (დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, ლევან გოთუა, ვასილ ბარნოვი, გალაკტიონ ტაბიძე, გოგლა ლეონიძე და სხვ.). მათ გაამდიდრეს და დაზვეწეს ახალი ქართული სალიტერატურო ენა.

თანამედროვე ქართული ლიტერატურა დღემდე მიჰყვება სალიტერატურო ენის განვითარების ძირითად ხაზს და მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ცოცხალ მეტყველებასთან. მართლაც, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“ და „ხალხია ენის კანონის დამდები“ (იღია ჭავჭავაძე).

ენა მუდმივად იცვლება, ვითარდება, ზოგი გრამატიკული ფორმა ძველდება და ახლით იცვლება. ეს ცვლილება განსაკუთრებით იგრძნობა ლექსიკაში. ბევრი სიტყვა დღეს უკვე მოძველებულია (არქაიზმები, ისტორიზმები) და აღარ გამოიყენება, ზოგმა მნიშვნელობა შეიცვალა, მკვიდრდება ახალი უცხოური სიტყვები, იქმნება ნეოლოგიზმები.

დღეს არქაზმებად ითვლება: მტილი (ბოსტანი), მუქარი (ბაყაყი), ტარიგი (კრავი), ხამლი (ფეხსაცმელი), მეზურე (მეზური), თანანალები (ვალი), მუნ (იქ), უდები (ზარმაცი), ზორი ზორისა (თუთიფუში), როკვა (ცეკვა), საუშვინველი (სული) და სხვა დართული სიტყვას: „ცხედარი” ადრე ნიშნავდა საწოლს, ლოგინს, ტახტს, „კუბი”-ტახტრევანს, „მელვინე”-მსმელს, ლოთს, „მღერა”-თამაშს, ხტომას, „მედგარი”-ზარმაცს, მშიშარას, „თამაში”-ცეკვას, „მეცნიერი”-მცოდნეს, ნაცნობს, „გუაძი”-სხეულს, „აგარაკი”-ყანას, მიწას, „პატიჟი”-სასჯელს, „ქვეყანა”-მიწას, „სოფელი”-მსოფლიოს, „მეჭურჭლე”-მოლარეს, „წიგნი”-წერილს და ა. შ.

მაღალ დონეზე განვითარებული ქართული ლიტერატურა (პროზა თუ პოეზია), დრამატურგია და კრიტიკა, ქურნალისტიკა, თეატრი, კინო, ტელევიზია, ქართულადაა ამერიკულებული მეცნიერების ყველა დარგი (ტექნიკური, საბუნებისმეტყველო თუ ჰუმანიტარული). ქართული სალიტერატურო ენა მდიდრდება ახალი ტერმინებით, ივსება ცოცხალი ხალხური ენიდან შემოსული სიტყვებითა და გამოთქმებით, მაგრამ აუცილებელია ზრუნვა მისი სიწმინდისთვის, ბრძოლა ბარბარიზმებისა და ფარგონების წინააღმდეგ. ამისთვის კი ახალგაზრდობამ უნდა შეიგნოს დედაქანის მნიშვნელობა, გაითვალისწინოს საკუთარი პასუხისმგებლობა ამ დიდი ტრადიციების ენის წინაშე.

#### §14. სალიტერატურო ენა და დიალექტები

ქვეყნის სხვადსხვა კუთხეში ადამიანები განსხვავებულად ლაპარაკობენ. ეს ვლინდება როგორც ბერების წარმოთქმასა და ინტონაციის თავისებურებაში, ისე განსხვავებულ ლექსიკასა და გრამატიკის ცალკეულ წესში. რაც უფრო კარჩაკეტილი იყო ქვეყნის სხვადასხვა კუთხე, რაც უფრო დაქსაქსული იყო საერთოდ ქვეყანა აღმინისტრაციულ რაიონებად, მით უფრო დიდია განსხვავება მის მცხოვრებთა მეტყველებაში. ამდენად, ამ განსხვავებათა და თავისებურებათა ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა გეოგრაფიული, ისტორიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები.

სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოიძებნა ენისა და დიალექტის  
განმასხვავებელი ზუსტი საკლასიფიკაციო ნიშანი. ზოგჯერ  
დამოუკიდებელი ენა გამოყოფილია პოლიტიკური ან რეკორდული  
თვალსაზრისით (მაგ., სერბიული და ხორვატული, ჩეხურული და  
სლოვაკური, აზერბაიჯანული და თურქული, მოლდავური და  
რუმინული, რუსული და ბელორუსული თავისუფლად შეიძლებოდა  
ჩაგვეთვალა დიალექტებად).

დიალექტი ანუ კილო ეწოდება ერთი ენის ფარგლებში  
კუთხური მეტყველების თავისებურებათა ერთობლიობას (ბერძულად  
„dialectos“- მეტყველება, წარმოთქმა, საუბარი, სამეტყველო სტილი)  
ანუ ესაა ცოცხალი ხალხური სასაუბრო მეტყველება ამა თუ  
ტერიტორიაზე. სალიტერატურო ენა და დიალექტი ერთმანეთისაგან  
განსხვავდება.

სალიტერატურო ენა ერთს, ეთნოსის კულტურის  
გამაერთიანებელია. ვერ კიდევ ფერდალური კარჩაკეტილობისა და  
კუთხეებად დაქუცმაცებულობის დროსაც საქართველოს მთელ  
ტერიტორიაზე წირვა-ლოცვა და ქადაგება ქართულად მიმდინარეობდა.  
სალიტერატურო ქართულით წერდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა  
კუთხის შვილები: იოვანე ლაზი, იოვანე მინჩხი, სტეფანე სანაოის ძე  
ჭყონდიდელი, ანტონ ჭყონდიდელი...

### ა) სალიტერატურო ენისა და დიალექტების განმასხვავებელი ნიშნები

ჩამოვთვლით რამდენიმე განმასხვავებელ ნიშანს სალიტე-  
რატურო ენასა და დიალექტებს შორის:

1. სალიტერატურო ენა ერთია, დიალექტი კი – ერთზე მეტი.

2. მართალია, სალიტერატურო ენა იქმნება რომელიმე  
დიალექტის (ან დიალექტების) საფუძველზე, მაგრამ სავსებით მაინც  
არ იმეორებს ფუძედიალექტს, სცილდება თავის მასაზრდობელ  
წყაროს და თანდათან ითვისებს სხვა დიალექტის მასალასაც, კერძოდ  
ლექსიკას. ფუძედიალექტის არჩევა განპირობებულია ამა თუ იმ  
კუთხის წარმომადგენერაციის წამყვანი როლით ქვეყნის საზოგადოებრივ-  
პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და სრულიად არ ნიშნავს  
ამ კილოს გამორჩეულ ენათმეცნიერულ უპირატესობას.

3. ცოცხალი სალიტერატურო ენა საზრდოობს კილოვანთ და  
მათ გარეშე ვერ იარსებებს, ვერ განვითარდება და ჰვდება. რაც  
დაქმართა კიდეც ბევრ ენას.

4. სალიტერატურო ენა მდიდრდება სხვა ენებთაში კუთხით და  
სხვადასხვა სახის ლიტერატურის თარგმანით, იხვეწება და  
მდიდრდება სიტყვა-გამოთქმებით, ახალი ტერმინების შექმნით.

5. სალიტერატურო ენა კულტურის მონაპოვარიცაა და ერის  
კულტურული განვითარების დარაღიც. ამ მიზნის უქეთ  
შესასრულებლად მას სჭირდება კონტროლი, ნორმირება. ზეპირი  
დიალექტური მეტყველება კი კონტროლს არ ექვემდებარება, არც  
ნორმირებულია და შეუზღუდავად ვითარდება.

6. სალიტერატურო ენა ერის, ხალხის კონსოლიდაციის  
საფუძველია. ის პოლიფუნქციურია, რადგან მისი მეშვეობით იქმნება  
მხატვრული, სამეცნიერო, ტექნიკური, პოლიტიკური, პუბლიცისტური  
ტექსტები, სახელმწიფო კანონმდებლობის დოკუმენტები,  
მიმდინარეობს სწავლება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში,  
ე.ი. სალიტერატურო ენას პრესტიჟული მდგომარეობა უკავია.  
დიალექტს კი ბავშვი ისმენს ოჯახში, ვიწრო წრეში, იყენებს  
მხოლოდ რომელიმე კუთხის მოსახლეობაში.

**შენიშვნა:** მხოლოდიოს 5.000-მდე ენას შორის ცოტა დამწერლობის  
მქონე სალიტერატურო ენა. ზოგიერთ ძველანაში სალიტერატური ენას  
ასევე აღიარება სწავლობენ. მაგალითად, ინგლისურენოვან სამყაროს აერთიანებს  
მხოლოდ სალიტერატურო ინკლინის გერმანულის დასაღებები ისე  
დასცილდა ერთმანეთს, რომ მხოლოდ სალიტერატურო გერმანული (გ. წ.  
Hochdeutsch) აერთიანებთ მათ ერთ ერთ ერთრივ კოლექტივად (დალგუქტებია:  
საქართველო, შეაბიური, ბაკარიული, თურქონგული და სხვ.). ასევე არაბულ  
ენაშიც. ჩინურის დალგუქტების სხვაობა იძლება შორსას წასული, რომ  
ვამსერთიანებული მხოლოდ დამწერლობა (ამაზომც ვერ მოხერხდა დღემდე  
ჩინურში ფონეტიკური ანბანის შემოღება ან არსებულის გამარტივება). ბევრი  
დიალექტია იტალიურშიც (ვენეციური, მილანური, რომანული, ტოსკანური,  
გენუური, სიცილიური...). მწერალი კარლო გოტლინი ვენეციურ დიალექტზე  
წერდა, პიეტრი კარლო პორტა (XVIII-XIX სს.) – მილანურზე, ჯოვანი ბელი  
(XVIII-XIX სს.) და პიერ პაოლო პაოლინი – რომანულზე. ალბერტო მორავის  
რომანი „ჩინჩარა“ რომანულ (დედაქალაქურ) დალგუქტზეა დაწერილი და ა.შ.  
მართალია, სალიტერატურო იტალიური ბევრ რამები უჩინობა რომანულს,  
მაგრამ იგი კუნძულის ალბერტო მორავის წერდა: „დალგუქტის ფუნქცია ღდებ  
სალიტერატურო ენის გამდიდრებით და განახლებით უნდა შემოიფარგლოს“.

ბ) ქართული ენის დიალექტები

უნდა ითქვას, რომ კილოთა რაოდენობა არაა დამოკიდებული ქვეყნის ტერიტორიის სიდიდეზე.

ქართულ ენაში გამოყოფენ 16 დიალექტს (ზოგი მეცნიერი მეტსაც), რომლებიც სამ ჯგუფადაა განაწილებული: აღმოსავლური, დასავლური და სამხრული. დიალექტების გამოყოფას საფუძვლად უდევს ეთნიკური და გეოგრაფიული საკლასიფიკაციო პრინციპი (თუმცა ეს პრინციპიც და ასევე დიალექტთა რაოდენობა ქართულში დღემდე საკამათოა მეცნიერთა შორის).

აღმოსავლურ კილოებს ყოფენ ორ ჯგუფად: ბარისა და მთის კილოებად.

ბარის კილოებია: ქართლური, კახური (ქიზიყურითური).

მთის კილოებია: მოხური, ფშაური, ხევსურული, მთიულურ-გუდამაყრული, თუშური (იგივე ჩალმათუშური; წოვათუშური ანუ ბაცბური ქისტურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება და არაა ქართული ენის დიალექტი). თუშური, ხევსურული და მოხური კილოები ქმნის ე.წ. „ფხოურ“ ჯგუფს.

დასავლური დიალექტებია: იმერული, გურული, რაჭული, ლეჩხუმური (ზოგჯერ ცალკე გამოყოფენ მთა-რაჭულსაც).

სამხრულია: მესხურ-ჯავახური, აჭარული.

საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებულია: ინგილოური (აზერბაიჯანში – კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში), იმერხეული ანუ კლარჯული (თურქეთში, შავშეთის მხარეში. ენობრივად უახლოვდება აჭარულს, ცოტათი გურულსაც), ფერეიდნული (ირანი, ისფაჰანის მხარე. აქ ცხოვრობენ XVII საუკუნეში შაპ-აბასის მიერ კახეთიდან და ქიზიყიდან გადასახლებულ ქართველთა შთამომავლები). ინგილოური და ფერეიდნული ისტორიულად კახური კილოს განაყოფს წარმოადგენს.

შენიშვნა: არსებობს განსხვავებული ქლასიფიკაციაც. მაგ., მესხურ ჯგუფში გამოყოფენ აჭარულს, იმერხეულს, მაჭახლურს, ლივანურს, ტაოურს, სამცხეურსა და ჯავახურს. ინგილოურს უწოდებენ ჰერულსაც.

ფერეიდნში არის სოფლები: მარტყოფი, სიბაქი (ვაშლოვანი), ჩუღრუთი, ჯაყვაყი, დაშქესანა, ბოინი, თორელი (თელავი), აფუსი

(რუსპირი), ახმა. სამწუხაროდ, ახალი (არაქართული) სახელმძღვანი თანდათან უფრო მეტად იკიდებს ფეხს.

1998 წელს ფერეიდანში ყოფნისას ენათმეცნიერთა მუზეუმის ჩეუბინიშვილმა გააკეთა საინტერესო ჩანაწერები. თურქეთის ფერეიდნელი ქართველები განიცდიან, რომ მათ ენას „ბური ფარსი შეიძრევია“.

გულჩერა ხუციანი (ხუციაშვილი) წერდა თურმე: ადრე „იფო კარგი წესი იყო, გული ერთი ჰქონდავე, პარსული არ შემოსულიყო. შემოიდა პარსულმა და პარზადო (=ყველაფერი) გააფუჭა... ჰკანჭურებენ ენასაო, მაგრამ ინახვენო, ნამად (=კარგად) ინახავენო, რო არ დაიკარგოს ეს ჩონ ენაო. პარსულად არ ვამბობთა... მოხუცებმა ბეტრია, რო არ იციან, რო პარსული იძნან... ძალიან საყორველია ჩონ ენა ჩონთი“. ჰკანჭურებენ სიტყვის მნიშვნელობა ასე განუმარტავს: „აი ყმაწვილს რო ვირზე შავსომთყე, ვეტყითყე, რო მაგრა ჩავკანჭურე, მავკანჭურე (=ჩაებლაუჭე), რო არ გადმოვარდეო“.

ქართულად მეტყველებს 3 მლნ-მდე ადამიანი საქართველოში, აზერბაიჯანში (საინგილო), თურქეთში (ყოფილი შავშეთ-კლარჯეთი), ირანში (ისფაჰანის მხარე, თეირანის სამხრეთით), სოჭის რაიონში (სოჭ. პლასტუნკა), ჩრდ. კავკასიაში (ყაბარდო-ბალყარეთში), ჩრდ. ოსეთში. ზოგი მეცნიერი გამოყოფს ყიზლარ-მოზდოკურ და პლასტუნკურ დიალექტსაც (ქართველები ამ რეგიონში ჩასახლებულან XVIII საუკუნეში ქართლიდან და კახეთიდან ლეკთა ლაშქრობების გამო. პირველი ახალშენი დაუარსებდა ვახტანგ VI-ის ამალის ნაწილს 1724 წ.).

რუსეთ-თურქეთის ომების დროს ისტორიული მესხეთიდან (სამცხე-ჯავახეთიდან) და აფრიკან თურქეთში გადასახლებულ ქართველებს უწოდებენ „მუსკარუებს“, მათ მეტყველებას ცალკე კილოზ არ გამოყოფენ.

ქართული ენის კილოების გავრცელება რაიონების მიხედვით:

I. აღმოსავლური კილოები

ბარის: 1. ქართლურის გავრცელების არეალია: ბოლნისი, ბორჯომი, გარდაბანი, გორი, დმანისი, დუშეთი, თეთრიწყარო, კასპი, მარნეული, მცხეთა, ქარელი, წალკა, ხაშური. გამოყოფენ შიდაქართლურს, დასავლურს, ჩრდილო- და ქვემოქართლურ კილოკვებს.

2. ქახური (ქიზიყურითურთ) – საგარევო, გურჯაანთ, ახმეტა, კვარელი, სიღნაღი, ლაგოღენი, დედოფლის წყარო (გარეჭახური, შიგნიქახური), ქიზიყური – სიღნაღი, დედოფლის წყარო. გიგლიორითურთ  
მთის კილოები: 3. მოხური – ყაზბეგი, მდ. თერგის ორივე მხარე, სინოსწყლის ანუ ღუდუშაურის ხეობა

4. ფშაური – ღუშეთი, თანეთი, ახმეტა, დედოფლის წყარო, საგარევო, თელავი, კვარელი (ტიპობრივი ფშაური უკანა ფშავებია).

5. ხევსურული – ღუშეთი, ყაზბეგი, თანეთი, ახმეტა, მცხეთა, თელავი, საგარევო, დედოფლის წყარო, გარდაბანი (პირაქეთა არხოტული – ბარისახო, ბაცალიგო, შატილურ-მიღმახეური – არხოტის, შატილის რაიონები).

6. მთიულურ-გუდამაყრული – მდ. მთიულეთის არაგვის აუზი, ფასანაური, სადაბო და ქვეშეთი (ღუშეთის რ-ნი), მდ. გუდამაყრის არაგვის ხეობა.

7. თუშური (ჩაღმათუშური) – ახმეტის, პირიქითის ალაზნისა და თუშურის (გომეწრის) ალაზნის აუზში.

დასავლური კილოები:

8. იმერული: а) ქვემოიმერული – ვანი, სამტრედია, ბაღდათი, ხონი, თერჯოლა, ზესტაფონი, ქ. ქუთაისი, ტყიბული, წყალტუბო; б) ზემოიმერული – საჩხერე, ჭიათურა (თერჯოლური შუამერულია).

9. გურული – ლანჩხუთი, ჩოხატაური, ოზურგეთი.

10. რაჭული – ონი, ამბროლაური (მთარაჭული, ზემო- და ქვემორაჭული).

11. ლეჩხუმური – ცაგერი, წყალტუბო, ამბროლაური (მდ. რიონი, ლაჯანურისა და ცხენისწყლის ხეობები)

სამხრული კილოები:

12. а) მესხური – მტკვრის აუზში (ახალციხე, ასპინძა, აღიგენი); б) ჯავახური – ახალქალაქი, ასპინძა, ბორჯომი.

13. აჭარული – ქ. ბათუმი, ხულო, ქედა, ხელვაჩაური, შუახევი.

საქართველოს ფარგლებს გარეთ:

14. იმერხეული (ისტორიულად შავშეთ-კლარჯეთში) – მდ. იმერხევის აუზში მდ. ჭოროხის ხეობამდე (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაა).

15. ინგილოური – აზერბაიჯანში (ალაზნის მარცხენა მხარე) კახის (სოფ. კაქი ანუ კახ-საინგილო, ალათემური, მუშაბაში, ალიბეგლო, ქოთუქლუ, თამარლი, ზაგამი), ზაქათავლის (სოფ. ალიაბადი, მოსული), ბელაქნის რ-ნები (სოფ. ითითალა); გამოიყოფა 2 კილოკავი: კაქური და ალიაბადური.

16. ფერეიდნული – XVIII-ში კახეთიდან, ქიზიყიდან და საინგილოდან გადასახლებული ქართველები (სპარსეთში ესაა ისფაპანის მხარე და მოიცავს 14 სოფელს).

### გ) ქართველურ ენათა კილოები

კილოები გამოიყოფა სხვა ქართველურ ენაებშიც. მაგ., ზანური მოიცავს ორ კილოს: მეგრულსა და ჭანურს ანუ ლაზურს. ა) მეგრულის კოლოკავებია: ზუგდიდურ-სამურზაყანული და სენაკური; ბ) ჭანურისა (ლაზურის): ათინური, ხოფური, ვიწურ-არქაბული (სოფლების სახელების მიხედვით).

ლაზურად ლაპარაკობენ თურქეთში. XX საუკუნის 60-იანი წლებისთვის ლაზების რაოდენობა 100.000-ს აღწევდა (ართვინის, რიზეს, ტრაპიზონის, სამსუნის ვილაიეთებში, ბურსაში, იზმირში, ისტამბულსა და ანკარაში).

სვანურში გამოიყოფა შემდეგი კოლოები: ბალსზემოური, ბალსქვემოური (ზემო სვანეთში, მდ. ენგურის ხეობაში), ლაშნური, ლენტეხური (ქვემო სვანეთში, მდ. ცხენისწყლის ხეობაში). ზოვი შეცნიური გამოიყოფს ჩოლურულ დაღუქტსაც.

### დ) კილოზე მცირე ერთეულები; კოინე, სოციალური დიალექტი

თვითონ დიალექტის გავრცელების ტერიტორიაზეც შეინიშნება სხვაობა და შეიძლება კილოკავების გამოყოფა. მაგალითად, ზემოიმერული და ქვემოიმერული კილოკავები, შიგნიკახური და გარეკახური და ა. შ.

კილოკავზე წვრილი ერთეულია თქმა. მაგალითად, ქვემოიმერული კილოკავის თქმებია: ხონური, ვანური, ქუთაისური, სამტრედიული, ზესტაფონური... შიგნიკახურის: ყვარლური, გურჯაანული...

თქმაზე მცირე ერთეულია ქცევა. მაგალითად, ვანის თქმაში გამოიყოფა უხუთის, შეამთის ქცევები და სხვ.

საერთოდ ამბობენ, რომ ყოველი ინდივიდის მეტყველებაც /  
განსხვავებულია სხვადასხვა გარემოში. ერთი ინდივიდის მეტყველებას /  
გარკვეული სტილით იდიოლუექტს უწოდებენ. ეს ინდივიდის მეტყველებას /  
გამოყოფენ ე.წ. სოციალურ დიალექტებსაც, რაც განსხვავდება /  
ტერიტორიული დიალექტებისაგან. ესაა პროფესიული და სოციალური  
ჯგუფების ენა, ე.წ. ფარგონები ანუ სლენგები.

გაბატონებული დიალექტების საფუძველზე შექმნილ  
ყოველგვარ საერთო-სახალხო ენას კონის უწოდებენ. სხვადასხვა  
ეროვნების წარმომადგენლები ზოგჯერ ურთიერთგაგებინებისთვის  
იყენებენ გამარტივებულ ენას, რასაც პიჯინს (დამახინჯებული  
ინგლისური სიტყვისაგან business) ეძახიან. ზოგჯერ ის ეკრანობა  
ერთ ენას, მონათესავე ენებს ან სულაც რამდენიმე არამონათესავე  
ენას...

ე) ქართული სალიტერატურო ენის კავშირი დიალექტებთან

ქართული სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა იაკობ ხუცესის,  
გრიგოლ ხანძთელის, შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის,  
დავით გურამიშვილის მხატვრული შემოქმედების საფუძველზე. დიდმა  
სალიტერატურო ტრადიციებმა აქცია ქართული საერთო სალიტერა-  
ტურო ენად საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილებისათვის.

როგორც მეცნიერები თვლიან, სოციალურ-პოლიტიკურმა,  
ეკონომიკურმა და კულტურულმა ვითარებამ განაპირობა ქართლის  
დაწინაურება და მწიგნობრული ტრადიციების გამომუშავება,  
ამიტომაც იქცა ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლად ქართ-  
ლური დიალექტი (ამას ხელი შეუწყო ვერ მცხეთის სამეფოს  
დაარსებამ, შემდეგ კი კულტურული ცენტრის გადმოტანამ  
თბილისში დავით აღმაშენებლის დროს).

„XVIII საუკუნიდან ქართულში ფაქტობრივად ყალიბდება  
თავისებური „ზედიალექტი“ – თბილისური ქართული, შეზავებული  
აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული, სომხური...) ლექსი-  
კითა და ფრაზეოლოგით... ბაზისი ამ ქალაქური ქართულისა  
ქართლურ-კახურია, მაგრამ იმავდროულად მისგან საქმაოდ  
განსხვავებულიცაა“ (ბ.ჯორბერიძე).

აუცილებელია ხაზი გაუსვათ, რომ ქართული  
სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში თითქმის ყველა დიალექტმა

შეიტანა მეტ-ნაკლებად თავისი წელილი, ასევე მეგრულ-ჭანურმა და სვანურმა ენებმაც.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოხდა ერთობლივ და დიალექტების კენ. სოფლური (გლეხური) მეტყველებისა უდი ჭანურის (ხელოვნური) მეტყველების სინთეზის პარალელურად დაიწყო მეორე პროცესი – ენის ევროპეიზაცია.

„თერგდალეულებმა“ სწორად განსაზღვრეს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენცია – კავშირი მის სასიცოცხლო მასაზრდოებელ წყაროსთან, დაალექტებთან.

დღეს, ცხადია, დიალექტის გამოყენება შეზღუდულია, რადგან პრესა, რადიო, ტელევიზია, საშუალო და უმაღლესი განათლება ხელს უწყობს სალიტერატურო ენის გავრცელებას, მაგრამ შეუძლებელია ადამიანები ყველა კუთხეში ერთნაირად მეტყველებდნენ.

საერთოდ ენათა და დიალექტთა განვითარებაში ყოველთვის შეინიშნება ორი ურთიერთსაპირისპირო პროცესი: დიფერენციაცია (განსხვავების ზრდა, დაშორება) და ინტეგრაცია ანუ უნიფიკაცია (საერთო ნიშნების მატება, დაახლოება).

ვ) დიალექტური ლექსიკა და სალიტერატურო ენა  
დიალექტებს სპეციალურად სწავლობს ენათმეცნიერების დარგი – დიალექტოლოგია. ლინგვისტები იწერენ ლექსიკურ ერთეულებს, ტექსტებს, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, აანალიზებნ მათს ენობრივ თავისებურებებს, აღვენენ დიალექტურ ლექსიკონებს (მაგალითად, შედგენილია ქართლური, ქვემოიმერული, ლეჩუმური, მოხური, ქიზიფური, თუშური, ფშაური და სხვ. დიალექტური ლექსიკონები).

სულთან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ბევრი დიალექტური სინონიმია მითითებული. მაგალითად, ზრობის ბუდეში დასახლებულია: ხარი, ფური, ხბო, დიაკეული, ბოჩოლა, მოზვერი, კურო, აზავერი... თხა-სთან – ვაცი, ნეზვი, თიკანი, ბატკი, ბოტი, ვაციგი... ნავთან – ნუშა, ვარცლი, კარაპა, კარპაჭა, ხუმალდი, ონჩხომელი, ოლეჭკანდერი, კატარდა... ვარცხლა ნავს გურიაში ამბობენ, ოლეჭკანდერი მეგრულია, ონჩხომელი მეგრულად „სათვზაოს“ ნიშნავს.

ზოგიერთ სიტყვას დიალექტური სინონიმები აქვს, მაგ., ბავშვი – ბალი, ბოვში, ბაღანა; კომში და ბია, პაპა და ბაბუა, ბიცოლა და ძალო, გოგრა, ხაპი და კვახი, ბებია და დიდედა, ჩურჩულება ჯანჯუხი, თუთა და ბჟოლა, მურყმი და თხმელა, იფანი და კორიტი, თათარა და ფელამუში, აბრაგი და ფირალი, ცუდი და ფინთი.. კილოების მიხედვით ხშირად განსხვავებულია არა თვით სიტყვა, არამედ მისი გრამატიკული ფორმა ან ფონეტიკური ვარიანტი. მაგ., ზმნისწინები (მევიდა, წევიდა, დევმართა, მაიტანა, დესტრო, გოდოუგდო), პირის ნიშნები (არი, აქვ, ჰყავ, მანკალ, უთხრაყე, ყავდენ, აქვენ, შესძლებიყო), ზმნის თემის ნიშნები (თესამს, ბარამს, კვინტავს, დაუსხავს, სხლანს, რეცხანს, აბავს), ნაცვალსახელები (იგენი, მაგენმა, სხვანეირი, იი, რაცხა, ვინცხა, ყოლიფერი, რამფერი), ზმნიზედები (მადანა, აქანე, იქინე, მაქანე, მისდღემჩი, რაფრა, მაშვინ, კერე, ძან, ძრიელ), მიმართვის ფორმები (ქა! ბიო! ჯო! ჭო! გო! ბოშო! ცავ! ვაჟავ! ვეჟო!), შორისდებულები (ბეჩა! იმე!), ნაწილაკები (ქვე-შენი ჭირიმე, ქე), ზმნის მწერივთა წარმოება (დავხატე, დავთესე, ყურობს, შონილობს, ჯდანა, უიან, მოსულარიენ, მიდილარიენ, ჰქონიყო, დამალვიყო, დაეწერნა), ფონეტიკურად სახეცვლილი სიტყვა (ნავხე, ლაპარიკობს, თებზი, ნევსი, ქვილი, ეხვერწება და ა.შ.)

მაგრამ უამრავია ისეთი ლექსიკური ერთეული, რომელთა მხატვრულობა და სილაბაზე სალიტერატურო ქართულს მომხიბვლელობას შემატებდა. მაგ., ქართლში ამბობენ: გადამქარ-თულდა (=დამავიწყდა), მოქსოვილი კაცი (=გაიძვერა, ეშმაკი), სკვინჩას მაყარი (=დაბალი ადამიანი), ცომი შეაცოლებარა (=შეაზილა), ჩოხადამპალა (წვიმიანი დღეები), ფშაურში: ძილი გაიბრტყელა (გააგრძელა)... 1900 წელს გაზეთ „ივერიაში“ თედო რაზიკაშვილის შეგროვილი სალექსიკონო მასალიდან: ქართლური – ბებრისჭიპა (მხალი), გახანხვლა (ტყეილის გამოცხობა ზელდახელ), გულაკაცი (გულმოსული), დევისჭურა (მცნარე), ქარაჭეცა (ჭკუამსუბუქი კაცი)... ფშაური – ბაბუნი (ხარის ყვირილი), გაბიჭება (ნაბუშრის მოგება), გაჭირდიდება (გაზვიადება), გულქართლი (პურადი, გამეტებელი), დოფვი (მუწესკი), ენიაზება (ენატრება), ზარწყალი (მუწესკიდან გამოსული წყალი და სისხლი), ირმის ტუჩა

(სექო), ტილჩუატა (სენი), ცასწავალა (ტოროლა), ცინტა (სურამი), ჭამაფიცილა (რომ ჭამს და თან იძახის, არაფერს ვჭამო)...

თითოეული მწერალი ამა თუ იმ კუთხის შვილის უნებურადაც იყენებს დიალექტურ ლექსიკას, ხან კი – პერსონაჟის ან გარემოს დასახასიათებლად. ეს მხატვრული ხერხია სპეციფიკური კოლორიტის შესაქმნელად.

დიალექტიზმები დასტურდება ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში, სასულიერო მწერლობის ორიგინალურ თუ ნათარგმნ თხზულებებში, ისტორიულ ტექსტებში, მატიანებში, შოთა რუსთაველთანაც კი.

ქალაქურ-ვაჭრულ უარგონს ვხვდებით გ. ერისთავის კომედიებში. ამ სიტყვებს იყენებდნენ ქალაქის წვრილი ვაჭრები – კინტოები (ძირითადად თბილისში, ასევე გორში, სიღნაღმა და თელავში). საინტერესოა ე. წ. ყარაჩოლული უარგონიც, რომელიც თბილისში იყო გავრცელებული და შეზავებული გახლდათ თათრული, სომხური, სპარსული, რუსული სიტყვებით (გავიჩსენოთ გრ. ორბელიანის ლექსი „კინტოს სიყვარული“; ყარაჩოლელისა და კინტოს მეტყველების განსხვავებულობაზე საინტერესოდ წერდა ი. გრიშაშვილი „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოპექტაში“).

დიალექტიზმების გამოყენებისას მწერალს დიდი სიფრთხილე და თავშეკავება მართებს, რომ ზედმეტად არ გაიტაცოს დიალექტიზმებმა და არ დაშორდეს სალიტერატურო ენას. ვაჟა-ფშაველა ფშავურ დიალექტს შეგნებულად იყენებდა პოეზიაში, ალ. ყაზბეგთან ვხვდებით მოხური დიალექტისთვის დამახასიათებელ ფორმებს, დ. კლდიაშვილთან და ნ. ლორთქიფანიძესთან – იმერულს, ე. ნინოშვილთან, ნ. დუმბაძესთან – გურულს და ა.შ.

სალიტერატურო ენისათვის ცოცხალი კილოა ძირითადი მასაზრდობელი და ლექსიკის გამდიდრების წყარო. მაგალითად, ვაჟა-ფშაველასთან ვხვდებით სიტყვებს: ქუჩი, დეკა, ჩქამი (ხმაურობა), აბირება (მონდომება), ჭიუხი (წვეტიანი კლდე), ყინჩი (კოხტა, ლამაზი), ბოჟირი (დაწიოკება), უკუკი (ბრწყინვა); სოფრომ მგალობლიშვილთან: საღ-სალამათი (ჯანმრთელი), ბაბანი (ხმაური, ხრიალი), ლირუ (ურცხვი, უნამუსო), ჭაჭანი (წარამარალაპარაკი)... დ. კლდიაშვილთან: გაცუცურაკება (გაწბილება, შერცხვენა), მოლეული (დამთავრებული), ჩხინჯი (ჩხირი),

ამობუსკული (ამობურცული), ყანყალი (ყიალი), წრიპა (სუნგა), გამხდარი)... ე. ნინოშვილთან: ციცა (ქალიშვილი), ჭინჭი (ჩვარი), ელანძე (უცებ), ყურყუტი (ლოდინი), ფუტი (ბოლი), ყუჩი (ჩრდილი), ადალი (სულელი), კურცხალი (ცრემლი)...

ქართლში ცუდბალახთა საერთო სახელწოდება ყოფილა სარველი (ნიკო კეცხოველს ჩაუწერია), ივ. ჯავახიშვილმა გამოიყენა ეს სიტყვა სარველა ფორმით და შემდევ ასე დამკვიდრდა კიდეც. შინაგრა შ. ძიძიგურმა ჩაიწერა და შესთავაზა კ. გამსახურდიას; ლიანდაგი ნიკო ნიკოლაძემ შემოიტანა (დედის მეტყველებაში შენიშნული სიტყვა), ლილვი ტექნიკურ ტერმინოლოგიაში შევიდა დაალექტიზიდან (გურულში ნიშნავს ურმის ღერძს, ქართლურსა და კახურში – საქსოვი დაზგის ნაწილს; რუსულად – ვალ; კოლეჩათა ვალ – მუხლა ლილვი, ვალიკ – ლილვაკი); ბადიში ქართული ენის რამდენიმე დაალექტში ნიშნავს შეილთაშვილს; სვანურია მახვში (უფროსი), ფშავრი – საფიხვნო (საბჭო, სათათბირო), ზანური – ცირა (ქალიშვილი), მორდუ (ძიძიშვილი) და ა.შ.

სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი შეიტანეს არა მარტო დაალექტებმა, არამედ სხვა ქართველურმა ენებმაც. პროფ. კ. დანელიას ჩამოთლილი აქვს მეგრულ-ჭანურიდან დამკვიდრებული სიტყვები: ორშიმო, ჟაჭვი, ვიზური, მარყუჟი, ჯაგი, გიდელი, ისინდი, სინდიოფალა, ლაყუჩი, მარულა, მოლალური, მარჩხი, ჩალა, ოჭივარა, ურდული, მახინჯი...

### ზ) დაალექტური მეტყველების ნიმუშები

სალიტერატურო ქართულისა და დაალექტების სხვაობის ნათელსაყოფად მოვიყვანთ რამდენიმე ჩანაწერს; მაგრამ უნდა ითქვას, რომ დროთა განმავლობაში იცვლება თვით დაალექტური მეტყველებაც და შეიძლება ბევრი რამ უკვე სხვაგვარად გამოიყენდა:

ქართლური კილო: „ერთი ბიჭი არი და უჭირამ დიდი პური ხელში და იძანის: პური მამიტანეთ, პური მამიტანეთ! – ბიჭო, მანდე გაქ პური და რაღა გინდა? – ეს რომ გამომელიოს, მერე საიდან მოვიტანო? – მამაშენი სად არის? – შარსა თესამს. – დედაშენი სად არის? – ტირილსა თესამს.“

(ვარ. თოფურიას ჩანაწერი 1923 წ. შუა-ერედვში)

კახური კიოლ: „ეხლა დაიწყო ობოლმა: მამაჩემსო ბეჭინი ფუტკარი ცყვანდაო, დილითაო, მიღიღდა ის ფუტკარი, უთვლიდაო და საღამოთი მოღიღდაო, უთვლიდაო, ხო არაფერი დაკლდებო, დაგორისა ერთ დროსაო, რო მოიდა ფუტკარი, დათვალა, ერთი ფუტკარი დააკლდა, წავიდა მამაჩემი, ეძება, ეძება... ის ფუტკარი დეჭირნათ და გუთანში შეებათო. გამეეშო ის ფუტკარი მამაჩემს, დასიებოდაო კისერი ძალიან უდიერათ“.

(არნ. ჩიქობავას ჩანაწერი საგარეჯოს რაიონის სოფ. მარიამჯვარში, 1923წ.)

გურული კიოლ: „იყო სამი ძმანები, ვორი ყოჩაღი, მესამე კი ჩაფანო და გლახა. ვორმა უკეთესებმა ცოლები რომ შეირთეს, ერთად ვერ მოთავსოთ და ქონება შეუაზე გაიყვნენ, ჩაფანო ძმაი კი უწილოთ დატიეს. როცა ამ გლახამაც მეითხუა მამისოული, ძმანებმა უთხრენ: „შენ საცოლეთ არ ვარგხარ, ქონება რათ გინდა, ხან ერთგან იმუშავე, ხან მეორესგან და ჩვენ გიპატრონებთო“. ერი სიკტილი მოკტა ჩაფანო, აი რო გეიგონა, მარა ჩხუბით ძმანებთან ვეფერს გახდებოდა, კარგად იცოდა“.

(შ. ძიძეგური, „საენათმეცნიერო სუბრები“, გვ.160)

რაჭული კიოლ: “ე გოცირიძე ქვე, ჰყურობს. გაიქცა შინა. მოვიდა მთხოველი, გამოუტანა დოქტენა ღვინო. – არ მეყოფა! – გეყოფაო. რო გამოუტანა, გამოადევნა კაცი: - წადი და გლოველები მომგვარენ!.. – დაათრო ძალიან და გამოუშვა სახში”.

(შ. ძიძეგური, „საენათმეცნიერო სუბრები“, გვ.158)

აჭარული კიოლ: „ცოტა ვიარეთ თუ ბევრი ვიარეთ, მივედით ერ ადგილზე და ღველალევით. დავჯექით... ღვეწყვევი ლოცვა. მას ხანში თურმე მოვიდა მგელი, დედჭირა ჩემი ცოლი და დაახჩო. მოვტრუალდი, ვნახე, რომ დუხჩვია. ვეღე ჯოხი და ურტყი მგელს“.

(შ. ძიძეგური, „საენათმეცნიერო სუბრები“, გვ.161)

იმერული კიოლ: „სამი ძმები ყოფილარიენ, ნუ დარიბები ყოფილარიენ, ძალიან ღარიბები და: ბიჭი, რამდი ვართ აქნე, ვერაფერი ვერ ვიშოვეთ და უნდა იმარტენათო, ეგებო ვიშობოთ რამეო, და წევიდენ ფულის საშონელში. მიღიენ ახა გზაში, მიღიენ სამივე ძმები, კაი ბიჭები არიენ, სისხსაუსე ბიჭები არიენ. შამოხუთათ ერთი მოხუცებული კაცი, ჯოხი უკავია ხელში და წუერები ჭიპამდი აქ ამ კაცს, და:

„გამარჯობათ თქუნი!“; „გაიმარჯოს!“; - სად მიბრძანდებოთ, ახალგაზრდებო? და: ნამეტანი ღარიბები უართ, ბატონოო და საცხაო ვინცხასო მოჯამაგირეთ დოუდგებითო და, თუ უიშოუეთუ წამლუარყევე პატარა ფული ვიშოვოთ ვებო და რაცხას მევეკიდოთ ცხოურებაშიო“.

(1993, სოფ. ზედა ჭყაპი, მთქმელი ვ. ბაკურაძე)

ფშაური კილი: „ორნი მოიდენ. ერთი ის მოიდა და ერთ კიდენ ცხვა კაცი მაჟყა. ურბოს რასამე ჰკრეულენ. რა ვიცი, რაად რა იყო ის ვაჟაის შვილი. ის შიგ შამოვიდა. ის ლევანი და მეორე არ შამოვიდა. კარჩივ დადგა. მენ აგრე ცეცხლი მენთო ბუხარშია, კეც მედვა ცეცხლზედ და ი ცეცხლს უკეთნებ. მოვიდა, დამტაცა ზელი და აგრე ამისვ-დამისვა ლოყა ლოყაშედა, მკოცნა. რეინის კაკაჩუნა მეჭირა ზელშია, ი რაითაც ცეცხლა უკეთნებდი. მაუბრუნდი. მაუბრუნდი და ერთი თუ ორი...“

—გამაუშვიო—ი ამხანაგ მექანის გარეთაით, გამუშვი, წამიდესო“.

(ვ. ცოცანიძე, მზევინარი: „ბურჯი ეროვნების“, 1998 №8-9)

ვაჟას ქალიშვილის — გულქან რაზიკაშვილის — ნაამბობიდან:

„უკეთადა გაზაფხული ძალიანა მამასა. ერთი სე ჰქონდა არყინ-სა, ის არავინ მომიჭრათო, — ეტყოდა ხალხსა. რადა ლუკაო, — ეტყოდენ. ეგაო, იმითაო, რო ჩვენი მახარობელია, ცოდვაა, არ მოჰ-ჭრათ, გაზაფხულის მოსკლას ევ მაგებინებსო. დიდხანს არ დაილევს, ნახევარ ქვირაში სუ გამწვანდება არემარეო. არც არავინ მოჰჭრა. სუ იმის გამწვანებას იყვის ჩაუურადებული. ემა რუსაანთ ბესოს სახლის იქით იყო, გორის ძირში“.

(„მამამა ღმერთს ჩამაჟყარა სახლი“, ჩაიწერა ეთერ თათარაიძემ, თბ., 1991)

მართალია, მწერალი სალიტერატურო ენით უნდა წერდეს, მაგრამ შემოქმედს ვერავინ აუკრძალავს დიალექტზე წერასაც და ზოგჯერ შედევრებიც კი იქმნება (გავიხსენოთ ვაჟას პოეზია).

თუშურ კილოზე აქვს შექმნილი შესანიშნავი ლექსები პოეტ ქალს ეთერ თათარაიძეს. მოვიყვანთ ერთ მაგალითს:

„ჩიხრიხზე\* დაგრ-მოვერის ჩემ ნებისყოფაი-დ

ჯარანზე დავდ-მოვძას თხორად\*“,

საქსლოს ქსელ დავიდგი-დ მღიე ბინდლურჯ ბაწრით  
ლექსებ ამოგიქარ მკობად“.

(ჩიხრიში – საბლის დასავრეხი ხელსაწყო; თხორი – საქსოვი  
ძაფის გორგალი)

„მამა-დ შენაღ არ დამიბერდნეთ,  
პაგრე, ჩემ დედო,  
თქვენიღ სიკეთის მეტს ნუ მაგონებთ,  
ჩემ დავ, ჩემ ძმებო.

თქვენ ფოთიანობას, თქვენ სიმრავლეს  
ვენაცვლ, ჩემ მწყრებო,  
თქვენ გახსნილ შუბლებ, ბადაგ სიტყვად  
ცხვა რა, ჩემ ზღვებო.  
ცხვ არც ნატვრა მაქვს, არც არას გთხოვ,  
იცი, ჩემ ბედო”.

(ე. თათარაძე, „იმედის გვირილაო“, თბ., 1979)

დასასრულ, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ  
დიალექტები ქართული ენის სიმდიდრე და მოსაზრდოებელი წყაროა,  
მათ მოვლა-პატრონობა სჭირდება, რომ ქართულმა სალიტერატურო  
ენამ არ დაკარგოს კავშირი ცოცხალ ზალბურ მეტყველებასთან.



§15. დამზრდობის ფინანსორული მუზეუმები

დამწერლობის გარეშე წარმოუდგენელია კაცობრიობის კულტურა, მისი სულიერი სიმდიდრე. ზეპირი მეტყველება შეზღუდულია დროსა და სივრცეში, მხოლოდ ნაწერი რჩება ზანგრძლივად და გადასცემს თაობიდან თაობას ცივილიზაციის მონაპოვარს წერილობითი დოკუმენტების სახით. ლათინური ანდაზის თანახმად, „Verba volant - skripta manent“ („სიტყვები გაფრინდება, ნაწერი კი რჩება“). მიუხედავად ამისა, დამწერლობა მაინც დამხმარე საკომუნიკაციო საშუალებად ითვლება.

ძველ დამწერლობათა სისტემებს სწავლობს მეცნიერების დარგი პალეოგრაფია, ხოლო მაგარ საგანზე (ქვა, ხე...) შესრულებულ წარწერებს – ეპიგრაფიკა.

დამწერლობის წინა საფეხურებისა თუ დამწერლობის ფუნქცია ყოველთვის იყო ინფორმაციის ჩაწერა და შენახვა, რაც განსხვავებული საშუალებებით ხდებოდა:

1. საგნებით „ჩაწერა“ (საგანთა სიმბოლიკა).
2. სურათებით წერა (პიქტოგრაფია).
3. ცალკეული სიტყვებით რებუსებივით წერა (იდეოგრაფია).
4. ასოებით წერა (მარცვლებით, მხოლოდ თანხმოვნებით ან თანხმოვნებითაც და ხმოვნებითაც).

დამწერლობის შექმნამდე ძალზე დიდმა დრომ განვლო. მანამდე ცნობილი იყო აზრის გამოხატვის რამდენიმე საშუალება, მათ შორის საგანთა სიმბოლიკა. მაგ., ომის გამოცხადების ნიშნად შუბებს, ისრებს ან სხვა საომარ იარაღს უგზავნილნენ ერთმანეთს ძველი ტომები. დაზავების შემთხვევაში, მოლაპარაკებისას შერიგების ნიშნად, ხელიდან ხელში ფალიონს ჩამოატარებდნენ; გზის მიმართულებას მიანიშნებდნენ ტოტით ან ისრით და სხვ. ძვ. წ. V საუკუნეში ჰეროდოტე გვიამბობს სპარსეთის მეფე დარიოს გისტაპის ლაშქრობების აღწერისას ძველი სკვითების „წერილის“ შესახებ სპარსელებთან, როცა სკვითებმა მათ გაუგზავნეს ჩიტი, თაგვი, ბაყაყი და ისრების კონა, როგორც „სამხედრო ულტიმატუმი“: თაგვი

— მიწაში ძრომის, დამალვის სიმბოლოდ, ჩიტი — ფრენის, ბაყაფი ჭაობში ხტომის, ისრები — დამარცხების, მუქარისა. ეს „წერილი“ თურმე ნიშნავდა: „თუ თქვენ არ ისწავლით თაგვივრულ წერილში დამალვას, ჩიტებივით ფრენას, ბაყაფებივით ჭაობებში ხტომას, მაშინ იმედი ნუ გექნებათ: დაგხოცავთ ჩვენი ისრებით, თუკი სკვითების მიწაზე შემოდგამო ფეხსო“.

XX ს-ის დასაწყისში მდინარე ნილოსთან მისიონერებმა აღმოჩინეს „წერილი ნიამ-ნამ“, რომელიც ჰგავდა სკვითურ „წერილს“. მტრის გაფრთხილებისა და მუქარის ნიშნად ის ადამიანები თურმე გზაზე არჭობდნენ სიმინდის ტაროს, ქათმის ფრთასა და ისარს, რაც ნიშნავდა: „თუკი თქვენ გაბედავთ მოტეხოთ სიმინდის ერთი ტარო და მოიპაროთ ერთი ქათამიც კი, დაიხოცებით ისრებით“. მსგავსი სისტემა აღმოჩნდა გავრცელებული ტიბეტში, აფრიკაში და სხვ. ინგლისელმა ეთნოგრაფებმა ყურადღება მიაქციეს აფრიკის ერთ-ერთ ტოშში გავრცელებულ რთულ სიმბოლოთა სისტემას, სადაც ქვა ნიშნავდა სიმტკიცეს, ჯანმრთელობას, ნახშირი — ნაღველს, გამხმარი თავთავი — ტანჯვას, სულიერ ტკივილს, წიწაკა — სიმწარეს, ჩვარი — ცუდ მდგომარეობაში ყოფნას. სწორედ ეს ნივთები — ქვა, ნახშირი, თავთავი, ჩვარი და წიწაკა — გაუგზავნა ცოლს ერთ-ერთმა ტყვემ საკუთარი მძიმე მდგომარეობის შესატყობინებლად. წერილი შეიძლება ასე გავიგოთ: „თუმცა მე ფიზიკურად ჯანმრთელი და ძლიერი ვარ, ჩემი სხეული გახმება დარღისა და ტანჯვისაგან, რასაც ჩემი გარეგნობა უკვე ახლაც მოწოდს“.

ეს არის სიმბოლური სიგნალიზაცია, რაც შეცვალა პირობითმა სიგნალიზაციამ (კვიპუსი, ვამპუმი, ჭდეები და სხვ.).

კვიპუსი (ანუ კიპუ) წარმოადგენს ნასკვებიანი თასმების ერთგვარ სისტემას, სადაც მნიშვნელობა დამოკიდებულია თასმის მასალაზე, ფერზე, ნასკვის ფორმაზე, სიდიდესა და რაოდენობაზე. კვიპუსით ძირითადად ხდებოდა საქონლის, ნივთების დათვლა ან დროის ათვლა. პერუელები, სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ხალხები თურმე დღესაც იყენებენ ამ საშუალებას. ეს ხერხი დადასტურებულია ასევე ჩინელებთან, მონღოლებთან, სლავებთან და სხვ. (შდრ. მოხუცები დღესაც გამონასკვავენ ხოლმე ცხვირსახოცს რამის დასამახსოვრებლად).

ვამპუმი ძაფზე ასხმული განსხვავებული ფერისა თა ზომის ნიუარების რგოლებია. თეთრ ფერს უკავშირებდნენ ბეჭნიურებას, ჯანმრთლობას, კარგად ყოფნას, მუქს – უბედურებას და მსუბუქობას... ზოგ ვამპუმზე მძივებივით ასხმული 6-7 ათასი წელია კი იყო, რაც ფართო სარტყელს ქმნიდა. ამერიკელ ინდიელებთან და აფრიკაში აღმოჩენილია ასეთი დოკუმენტების მთელი არქივი.

ვამპუმით შეიძლებოდა სიყვარულის ახსნაც, ადამიანთა ურთიერთობის, სხვადასხვა სულიერი მდგომარეობის გამოხატვა. მაგ., თუ თასმაზე ექვსი ნიუარა იყო ასხმული და ვაჟი გაუგზავნიდა ქალს, ამით გამოხატვდა სიყვარულს და ცოლობას სხვოდა. თუკი გოგონა საპასუხოდ 8-ნიუარიან თასმას გამოუგზავნიდა, ეს დადებით პასუხს ნიშნავდა.

ნის ჯოზზე გაკეთებულ ჭდეებს იშველიებდნენ ვაჭრობაში ან ვალის აღებისას. დადასტურებელია თურქმენეთში, ძველ რომში, ინგლისში (XIX საუკუნეშიც კი), ამერიკაში (XX საუკუნემდე), შვეიცარიაში, შრი-ლანკაში, აფრიკაში, სლავურ ტომებში... თედო სახოკიას ცნობით, თბილისში XIX საუკუნის 80-იან წლებშიც იყენებდნენ ვაჭრობაში ჭდეებიან ჯოზებს.

საგანთა სიმბოლიკა დღემდე გამოიყენება ცივილიზებულ ხალხებშიც. მაგ., პურისა და მარილის მირთმევა სტუმრისთვის სლავებთან, დროშების ფერები (შავი ან თეთრი), შავი ტანსაცმელი გლოვის ნიშნად, ბეჭვდი გათხოვილი ქალის თითზე, წითელი ყვავილი – სიყვარულის სიმბოლოდ, ყვითელი – განშორების გამოსახატავად, შავი ვარდი – გაუზიარებელი სიყვარულის ნიშნად, დროშებით სიგნალიზაცია გემებზე და სხვ.

ყოველივე ჩამოთვლილი მხოლოდ მარტივი საშუალებებია სიგნალიზაციისა, ერთგვარი მოსამზადებელი საფეხური წერის გრაფიკული ნიშნებისათვის.

## §16. დამზრდობის განვითარების საფეხურები

დამწერლობის ჩანასახია ხატვა. ნახატ-სიმბოლოებით აზრის გამოხატვას პიქტოგრაფიული (ანუ ხატოვანი) წერა ეწოდება. ასეთი

ნახატის აზრი ყველასთვის გასაგებია, მაგრამ როგორ იკითხებია ამა/ თუ იმ ენაზე, ძნელი წარმოსადგენია.

პიქტოგრამები აღმოჩენილია ამიერკავკასიაშიც:  სოფ. ბეჭმაშენში, ახალციხეში – ამირანის გორაზე (დაჭრულების 174 ათასი წლის წინანდელი).

პირველად ნახატი გამოსახულდა ცხოველს, ადამიანს ან რამე ნივთს, თანდათან მსგავსება საწყის საგანთან მცირდებოდა და ბოლოს სურათი სიმბოლოდ იქცეოდა.

დამწერლობის განვითარების შემდეგი საფეხური არის იდეოგრაფიული წერა (ანუ ცნებათდამწერლობა), როცა ნახატ-სიმბოლო ერთ სიტყვას, ცნებას აღნიშნავს. იდეოგრამა უკვე სიტყვის სიმბოლური ნიშანია და საგანს გარეგნულად აღარ ჰგავს, ნახატი კი გადატანით მნიშვნელობას იძენს.

უძველესი იდეოგრაფიული დამწერლობა მსოფლიოში შექმნა სამა ხალხმა: ეგვიპტულებმა, შუმერებმა (მესოპოტამიაში) და ჩინელებმა. ასეთი დამწერლობა პიქტოგრაფიულისაგან განვითარდა და მასში მთავარი იყო პირობითობის პრიციპი (მაგ., მათემატიკაში გამოყენებული ციფრები ჩვეულებრივი იდეოგრამებია – 0, 1, 2, 3..., არაფრით არ ჰგავს აღსანიშნ რიცხვს და არ ვიცით, როგორ იკითხება სხვადასხვა ენაზე).

ეგვიპტური და შუმერული ანბანები დაახლოებით ერთი ასაკისაა, მათ დათარიღებაზე დღესაც დღობენ და კერ გადაუწყვეტიათ, რომელი უფრო ძველია (ეგვიპტური შეიქმნა დაახლოებით ძვ. წ. IV ათასწლეულში). ეგვიპტურ იდეოგრაფიულ დამწერლობას შემდეგ უწოდეს იეროგლიფური (ბერძნ. „პიროს“ – წმინდა, „გლოუფე“ – ამოვკვეთ, ამოვჭრი). აქედან განვითარდა პირატიკული დამწერლობა (ანუ „წმინდა“), ხოლო ძვ. წ. VI საუკუნეში – გამარტივებული დემოტიკური დამწერლობა (ბერძნული „დემოს“ – ხალხი, ე. ი. სახალხო წერა). ეგვიპტური იეროგლიფები პირველად იკვეთებოდა ქვაზე, შემდეგ კი დაიწყეს ლერწმის ფუნჯით პაპირუსზე წერა.

ეგვიპტეში შეიქმნა მსოფლიოში პირველი მარცვლოვანი ანუ სილაბური დამწერლობა (როცა ერთი ნიშანი აღნიშნავს მარცვალს და არა ბერას).

ეგვიპტური წერის საიდუმლოება პირველად ამოხსნა XIX საუკუნის 20-იან წლებში დიდმა ფრანგმა მეცნიერმა ჟან ფრანსუა

შამპოლიონმა, რომელიც სწავლობდა ეგვიპტის უძველეს ჰაბირუს და დაადგინა, რომ ეგვიპტური იეროგლიფური, იერატიკული და დემოტიკური წერის სახეობები გენეტიკურად ერთმანეთთან შეუძლია იყო დაკავშირებული. შემდევ მან პირველმა გაშიფრა წარწერა ნაპოლეონის ლამქრობის დროს ეგვიპტეში აღმოჩენილ როზტის ქვაზე, რომელზედაც შესრულებული იყო სამი სხვადასხვა წარწერა: იეროგლიფური, მისი განვითარებული სახეობა და ბერძნული. შამპოლიონმა დაუშვა, რომ ამ წარწერებში ნაშენი მეორდებოდა და პირველად გამოყო P, I, O ასოები, ბოლოს ამოიკითხა ptolmes და kleopatra (პტოლემეუსი და კლეოპატრა), ამით დაადგინა 12 იეროგლიფის მნიშვნელობა და შემდევ შეადგინა დემოტიკური ფონეტიკური ანბანი. 1822 წელს მან დაადგინა, რომ ეგვიპტური იეროგლიფები იდეოგრაფიულ-ფონეტიკური ხასიათისა იყო. ამით დაედო საფუძველი ეგვიპტოლოგიას, რადგან შესაძლებელი გახდა ეგვიპტური ნაწერების წაკითხვა.

შუმერებმა ძვ. წ. IV-III ათასწლეულში მესოპოტამიაში შექმნეს ერთ-ერთი უძველესი ლურსმული დამწერლობა. აღმოჩენილ იქნა უამრავი თიხის ფირფიტა, რომლებზედაც წერდნენ ხის ჩინირებით. შუმერული ანბანი თავდაპირველად იყო პიტოგრაფიული, შემდევ იეროგლიფური, თანდათან დამკვიდრდა მარცვლოვანი (სილაბური) წერა. შუმერები წერდნენ ვერტიკალურად – ზევიდან ქვევით და მარცხნიდან მარჯვნივ. შუმერული ანბანი ისესხა სემიტური და არასემიტური მოდგმის ბევრმა მეზობელმა ხალხმა (აქადური ანუ ბაბილონურ-ასირიული ლურსმული ანბანი, ელამური, ხურიტული, ხეთური, ურარტული, უგარიტული, ძველი სპარსული დამწერლობა და სხვ.).

ბაბილონელებმა დაიწყეს პორიზონტალური წერა, ეს იყო ლურსმული ანუ სოლისებური წერა, ხოლო ასურელებმა გააუმჯობესეს ბაბილონური დამწერლობა.

ძვ. წ. 2.350 წელს ხეთებმა შეითვისეს ლურსმული წერა. ასურეთის სატახტო ქალაქ ნინვეის გათხრების დროს აღმოაჩინეს 22 ათასამდე თიხის ფირფიტა (ძვ. წ. XIV-XIII სს., ზოგი კი – XVII-XVI სს.) სოლისებრი წარწერებით (მეფე აშურბანიბალის ბიბლიოთეკის წიგნების ნაწილი). ხეთური ლურსმული ტექსტები პირველად წაიკითხა გამოჩენილმა ჩეხმა მეცნიერმა პროფ. ბედრუსის

გროზნიმ 1915 წელს. მან დაადგინა ხეთური ენის ინდოევროპულობას ამ ფირფიტების დამწერლობის საიდუმლომ კი გააცნო კაცობრობას ასურულ-ბაბილონური კულტურა.

ძველსპარსული ლურსმული დამწერლობის გაშიფრაში დაუდო საფუძველი საერთოდ ლურსმული ნაწერების ამოკითხვას. 1802 წელს გოტინგენის გიმნაზიის ნიჭიერმა ახალგაზრდა მასწავლებელმა გეორგ გროტეფელდმა გაშიფრა ერთ-ერთი წარწერა — აქმენიდის მეფის დარიოსის ტიტული. შემდეგ დიდ წარმატებას მიაღწიეს ამ საქმეში ინგლისელმა ოფიცერმა ჰენრი რაულინსონმა, ლონდონულმა პროფ. ნორისმა, დანიელმა მიუნტერმა და შვედმა ლიოვენსტერნმა. 1857 წელს ლონდონში ექსპერიმენტის სახით ოთხ მეცნიერს ერთი და იგივე ლურსმული ტექსტი მისცეს წასაკითხად და სათარგმნად. როცა თარგმანები თითქმის ერთმანეთს დაემთხვა, ჩაითვალა, რომ ლურსმული წერის საიდუმლო საბოლოოდ გაიშიფრა. ეს დღე იქცა ასიროლოგის დაბადების დღედ.

ც. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში შეიქმნა ჩინური იდეოგრაფიული დამწერლობა, რაც ასევე უკავშირდება ნახატებით წერას. მას უწოდებენ ლოგოგრაფიულ-სილაბურსაც (სიტყვიერ-მარცვლოვანი). უძველესი ჩინური წარწერები შესრულებულია ქვის ფილებზე, შემდეგ მათ გამოიყენეს ხის ტაბულები, აბრეშუმის ქსოვილებიც, ა. ც. წ. II საუკუნიდან (105 წელს) კი — ქაღალდი. 751 წელს ბაღდადის ხალიფას ნაცვალმა სამარყანდში დაატყვევა ქაღალდის დამზადების ორი ჩინელი ოსტატი. იქ მათი მეშვეობით გახსნეს ფაბრიკა და ამის შემდეგ ქაღალდი გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

ჩინურს დღესაც 40-50 ათასი ნიშანი აქვს. იწერება ზევიდან ქვევით მარჯვენა კუთხიდან და გრძელდება მარცხნივ. ამბობენ, რომ განათლებულმა ჩინელმა შეიძლება იცოდეს 6-10 ათასი იდეოგრამა. ჩინეთში რამდენჯერმე სცადეს წერის სისტემის გამარტივება, მაგრამ კერ განახორციელეს, რადგან ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია იდეოგრამის განსხვავებული წაკითხვა სხვადასხვა დიალექტზე (ე.ი. ჩინელებისთვის გამარტიანებელია დამწერლობა, რადგან ჩინურის დიალექტები ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან).



დამწერლობის განვითარების შემდეგი უკუკეთესობის ფონოგრაფიული (ანბანური) წერა. პირველად წერდნენ მარცვლებს (სილაბური წერა). სილაბურები გვქონდა შუმერულ, ასურულ-ბაბილონურ, ძველ ინდურ „დევანაგარში“.

ანბანური (ალფაბეტური) დამწერლობის უფრო მაღალი ეტაპია ფინიკიური კონსონანტური (თანხმოვნური) წერა, რომლის საფუძველზედაც შეიქმნა ებრაული დამწერლობა. ძველი სემიტები ხმოვნების გადმოსაცემად ზოგჯერ იყენებდნენ დიაკრიტიკულ ნიშნებს.

ფინიკიულები სახლობდნენ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მათ შექმნეს მსოფლიოში პირველი ანბანური დამწერლობა ძვ. წ. XV-XIV სს-ში. მის შემქმნელად თვლიან ჰალამიდეს. ამ ანბანში იყო 22 ასო (თანხმოვანი): ‘ალეფ’, ‘ბეტ’, ‘გიმელ’, ‘დალეთ’, ‘ჰე’, ‘ვავ’, ‘ზაინ’, ‘ზეთ’, ‘ტეთ’, ‘იოდ’, ‘კაფ’, ‘ლამედ’, ‘მემ’, ‘ნუნ’, ‘სამეხ’, ‘აინ’, ‘ფე’, ‘ცადე’, ‘ქოფ’, ‘რეშ’, ‘შინ’, ‘თავ’.

ფინიკიური ანბანი გავრცელდა აღმოსავლეთში არამეულის, დასავლეთში კი ბერძნული დამწერლობის სახით.

არამეული შეიქმნა დაახლოებით ძვ. წ. X-IX სს. წარწერები და ხელნაწერები აღმოჩენილია ჰალესტინაში, ირანში, არაბეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში, ავღანეთში, ამიერკავკასიაში და სხვ.

არამეული დაედო საფუძვლად არაბულ დამწერლობას, რომელიც სირიული ანბანის გზით გავრცელდა აღმოსავლეთში (ეგვიპტე, სირია, ლიბანი, იორდანია, მაროკო, ტუნისი, ერაყი).

არქაული ბერძნული ანბანი შეიქმნა ძვ. წ. I ათასწლეულში (X-IX სს.) ფინიკიურის საფუძველზე. პირველად ისინი წერდნენ ფინიკიურის მსგავსად – მარჯვნიდან მარცხნივ. შემდეგ გამოიმუშავეს გარდამავალი მიმართულება – პირველი სტრიქონი მარჯვნიდან მარცხნივ, მეორე – მარცხნიდან მარჯვნივ და ა. შ. ამას ეწოდებოდა „ბუსტროფედონი“ („ხარის მობრუნება“ – როგორც ხარი მიჰყვება სახნავ ხნულს).

კლასიკური ბერძნული ანბანი განმოვანებული ანუ კოკალიზებულია (გვაქვს თანხმოვნებიცა და ხმოვნებიც), წერის მიმართულება დადგინდა მარცხნიდან მარჯვნივ. ეს იყო ძვ. წ. V

საუკუნის დასაწყისში. ქლასიგური ბერძნული ფამოცხადთა ოფიციალურ საერთობერძნულ ანბანად მვ. წ. 403 წელს. ბერძნულისაგან განვითარდა ლათინური, სლავური და უნგრული დამწერლობები.

ძველმა ბერძნებმა ფინიკიელებისაგან ისესხეს გრაფიკული ნიშნები, ასოთა სახელწოდებები ('ალეფ' – ხარი > ალფა, 'ბეთ' – სახლი, კარავი > ბეტა. 'გიმელ' – აქლემი > გამა, 'დელტა' – კარი > დელტა და ა. შ.), მაგრამ ცალკე ასოებით აღნიშნეს ხმოვნებიც. ეს ფონოგრაფიის განვითარების მწვერვალს წარმოადგენდა.

იტალიაში გადასახლებულმა ბერძნებმა შეიტანეს ამ ქვეყანაში ლათინური ანბანი, რომლის ჩამოყალიბება დაიწყო ძვ. წ. VIII-VII სს-ში. კერ გავრცელდა რომის იმპერიაში, შემდეგ კი – რომანულ-გერმანულ სამყაროში. ლათინურ ანბანში პირველად იყო 21 ასო. უძველესი ლათინური წარწერები თარიღდება ძვ.წ. VII-VI სს-ით (ძვ. წ. 600 წ.).

გრძელი, ძველინგლისური და ირლანდიური უძველესი ნაწერები ლათინური ანბანით თარიღდება VIII საუკუნით.

ლათინურ ანბანს იყენებენ მთელ მსოფლიოში: ევროპაში, ამერიკაში, აგსტრალიაში, აფრიკაში, ინდოეთში.

ბერძნულ-ბიზანტიური დამწერლობის („უნციალი“) საფუძველ-ზე IV საუკუნეში ვესტგოთებისთვის ეპისკოპოსმა ვულფილამ შექმნა გოთური ანბანი (მან გოთურად თარგმნა ბიბლიის ნაწყვეტები).

ბევრი ხალხის დამწერლობა შეიქმნა არსებული ანბანური სისტემების საფუძველზე. ზოგიერთ ქვეყანაში ანბანი რამდენჯერმე შეიცვალა პოლიტიკური მოსაზრებების გამო. მაგ., მოლდავურს – 5-ჯერ შეეცვალა (ხან ლათინური იყო, ხან – სლავური), აზერბაიჯანულში კერ იყენებდნენ ლათინურს, შემდეგ – სლავურს, ახლა – ისევ ლათინურ ანბანს; თურქეთში არაბული შრიფტი 1928 წელს შეიცვალა ლათინურით ქემათ ათათურქის მიერ...

დღეს მსოფლიოში გავრცელებულია 14 ანბანური სისტემა:

არაბული	ლათინური
ბერძნული	მონღლოური
ებრაული	სირიული
ეთიოპური	სლავური (კირილური)
იაპონური	სომხური

ზოგი მეცნიერი გამოყოფს კიდევ რამდენიმე ანბანს: ტიბეტურს, ბირმულს, კამბოჯურს, კოპტურს, ორლანდურს და სხვ.

სლავურ-კირილური დამწერლობის (IXს.) საფუძველიც ბერძნული ანბანია (ფიქრობენ, რომ სლავური ანბანის მეორე სახეობაც – „გლავოლიცა“ – ბიზანტიურის საფუძველზეა შექმნილი). ამ ანბანის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით სლავ განმანათლებლებს – კირილესა და მეთოდეს. კირილემ 863 წელს შეიმუშავა სლავური ანბანი და მოაწესრიგა ის („კირილიცაში“ იყო 44 ასო, „გლავოლიცაში“ – 40). უძველესი რუსული კირილური ხელნაწერია 1056-1057 წლის ოსტრომირის ვანგველე (რუსეთში პირველი წიგნი დაიბეჭდა 1708 წელს, „გეომეტრია“).

კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს მიღწევად ითვლება სტამბის დაარსება, მანამდე წიგნებს ხელით წერდნენ. მსოფლიოში პირველი სტამბა გამართა გერმანიაში იოპან გუტენბერგმა XV საუკუნის შუა წლებში – 1440 წელს.

პირველი ქართული წიგნები – „ქართული ანბანი“ და „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ – დაიბეჭდა რომში 1629 წელს. ქართული სტამბა გაიმართა ჯერ მოსკოვში, ხოლო 1709 წელს – საქართველოში ვახტანგ VI-ის მიერ და დაიბეჭდა „სახარება“, „დავითინი“ და „სამოციქულო“, 1712 წელს კი – „ვეფხისტყაოსანი“.

პუნქტუაციის საგანგებო ნიშნები პირველად გამოიყენა ალექსანდრიელმა არისტოფანე ბიზანტიელმა (ძვ. წ. 250-180წწ.) პომეროსის პოემებში. ეს წესები თეორიულად ჩამოყალიბებულთა დიონისე თრაკიელის გრამატიკაში ძვ. წ. I ს-ში.

თანამედროვე პუნქტუაციის ძირითადი ნიშნები კი შემოიღეს XV ს-ში იტალიელმა მესტამბე მანუციებმა.

საინტერესოა საწერი მასალის გამოყენების ისტორიაც. პირველად გამოიყენებოდა ქვა, ხე, გასანთლული დაფები, ბრინჯაოს ფილები, თიხის ფირფიტები, შემდეგ – ქსოვილი (აბრეშუმი), დამუშავებული ტყავი, პერგამენტი, პაპირუსი და ბოლოს – ქაღალდი.

საწერ იარაღად იყენებდნენ ფუნჯს; ქვაზე, ხესა და თიხაზე – საჭრეთელს ან სპეციალურ ჯოხს – „სტილოს“, პაპირუსსა და

პერგამენტზე – ლერწმის კალამს, შემდეგ ფრთას (ძირითადად ბატის ფრთას), გრაფიტის ლეროებს (ფანჯრებს), ბოლოს კი, 1780 წლითან, ფოლადის კალმებს. XX ს-ში გავრცელდა ამ უკანასკნელი ბურთულიანი ავტოკალმები. მე-19 ს-ში გამოივინეს მექანიკური საბეჭდი მანქანა. მე-20 საუკუნის უდიდესი გამოვლენებაა ბეჭდვის კომპიუტერული ტექნიკა.

## §18. ქართული დამჯერლობა

ქართული ანბანი ერთ-ერთი უძველესი და სრულყოფილია როგორც ბერათშესატყვისობის, ისე გრაფიკული მოხაზულობის თვალსაზრისით მსოფლიოს დამწერლობის სისტემათა შორის. ამას ხაზს უსვამდნენ უცხოელი მეცნიერები: ინგლისელი დევიდ მარშალ ალენი, გერმანელი ბარონ ფონ ლიხტენბერგი, რუსი პეტრე უსლარი და სხვ. ანბანის დახვეწილობა და სრულყოფილება არ გულისხმობს გრაფიკული ნიშნების გარევნულ სილამაზეს. მთავარი ისაა, რომ ქართულ ანბანში თავიდანვე თითოეული ასო შეესაბამება ცალკეულ სამეტყველო ბერას – ფონებას და ყველგან ერთნაირად იკითხება.

თანამედროვე ქართულში 33 ასო და 33-ვე ბერაა, ე. ი. ანბანში სრულყოფილადაა ასახული ქართული წარმოთქმის (არტიკულაციის) მთელი სიმდიდრე. ამ მხრივ არც ერთი სხვა ანბანი არაა მსოფლიოში ასე სრულყოფილი.

ჰქონდათ თუ არა ძველ ქართველ ტომებს დამწერლობა?

ქრისტიანობამდელი ბერძნი ავტორები კოლხეთს მიიჩნევდნენ მწიგნობრობის მქონე განვითარებული კულტურის ქვენად.

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ (ძვ.წ. IIIს.) მოცემულია პირველი ცნობა კოლხეთში დამწერლობის შესახებ (აკ. ურუშაძე). კოლხებს ჰქონიათ მამათა დანატოვარი უძველესი კარტოგრაფიული დანიშნულების კვირბები, სადაც აღნიშნული იყო წყლისა და ხმელეთის გზები და საზღვრები (უურნალ „აიას“ ცნობით, სამეგრელოს ზოგიერთ მუზეუმში ინახება უცნაურ ნიშნებიანი ქვები, რომელთა შესახებ ვარაუდობენ, რომ სწორედ ეს უნდა იყოს კარტოგრაფიული კვირბები).

ზოგიერთი ანტიკური ხანის ავტორის შეხედულებით, ოქროს  
საწმისი იყო ცხვრის ტყავშე დაწერილი წიგნი ოქროს ხელოვნურად /  
მიღების შესახებ. თითქოს მედას მიერ კოლხეთიდან ეჭვაჭული  
ნივთებს შორის ყოფილა სპილენძის სამისნო სამფეხი ძველისა და  
წარწერებით (ძვ. წ. I ს., დიოდორე სიცილიელი).

უძველესი დამწერლობის არსებობაზე მოწმობს საქართველოში  
აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალაც (ამირანის გორაზე – ძვ. წ. III  
ათასწლეული, დაბლაგომის ქვევრ-სამარხები – ძვ. წ. VI-IIIსს.).

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია არამეული და  
ბერძნული წარწერები მონეტებზე, ბრინჯაოს ფილებზე, სამკაულებზე,  
ჭურჭელზე, ხელისუფლების ნიშნებზე (ინსიგნიები), სამელნებზე,  
საფლავის ქვებზე (ეპიტაფიები), გრაფიტოები, ნაკარი წარწერები  
კედლებზე. წინარეკრისტიანული ხანის წარწერები საქართველოში  
არამეული ან ბერძნულია (ნეკროსის უძველეს ქართულ წარწერებზე  
იხ. ქვემოთ).

ყველაზე ადრინდელი არამეული წარწერა თარიღდება ძვ. წ. VI  
ს-ით (ყაზბეგის განძის ვერცხლის ჯამზე), გვხვდება სოხუმში, ვანში.  
აღმოჩენილია საწერი მოწყობილობები: სტილოსები, ლითონის  
კალმების წერილების კომპლექტები, სამელნები.

არამეული ახ. წ. I საუკუნემდე იყო წინა აზიის მოსახლეობის  
კომუნიკაციის საშუალება, შემდეგ ამ ფუნქციას ბერძნული  
ასრულებდა.

წერასთან დაკავშირებული ზოგიერთი უძველესი სიტყვაც  
(„წერა“, „წერილი“, „წერაქვი“...) მიუთითებს, რომ ქართველებს  
უძველეს ხანაში ჰქონდათ დამწერლობა.

VI-ის დასაწყისის ბერძნული საბუთის თანახმად, ქართველებს  
იმ დროს ჰქონდათ სახარება, სამოციქულო და სხვა რელიგიური  
ლიტერატურა.

### §19. ქართული ახალის ფარაონობის თეორიები

ქართული ასომთავრული ანბანის შესახებ მეცნიერებაში ბევრი  
განსხვავებული მოსაზრებაა გავრცელებული. ეს ეხება როგორც მისი  
წარმოშობის, ისე შექმნის დროსაც.

ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ასომთავრული ქრისტიანობამდელი ანუ წარმართული ხანის ძეგლია; ზოგის აზრით, ის შეიქნა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ რელიგიური უსუფვნებელის სათარგმნელად.

მეცნიერთა შეხედულებები ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: ერთნი ქართულ ანბანს აკავშირებენ ფინიკიურ-არამეულთან (სემიტური თეორია) და მეორენი – ბერძნულ ანბანთან (ბერძნული თეორია).

მაშასადამე, განსხვავებულია შეხედულებები ქართული ანბანის წყაროს, შექმნის დროის, ასოების იდეოგრაფიული მნიშვნელობისა და გრაფიკული სტრუქტურის შესახებაც.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანია XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, რუსის ეპისკოპოს ლეონტი მროველის ცნობა: „ და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ამ ცნობის თანახმად, ქართული მწიგნობრობის შემქნელია ფარნავაზ მეფე (ძვ. წ. III ს).

ფიქრობენ ასევე, რომ აქ მწიგნობრობის ქვეშ იგულისხმება ალოგლოტოგრაფიული ჩანაწერები (როცა ტექსტი კარნახობდნენ სხვა ენაზე, თარგიმანი კი თარგმნიდა და იწერდა შუამავალ ენაზე. ამიერკავკასიაში დასტურდება სპარსული ან ქართული ტექსტების ჩაწერის შემთხვევები არამეულ ენაზე).

შენიშვნა: ალოგლოტოგრაფია ნიშნავს ტექსტის ჩაწერას სხვა ენაზე. ჰეტეროგრაფია (მერძეულად heteros – სხვა grapho – ვწერ) გულისხმობდა სხვა ენაზე ჩაწერილი სიტყვის ან გამონათქვამის წაკითხვას მეორე ენაზე. აქმინდურ იმპერიაში საკანცელარიო ჩანაწერებს აკეთებდნენ არამეულად, მაგრამ მიღალიშონოსან მოხელეებს უკითხავდნენ ირანულად.

XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მნითარ აირივანელიც (აირივანეცი) იმეორებს ლეონტი მროველის ცნობას („ქრონოგრაფიული ისტორია“, III ნაწილი) ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ.

საინტერესოა „ქართლის ცხოვრების“ 1608 წლის მინაწერი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქართველებმა მწიგნობრობა დაიწყეს „ადამს აქეთ ძღიბ წელს“ (ძღიბ=3712, მაგრამ მითითებული თარიღი აღნიშნავს ძვ. წ. 284 წელს).

ამ ცნობას ყურადღება მიაქცია გურამ შარაძემ. თეომურაზ  
ბაგრატიონს 1822 წელს ანტონ II-ის კუთვნილი წიგნიდან  
„მატიანე შემეცნებათა“ პეტერბურგში ამოუწერია ცნობას „რომელი მიხედვითაც, ქართველებს ფარნავაზამდეც ჰქონიათ დამწულობრივი მისამართი და ქალდეურის საფუძველზე: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა უამთაცა შინა, ვიდრე ფარნავაზამდე, სწერდნენ ისინი უხუცესთა და ხევის-ბერთა უხმობენ, იგინი იყვნენ კერპთა მღვდლელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ. და წერილი მათთა არს წერილი ესე ხუცური ჩვენი... წერილი ხუცესნი პირველსა უამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და შეგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენი ხუცურნი“ (ცნობის ავტორი ამ ანბანს აიგივებს ხუცურთან). შენიშვნა: ეს ნაშრომი მართ ბროსებ გამოაქვეყნა 1836 წელს ფრანგულად.

ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ყოფილა უძველესი სირიული ხელნაწერი „წიგნი ხალხებისა და ქვეყნების შესახებ“, რომელშიც ჩამოთვლილია ძველი ცივილიზაციის 73 ხალხი, აქედან საკუთარი დამწერლობისა და მწიგნობრობის მქონე 15 ხალხი, მათ შორის ქართველებიც (კიდევ დასახელებული არიან: სირიელები, ებრაელები, ევკაპტელები, ბაბილონელები, ინდოელები, ფინიკიელები, რომაელები, ელამიტები, სომხები, კუშიტები და სხვ.).

სომებს ისტორიკოს კორიუნის (Vს.) ნაშრომში და სომხურ „ეპისტოლეთა წიგნში“ აღნიშნულია, თითქოს ქართული ანბანი შექმნა სომებმა განმანათლებელმა მესროპ-მაშტოცმა V ს. 20-იან წლებში სომხურ და ალბანურ ანბანებთან ერთად. მესროპ-მაშტოცი (361-440წწ.) მოღვაწეობდა მაშინ, როცა ქართლში მეფობდა ბაკურ მეფე. კორიუნის ცნობას იმეორებს მეორე ისტორიკოსი მოსე ზორენელი (V ს.), მაგრამ იმავე საუკუნის სომები ისტორიკოსი ლაზარ ფარპეცი მაშტოცს მიაწერს მხოლოდ სომხური ანბანის შექმნას.

მიუხედავად მეცნიერთა განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავი აზრებისა ქართული ანბანის წარმომავლობისა და დათარიღების შესახებ, ერთსულოვანია მათი შეხედულება სომხური ვერსიის მიმართ: ყველა უარყოფს მესროპ-მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნას და ასაბუთებენ მის უსაფუძვლობას. პ. პეკელიძე არ უარყოფდა სომხურ ვერსიას და ფიქრობდა, რომ,

როგორც ჩანს, ქართველებმა მესროპ-მაშტოცი მიიჩვენეს ინსტრუქტორ-კონსულტანტად ანბანის შექმნის დროს. მ. ჩხარტი-შეილის აზრით, შეიძლება კორიუნის ცნობა მართალიც ძლიშვილის ქართველებს წარმართულ დროში უკვე ჰქონდათ ანბანი და აღარ მიიღეს მაშტოცის შექმნილი დამწერლობა.

სომხური ვერსიის უსაფუძვლობა დასაბუთეს გამოჩენილმა მეცნიერებმა: ივ. ჯავახიშვილმა („ქართული პალეოგრაფია“, 1926წ., „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“, 1935წ.), გ. წერეთელმა („უძველესი წარწერები პალესტინიდან“, 1960წ.), ელ. მაჭავარიანმა („ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები“, 1982წ.), ზ. ალექ-სიძემ („ეპისტოლეთა წიგნი“, 1967წ.), რ. პატარიძემ („ქართული ასომთავრული“, 1980წ.), თ. გამყრელიძემ („წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“, 1989წ.).

რ. პატარიძემ გამოიკვლია „ერკათაგირის“ (სომხური ანბანის) გრაფიკული საფუძვლები და დაადგინა, რომ მის შემქნელს პროტოტიპად უნდა გამოეყენებინა ქართული ასომთავრული ანბანი.

მართალია, ქართველ მეცნიერთა დასაბუთება მყარი და დამაჯერებელია, მაგრამ ბევრ უცხოურ საცნობარო ლიტერატურაში სწორედ სომხური ვერსია დაფიქსირებული ყოველგვარი კრიტიკისა და კომენტარის გარეშე.

ქართული ანბანის მომდინარეობას ფინკიურ-არამეული დამწერლობიდან (სემიტური თეორია) უცხოელ მეცნიერთა შორის მხარს უჭერდნენ: ფრიდრიხ მიულერი, ტეილორი, იუნკერი... ქართველ მეცნიერთა შორის: ს. გიორგაძე, ივ. ჯავახიშვილი, გ. წერეთელი, რ. პატარიძე, ე. ხანთიბიძე.

ქართული დამწერლობათმცოდნეობის ფუძემდებლად ითვლება ივ. ჯავახიშვილი („ქართული პალეოგრაფია“), რომელიც ქართული ანბანის წარმოშობის თარიღად ასახელებდა არა უგვიანეს ძვ. წ. VII საუკუნისა. ის არ უარყოფდა, რომ არამეულის საფუძველზე შექმნილმა ქართულმა ანბანმა განიცადა შემდგომ ბერძნული დამწერლობის გავლენა, მაგრამ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მის წარმოშობას ბერძნული ანბანისაგან.

ქართულ ანბანს ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით ათარიღებდა პ. ინგოროვაც.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს 1940 წელს  
მცხეთა-არმაზში აღმოჩენილი ბერძნულ-არამეული ორენოვანი /  
წარწერა - ზევახის ასულ სერაფიტას საფლავის ქვის უზრუნველყოფა  
(ე.წ. „არმაზის ბილინგვა“), რომლის არამეული ასოებში ჰკულურობა კა  
ახალი სახისაა (გ. წერეთელმა მას უწოდა „არმაზული“  
დამწერლობა) და დიდ სიახლოეს ამეღავნებს ქართულ ანბანთან,  
კერძოდ ნუსხურთან. ამ ორენოვანი წარწერის არამეული ტექსტი ასე  
ითარგმნება: „მე (ვარ) სერაფიტი, ასული ზევახისა მცირისა  
პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა – ძლევამო-  
სილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრისა  
ქსეფარნუგ მეფისა, ძისა აგრიპა ეზოის მოძღვრისა ფარსმან მეფისა.  
ვაება ვაებისა. ის, ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და  
შშენიერი, რომ არავინ იყო მისი მსგავსი სილამაზით, გარდაიცვალა  
21 წლისა“. გ. წერეთელმა ივარაუდა, რომ იმ პერიოდში  
ასომთავრული და ნუსხური შეიძლებოდა პარალელურადაც  
არსებულიყო და შემდეგ დაშორებოდა საერთო ორიგინალს (ეს აზრი  
ადრეც გამოთქვა ნ. მარმა). მეცნიერის დასკვნით, ქართულ და  
არმაზულ ანბანთა შორის არის რაღაც საერთო: მსგავსია ცალკეულ  
ასოთა მოხაზულობა, დამატებითი ელემენტები, სტილი, თუმცა  
ზოგიერთი ქართული ასო მეტ არქაულობასაც კი ამეღავნებს.  
სავარაუდოა, რომ ორივე ანბანს ერთი წყარო აქვს – არამეული,  
რადგან ეს ენა ითვლებოდა საკანცულარიო და საერთაშორისო ენად  
წინარექრისტიანულ ხანაში.

გ. წერეთლის გამოკვლევამ კიდევ უფრო განამტკიცა ივ.  
ჯავახიშვილის მოსაზრების მართებულება ქართული ანბანის არამეულ  
დამწერლობასთან დაკავშირების შესაძლებლობის შესახებ.

სემიტური თეორიის დასაბუთება მოგვცა რ. პატარიძემ და  
აღნიშნა, რომ ქართული ანბანი სიახლოეს ამეღავნებს სემიტურ-  
ქალდეურ-ბაბილონურთან, შექმნილია უშუალოდ ფინიკიურის  
საფუძველზე და მონუმენტურ ბერძნულ ანბანზე ადრინდელია.

რ. პატარიძის აზრით, ქართული ასომთავრული იგივე  
უნიკალური წარმართული კალენდარია, რომელშიც დაცულია მზისა  
და მთვარის კალენდარული სისტემები, თითოეული ასო-ნიშანი (35  
ასო) იდეოგრამაცაა, აქვს რიცხვითი მნიშვნელობა, ასტრონომიული  
და კალენდარული დანიშნულება.

„ქართულ ასომთავრულში“ (1980წ.) რ. პატარიძე ქართული ანბანის შექმნის თარიღად ასახელებს: არა უადრეს ძვ. წ. 403 წლისა (კლასიკური ბერძნული დამწერლობის საბოლოოდ ჩატყველებულის წელი) და არა უგვანეს ძვ. წ. 284 წლისა (უკრძალული ასომთავრულის სახელმწიფო დამწერლობად გამოცხადების წელი).

შემდეგ ნაშრომში („ქართული მწიგნობრობა“, 1989წ.) რ. პატარიძემ დააზუსტა ეს დათარიღება და აღნიშნა: ქართული ასომთავრული შეიქმნა ძვ. წ. 415 წელს, 412 წელს მან დაიწყო მზის კალენდარული ეპოქა, ძვ. წ. 284 წელს ფარნავაზ მეფემ შემოიღო სრულიად სახელმწიფო ქართული მწიგნობრობა და ეროვნული წელთაღრიცხვათ.

ქართული ანბანი უნდა შეექმნა აღმოსავლური და დასავლური კულტურების ზედმიწევნით მცოდნე პიროვნებას, ქართველ ქურუმს (ეგებ ქართველ პითაგორელს), რომელმაც მთელი ამ ცოდნის სინთეზი მოახდინა.

ანბანსაც და კალენდარსაც ქურუმთა წრე ინახავდა, როგორც საიდუმლო ცოდნას, სანამ ფარნავაზმა არ გამოაცხადა ის საერთო ქართულ სახელმწიფო დამწერლობად ძვ. წ. 284 წელს.

რ. პატარიძის აზრით, ქართული დამწერლობა გრაფიკულ-ფონემური თვალსაზრისით სამ ანბანურ ჯგუფს აერთიანებს: სემიტურს (ფინიკიურს), ბერძნულსა და ქართულს. I ჯგუფშია 24 გრაფემა ('ან' – 'ტარ'), II-ში – 4 ('ვიუ' – 'ღან'), III-ში (საკუთრივ ქართული) – 11 გრაფება ('ღან' – 'ვან').

ანბანის საფუძველია ფინიკიურ-სემიტური გრაფიკა, ხოლო სემიტურ ასო-ნიშნებს მინიჭებული აქვს ქართული ხმოვნების მნიშვნელობა (ვოკალიზაცია არაა ბერძნულის მიხედვით, ამოსავალია სემიტური წარმომავლობის ასოები).

ბერძნულის გავლენა ჩანს შხოლოდ ასომთავრულის მოუმენტურ ხასიათსა და წერის მიმართულებაში (მარცხნიდან მარჯვნივ).

ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი ფინიკიურია (შდრ. ბაბილონური ლურსმული დამწერლობის მარცვლოვანი სისტემა).

ბერძნულში დარჩა ფინიკიური სახელები ოდნავი სახეცვლილებით (ალეფ<ალფა, ბეტ<ბეტა, გიმელ<გამა, ღელეთ<ღელტა...),

გაგრამ დაიკარგა იდეოგრაფიული რაობა (ალფა, ბეტა აღარისებული ნიშნავს).

ქართულში თითოეული ასოს სახელწოდება იდეოგრაფიული ც - ან - მთვარის შუმერული ღვთაების იდეოგრამა.

ტ - დონ - მზის ღვთაების იდეოგრამა (მზის უძველესი სახელწოდება დღე, შდრ. მზეგრძელი - დღეგრძელი).

ც - თან - თვალის (მზის სიმბოლო) იდეოგრამა.

ი - ღან - ღვთის კარი, უხილავი ღმერთის სამყოფელი.

ც - ცან - ცისკარი, ცისკრის ვარსკვლავის ანუ ცის ღმერთის ასულის გამოხატულება.

ყ - ჭარ - მთვარის ღვთაების ზოომორფული სიმბოლო, ხარი.

ჯ - ჯან - ჯვარი (ანბანის დასასრული).

ან - უდევს საფუძვლად 21 ასო-ნიშანს (ა, ბ, გ, თ, კ, მ...), - არ - 7-ს ( ნ, პ, ტ, ფ, ღ, ყ, ჸ), 7 ასო-ნიშანი განსხვავებული წარმოებისაა - ჰე, იე, რაე, ვიე, ძილ, წილ, ლას (რაე - ევიატური მზის ღვთაების სახელია, ხოლო ლას - თევზის ღვთაების უძველესი სახელი).

ქართული ენისა და მწიგნობრობის აღორძინების დაწყებად რ. პატარიძე მიიჩნევს ახ. წ. 311 წელს, რასაც გვაუწყებს დავათის სტელაც (367 წ.).

ელ. მაჭავარიანმა შეისწავლა ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები და თვლის, რომ ქართულ ასოთა მოხაზულობა გეომეტრიულ ელემენტებს ეყრდნობა. ასო-ნიშნებში ხაზები, წრეები და რკალები შეერთებულია პროპორციულად. მან გამოყო 9 ელემენტი ქართულ ასომთავრულში: დიდი, საშუალო და პატარა ზომის წრეები, რკალები და ხაზები. ყველა ასოს მოხაზულობა თავსდება უხილავი კვადრატის ფარგლებში: ზოგი მთლიანად იკავებს კვადრატს, ზოგი მარცხენა ნაწილშია მოთავსებული, ზოგი - მარჯვენაში. მეცნიერი ფიქრობს, რომ ასო + - ქან იქსო ქრისტეს ინიციალების შესაბამისი ასოების გრაფიკული შეერთებითა მიღებული, გარეგნულად კი ჯვარია. ჯ (ჯან) - ჯვარცმული ქრისტეს გამომხატველია.

ქართულ ანბანს ბერძნულთან აკავშირებდა გერმანელი მეცნიერი ვ. გარდტჰაუზენი (1876წ.), რომელმაც 1913წ. გამოსცა წიგნი „ბერძნული პალეოგრაფია“, სადაც იგივე აზრი გამოთქვა. იგი ყურადღებას აქცევდა მსგავსებას ამ ორი ანბანის ასოთა რიგსა და

მათს რიცხვითს მნიშვნელობებში. უცხოელი მეცნიერებიდან უწდა დავასახელოთ ამ თეორიის მომხრენი: მარკვარტი, ოუნკერი და ვინფრიდ ბოედერი (1973წ.); რაც შეეხება ქართველ უქციულტექნიკის, დიმიტრი ბაქრაძისთვის (1889წ.) ამ თეორიის დასასაბუთოებლად, გარდა ასოთა რიგისა, მნიშვნელოვანი იყო ქართულ ასოთა გრაფიკული მსგავსება ბერძნულთან. მისი აზრით, ქართული ანბანი შეიქმნა შევი ზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების არსებობის ხანაში ანუ ფარნავაზამდე.

დავით ქარიჭაშვილი (1914წ.) ამ თეორიის დამატეკიცებელ მთავარ არგუმენტებად ასახელებდა: 1. ასოთა რიგს ქართულ ანბანში; 2. რიცხვითი მნიშვნელობების იდენტურობას; 3. უ-ს გაღმოსაცემად ორი ასოს გამოყენებას ორივე ენაში; 4. სპეციფიკური ქართული ასოების მოქცევას ბერძნულ ასოთა მსგავსი რიგის ბოლოს; 5. ბერძნული სპეციფიკური ასოს ნაცვლად სხვა „წმინდა ქართული ხმის“ ჩასმას.

ბერძნული თეორიის მომხრენი იყვნენ ასევე: კორნელი კეპელიძე (1934წ.), პავლე ინგოროვა (1939წ ის თვლიდა, რომ ქართული ანბანი შემუშავებულია მცირე აზაში არაული ბერძნული აღზაბეტის საფუძველზე ქ. წ. VIII-VII სს. მიჯნაზე), ა.კ. შანიძე (1973წ შეცნირი უქრადლებას ამაზილებდა და ე-ს ჩამატებაზე ბერძნულ ასოთა რიგში, ე.მ. საღაც ბერძნულ ანბანში ამ ენისთვის სპეციფიკური ძველები იყო; დამატებითი ასოების მუქავა პოვ-ს წინ; ტ-ს შემდეგ კ-ს ჩასმა, რომელიც უ-ს წარმოითქმებოდა და შემდეგ სწორედ უ ჩაიხვა იქ), თამაზ ჩხერიძე, ზურაბ სარჯველაძე, კორნელი დანელია და სხვ.

თ. გამყრელიძემ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა სემიტურ და ბერძნულ დამწერლობათა სისტემები, მათზე დამყარებული ანბანები: კოპტური, გოთური, ძველი სომხური, სლავური და შეადარა ქართულ ასომთავრულს („წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“, 1989 წ.). მან დაასაბუთა ქართული ანბანის წარმოშობა ბერძნულისგან არა უაღრეს ახ. წ. IV საუკუნისა, ე.ი. ჩათვალა ქრისტიანული ხანის ეროვნულ დამწერლობად. მეცნიერი დასაშვებად მიიჩნევს უფრო ძველი წერილობითი ტრადიციების არსებობას წარმართულ ხანაში.

თ. გამყრელიძის აზრით, ქართული ანბანისთვის პროტოტიპი იყო ბერძნული წერითი სისტემა, რის მიხედვითაც გაიწყო ქართული

ანბანი, განისაზღვრა მისი „ძირითადი“ და „დამატებითი“ ნაწილების  
შედგენილობა და სტრუქტურა.

მეცნიერი გამოყოფს რამდენიმე სპეციფიკურ ნიშანს მომახდენს:  
ბერძნულ ანბანთან დიდი მსგავსების დასტურად (სემიტურისტურ  
განსხვავებით):

1. ხმოვნების არსებობა; ა, ე, ო, ი ხმოვნების მოთავსება  
ანბანთრიგში ბერძნული ხმოვნების შესაბამის ადგილებზე; ‘უ’-  
ბერძნულ ანბანთან დიდი მსგავსების დასტურად (სემიტურისტურ  
განსხვავებით):

2. შესაძლებელია, არქაულ სისტემაში ს სიმბოლოს მხოლოდ  
რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდა, 9.000 – ე. ი. იყო ეპისემონი,  
ხოლო შემდეგ აღნიშნა, ‚3’ ფონემა.

3. ქართულ ასოთა რიგი, რომელიც მოჰყვება ბერძნულს.

4. წერის მიმართულება (მარცხნიდან მარჯვნივ).

5. რიცხვითი მნიშვნელობა (‘ანიდა’ ქანამდე’); სადაც  
ბერძნული ასო არ შეესაბამება ქართულ ბერძნულ ბერძნულ ასოთა რიგი, რომელიც მოჰყვება ბერძნულს. ანბანში  
ჩანაცვლებულია სხვა ფონეტიკური ერთულით, რათაც  
შენარჩუნებულია რიცხვითი მნიშვნელობა (მაგ., ბერძნული გ [ks]  
ჩანაცვლებულია 60-ის რიცხვითი მნიშვნელობის მქონე ‘ვინ’-ით).

6. ბევრი ასოს მოხაზულობა.

7. ბერძნულიდან ნასესხები წერასთან დაკავშირებული, ტერმინები  
(კალამი, მელანი, ეტრატი, ეპისტოლე, ბიბლია...).

8. „დანართი“ ნაწილის დაწყება, ‚ქანის’ შემდეგ.

9. “შინ” 27-ე ასო-ნიშნით ბერძნულის მიხედვით დალაგებული  
ნაწილის დამთავრება ქართულ ანბანში.

10. „დანართ“ ჯგუფში „საკუთრივ“ ქართული ბერძნულის  
აღმნიშვნელი გრაფემების წარმოდგენა.

დანართი ნაწილი მარცვლურ-ფონეტიკური პრინციპითაა  
განლაგებული. თ. გამყრელიძის აზრით, სემიტურ წერით სისტემაში  
ეკვივალენტები მოეძებნება ‘შ’, ‘წ’, ‘ყ’ ბერძნებს, ამიტომ სემიტურის  
გამოყენების შემთხვევაში ეს ბერძნები „ძირითად“ ნაწილში  
მოთავსდებოდა და არა „დანართში“: ჩინ – 1000, ცან – 2000, ძილ  
– 3000, წილ – 4000, ჭარ – 5000, ზან – 6000, ჭარ – 7000,  
ჯან – 8000, ჰაე – 9000.

მეცნიერის აზრით, ასოთა სახელები ფონეტიკურ ნიაზუზე  
წარმოდგენილი თავისუფალი თხზვის შედეგი უნდა იყოს და  
გარითმულის შთაბეჭდილებას ტოვებს უკეთ დასამარსოებლად და  
ასომთავრულის გრაფიკა ავლენს ორიგინალობას და

დამოუკიდებლობას, ვერ დაიყვანება რომელიმე კონკრეტულ  
გრაფიკულ სისტემაზე. ბერძნულია ზოგადი მონუმენტურობა და  
გრაფემათა გეომეტრიული ხასიათი (კვადრატები ჩახაზული  
გეომეტრიული ფიგურები, სწორი ხაზებისა და წრეხაზის გრაფიკული  
კომბინაციები).

ქართული ანბანის გრაფიკული სრულყოფილება,  
ჩამოყალიბებულობა და „ჩამონაკვთილი“ ხასიათი უძველეს  
წარწერებში მოწმობს, რომ ის ერთდროული შემოქმედებითი აქტის  
შედეგია.

ა. შენიდე წერდა: „ძველი ქართული წერა რომ ბერძნულის  
გავლენით შეიქმნა, პირველად თ. გამყრელიძის გამოკვლევაშია  
დასაბუთებული ვრცლად და სისტემებრ. ამასთანავე ერთად ავტორი  
აღვენს ძველი ქართული დამწერლობის ტიპოლოგიურ აღგილს სხვა  
ანბანურ დაწერილობათა შორის“.

ბერძნული თეორიის მომხრეთა შორისაც განსხვავდება  
მოსაზრება ქართული ანბანის წარმოშობის დროის შესახებ.  
მაგალითად, პ. ინგოროვეას აზრით: „ქართული ანბანის წარმოშობა  
არ შეიძლება მიეკუთვნოს უფრო გვან დროს, ვიდრე VII საუკუნე  
ძველი წელთაალრიცხვისა“. პ. კიპელიძე კი ანბანის წარმოშობას  
უკავშირებდა ქართველთა გაქრისტიანებას – ახ. წ. 420-422 წლებს,  
ბაკურის მეფობის დროს.

აკად. თ. გამყრელიძე არ გამორიცხავს ქრისტიანობამდელ  
საქართველოში ძველი წერილობითი ტრადიციების არსებობას  
წარმართობის ეპოქაში.

ასეთია შეხედულებები ქართული ანბანის წარმოშობის  
შესახებ.



განარჩევენ ქართული ანბანის სამ სახეობას:

1. მრგლოვანს (მრგვლოვანს) ანუ ასომთავრულს **N-ჭრული** (მონუმენტური დამწერლობა, ორხაზოვანი);

2. ნუსხურს (ანუ ნუსხა-ხუცურს)-IX-XI სს. (კუთხოვანი, დახრილი, ოთხაზოვანი დამწერლობა);

3. მხედრულს (დამკვიდრდა XI-XIII სს.). დღესაც ეს ანბანი იხმარება. მრგვლოვანსა და ნუსხურს იყენებდნენ ძირითადად სასულიერო ხასიათის თხზულებებში, რის გამოც ორივე სახეობას ხუცურსაც უწოდებდნენ. ნუსხურ ხელნაწერებში IXს-დან დიდ ასოებად იყენებდნენ მრგვლოვანს ანუ ასომთავრულს. წარწერები ასომთავრულით სრულდებოდა. მხედრულს საერო დანიშნულებისთვის ხმარობდნენ, თუმცა ხანდახან მხედრულითაც იყო გადაწერილი სასულიერო წიგნები.

ივ. ჯავახიშვილმა დამწვრილებით შეისწავლა ქართულ ასო-ნიშანთა გრაფიკული ცვლა საუკუნეთა მიხედვით წარწერებსა და ხელნაწერებში და დაასკვნა, რომ ქართული ანბანის სახეები ერთმანეთის სახეცვლილებაა: მრგვლოვანისაგან განვითარდა ნუსხური და მისგან – მხედრული. ამ აზრს იზიარებდა ა. შანიძეც.

გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები ამ გრაფიკული სახეების ქრონოლოგიის შესახებ. მაგალითად, ნუსხურის ადრინდელობის შესახებ (ი. ოქრომჭედლიშვილი, ნ. მარი, გ. წერეთელი), მხედრული დაათარიღეს XI-ზე ადრინდელი საუკუნეებით (რ. პატარიძე).

ქართული წერის საფეხურებზე საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს: მარი ბროსემ, ნიკო მარმა, დიმიტრი ბაქრაძემ, კორნელი კეკელიძემ, აკაკი შანიძემ, ელენე მაჭავარანმა და სხვ.

ასომთავრულის უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია ნეკრესის წარწერებში (I-III სს.), მანამდე კი უძველესად ითვლებოდა პალესტინისა და ბოლნისის V ს-ის წარწერები.

ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი ა ნ ბ ა ნ ი  
 ც-ან, ჭ-ან, ლ-გან, ტ-დონ, ი-ენ, ზ-ვინ, ზ-ზენ, ც-ჟე, ც-თან, ლ-ინ,  
 ხ-კან, ხ-ლას, ძ-მან, ჩ-ნარ, ც-იე, ტ-ონ, უ-პარ, ყ-ჟან, ქ-რაე,

ს-სან, ლ-ტარ, ქ-უ-იე, ც-ტ-უნ, ფ-ფარ, +-ქან, ი-ღან, ყ-ყარ,  
ჟ-ჰინ, ჩ-ჩინ, ც-ცან, ძ-ძილ, წ-წილ, ს-ჭარ, ქ-ხან, ყ-კარ,  
ჯ-ჯან, უ-ჰაე, ძ-ზ-ოპ (პოე).



საქართველო  
გიმილი

ნუსხურის უძველესი ნიმუშია ატენის სიონის 835 წლის  
წარწერა და სინური მრავალთავის ანდერბი – პირველი თარიღიანი  
ქართული ხელნაწერი (864 წ.).

მხედრულის უძველეს ნიმუშად ითვლებოდა XI საუკუნის  
ძეგლი – ბაგრატ IV-ის სიგელი (1060 – 1065 წწ.), მაგრამ ატენის  
სიონის წარწერაში დადასტურდა მხედრულით შესრულებული  
წარწერა, ახ. წ. 711 წლით დათარიღებული (რ.პატარიძე). აქვე ზ.  
ალექსიძემ და გ. აბრამიშვილმა მიაკვლიეს IX საუკუნისა (875 წ.) და  
X საუკუნის მხედრულ წარწერებს (982-986 წწ.).

რ. პატარიძე თვლის, რომ მხედრული დამწერლობა,  
მართალია, ქართული ანბანის განვითარების უკანასკნელი საფეხურია,  
მაგრამ ის არსებობდა IV საუკუნის დამდეგიდან, მირიან მეფის  
დროიდან, როცა სამეფო კანცელარიამ დაიწყო საქმეთა წარმოება  
ქართულად, ე. ი. ის საერო-საკანცელარიო ანუ მდივანმწიგნობრული  
დამწერლობაა.

დღეს ქართულში 33 ასო-ნიშანია.

რამდენიმე ასო გამოსულია ხმარებიდან: ც, ვ, ჟ, ჸ, შ, ფ,  
უ. ც-ოტა ანუ ნახევარხმოვანი ი (მაგალითად, მამა-ი, ძმა-ი,  
და-ი), ც – ე-მერვე (ძც, ხც, პეტრც), უმარცვლო უ – უ ანუ უბრჯვო  
(ანტონ კათალიკოსმა დაუსვა ეს ნიშანი – ბრჯვუ), ჟ – ვი (თავშ  
, ნაშვ , ლელვ ), ჸ-არი (ქელი, ქარი, ქერქი), შ – ჰოე  
(გამოიყენებოდა მიმართვისას), ფ – ნასესხები სიტყვების  
გადმოსაცემად იხმარებოდა (ფილოსოფია).

## §21. უძველესი ქართული ჭარჭერები

უძველესი წერილობითი ძეგლები ფასეულია ქართული  
კულტურისა და სალიტერატურო ენის ისტორიის შესასწავლად. აქ  
შედის ეპიგრაფიკული ძეგლები (წარწერები), ხელნაწერები, საისტო-  
რიო და იურიდიული ლოკუმენტები.

უძველესი ქართული წარწერები შესრულებულია ასომთავრულით და თარიღდება V-VI საუკუნეებით.

უცხოეთში აღმოჩენილი წარწერებიდან ყველაზე სარტყელულია პალესტინის წარწერები, რომლებიც აღმოაჩინა იტალიელშიც და გვერდის ლოგმა ვირჯილიო კორბომ. ის ქართული მონასტრის ტერიტორიაზე გათხრების საწარმოებლად მიიწვია რომის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წინამძღვარმა ალბერტო ფორიმ, რომელსაც კურადღება მიუქცევია ვატიკანის ფონდებში დაცული ფრანგი ჯვაროსანი რაინდის გ. დებუს წერილისათვის თამარ მეფის ცხედრის იერუსალიმში წასვენების შესახებ. 1952 წელს პალესტინაში, იუდეის უდაბნოში, კორბომ აღმოაჩინა ბეთლემის ტაძრის ნანგრევები იატაჭე შესრულებული ოთხი მოზაიკური წარწერით, რომლებიც პირველად ამოიკითხა რომი მცხოვრებმა ქართველმა მეცნიერმა — მიხაელ (მიქელ) თარზნიშვილმა (1897-1958).

წარწერები მეცნიერულად შეისწავლა და დაათარიღა აკად. გიორგი წერეთელმა (იხ. „უძველესი წარწერები პალესტინიდან“, 1960).

მეცნიერი ორ უფრო ძველ წარწერას ათარიღებს 429-432 წლებით, მათში ნახსენები არიან მარუანი (იგივე მურვანი, შემდგომ პეტრე იბერად წოდებული), პაპა დედის მხრიდან — ბაკური, მამა — ბურზენი (იგივე ბუზმირი) და ვინმე გრი-ორმიზდი. გ. წერეთლის აზრით, ეს ტაძარი პეტრე იბერის აშენებული იყო.

პეტრე იბერი გახლდათ ქართველი უფლისწული მურვანოსი, რომელიც 12 წლის ასაკში წაიყვანეს ბიზანტიაში, შემდეგ ბერად აღიკვეცა და პალესტინის უდაბნოში დაახლოებით 433 წელს ააგო მონასტერი, სადაც მოღვაწეობდა.

ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ ჰონიგმანმა და ქართველმა შალვა ნუცუბიძემ დაამტკიცეს, რომ სწორედ პეტრე იბერი არის ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ავტორობით ცნობილი ნაშრომების შემქმნელი. ამ თეორიას უწოდეს ჰონიგმან-ნუცუბიძის თეორია.

შედარებით ახალ წარწერაში (532-552წწ.) ნახსენები არიან ვინმე ანტონი აბაი (შემდეგში სელევკის ეპისკოპოსი), იონია, „მომსხმელი ამის სეფისად“ (იატაჭე მოზაიკის დამგები) და წმ. თეოდორე, ვის სახელზეც იყო აგებული მონასტერი.

ამ წარწერებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ანბანის ისტორიისათვის.

ძალზე ძეველია ასევე ურბნისის სიონის წარწერები უაღმის განხვარი), შესრულებული მრგლოვანი ანბანით.

მანამდე ყველაზე ძეველად მიაჩინდათ ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერები (ქვემო ქართლში), დათარიღებული 493-494 წლებით. სამი წარწერიდან პირველში ნახსენებია დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ, მეორის შეა ფრაგმენტი აღმოაჩინეს 1937 წელს (ახლა მის აღვილზე ჩასმულია მულაჟი, ორიგინალი კი ინახება ს. ჯანაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში). მასში ნახსენებია პეროზ მეფე, რომლის გამეფებილია 20 წლის შემდეგ დაუწყიათ ეკლესიის მშენებლობა და 15 წელში დაუმთავრებიათ. ეკლესიის ამშენებლად დასახელებულია დავით ეპისკოპოსი.

მესამე წარწერა ეხება კარის შებმის ამბავს, ნახსენები არიან ფარნაგაზი და აზარუხტი, ვინც ჩრდილოეთ მხარეს მარჯვენა კარი ჩამოკიდა.

ენათმეცნიერებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამ წარწერებში გვნვდება ზმნების ხანმტური ფორმები (დახილვა, განხეშორა, ხულოცოს, შეზუაბთ, შეზეწიე, თავყანისწცა...).

პირველი ქართული თარიღიანი წარწერაა წყისისა (616-619 წწ.), სოფ. წყისე მდებარეობს სამცხეში, ადიგენის რაიონში, სოფ. უდის მახლობლად. ესაა ყველაზე აღრინდელი ჰაემეტი ძეგლი.

აღსანიშნავია მცხოვის ჯვრის (VI-VII სს.), უკანგორის (VIIს. დასაწყისი), საპაკდუხტის (აღმოჩენილია რაჭაში, ზნაკვის ჯვარისაში, წარწერაში ნახსენებია ვინძე საპაკდუხტი; აღმოაჩინა გ. ბოჭორიძემ. ესაა ხატის წარწერა), კუმურდოს (VII ს.), ატენის სიონის (VIII ს.), იშხნის (954-955 წწ.) და სხვა წარწერები. ატენის სიონის წარწერებიდან საინტერესოა სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა (739 წ.) და 835 წლის ნუსხა-ხუცურით შესრულებული წარწერა.

საქართველოში XI საუკუნის დასაწყისში დადასტურებულია არაბული ციფრები ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ჩრდილო კედლის წარწერაში, სადაც აღნიშნულია: „ქ. ოდეს განმტიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223 (ეს ნიშნავს 1003 წელს). ბაგრატის ტაძრი აშენდა ავრატ III-ის(975-1014) მფლობის დროს.“

დიდი ხანი არაა, რაც აღმოჩინეს რამდენიმე უნდავალური ეპიგრაფიკული ძეგლი: 1984 წელს დუშეთის რაიონში, ჟინვალში, სოფ. დავათის ღვთისმშობლის ეკლესიაში აღმოჩნდა სტელა ზე ქართველი ჯვარი (ბერძ. „სტელა“ – წარწერიანი ან შეცდომული ეკლესიაში გამოსახულებიანი ქვის ფილა) უძველესი ქართული წარწერებით. არქეოლოგიურ გათხრებს ხელმძღვანელობდა რ. რამიშვილი. სტელა მეორეულ სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ საყრდენი ბურჯის კუთხეებში და მანამდე დაფარული იყო. ზედ გამოსახულია მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები, რომელთაც ხელთ უპყრიათ გრავილი. შემოსაზღვრული სივრცე თევზს მოგვაგონებს (თევზი ბერძ. „იბთის“ – ქრისტეს იეროვლიფი იყო. „უხუს ბრისტოს თუუ თუს ხოტერ“ – იუს ოქრისტე ტე ღვთისა მხხნელი). გრავნილზე ამოკაწრულია ასომთავრული ანბანის 37 ასო თანამიმდევრობით. ქვემოთ ორი საერო პირია ხელებაპყორბილი (ვარაუდობენ, რომ ესენი არიან მეფეები ფარნავაზი და მირიანი). რ. პატარიძის აზრით, აქ გამოსახულია ქართული ანბანის ამაღლება-განდიდება.

სტელის დათარიღებაში აზრთა სხვადასხვაობაა: ზოგი მეცნიერი ათარიღებს V საუკუნის დასაწყისით, ზოგი კი – IV საუკუნის დასაწყისით, არის მოსაზრება, რომ უნდა დათარიღდეს VI საუკუნით.

აქევე ვხედავთ ქარაგმიან სამ ასოს „ჭტკ“, რომლის რიცხვითი მნიშვნელობაა 5.320 და ნიშნავს ძვ. წ. 284 წელს (დასაბამითგან 5604 - 5320 = 284), რაც ოფიციალური სახელმწიფო დამწერლობის შემოღების წელია.

რ. პატარიძის აზრით, სტელა შესრულებულია 311 წელს, ქართული ანბანის აღორძინების დროს, მირიანის მეფობისას.

გურამ ნარსიძე კანონიკური იკონოგრაფიის ელემენტების გათვალისწინებით ძეგლს ათარიღებს არა უადრეს 362 და არა უგვიანეს 419 წლისა (შედევ დააკონკრეტა ზედა ზღვარი 381 წლით).

განუზომელი მნიშვნელობისაა 1991 წელს ყვარლის რაიონში, ნეკრესში, აღმოჩენილი წარწერები. არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა 1984 წლიდან (ხელმძღვანელი ლ. ჭილაშვილი). ნეკრესში გაითხარა ნაქალაქარი: ქრისტიანობამდელი სატაძრო კომპლექსის ნანგრევები (მითრას – მზის სამლოცველო), ანტიკური

ხანის ქალაქის ზღუდის ნაწილი – IV-VI სს., სასახლისა და მარნის ნაშთები, VI საუკუნის გძლესა. ციხე-სასახლე უაშენებულია ადრინდელი წარმართული სამლოცველოს გეოგრაფიული მდგრადი (სამლოცველოს ფართობია  $50 \times 50$  მ). მეორეულ სამშენებლო მასალად გამოიყენებით ადრინდელი წარწერიანი ფილები (აღმოჩნდა ხუთი ფილი). იკითხება საკუთარი სახელები: აბაზა, ლევაკი, ოობულა. ერთი ქვერის პირზე წერია ასომთავრულით: „მე ეს ჭური დავრგე“. არსად არ ვხვდებით ქრისტიანული წარწერებისთვის დამახასიათებელ ატრიბუტებს: ჯვარს, მიმართვას – „ქრისტე“, ვედრებას – „უფალო, ღმერთო“, შეწყალების ან ხულის მოსახსენებელ ტექსტს, დასასრულს – „ამენ“.

როგორც ღ. ჭილაშვილი ფიქრობს, ნეკრესის ეკლესია ჩვენამდე მოღწეული ადრექტისტიანული არქიტექტურის უძველესი ძეგლია საქართველოში (IV ს.), წარწერები კი ცეცხლთაყვანისმცემლობის პერიოდისაა.

1999 წელს გაკეთდა სენსაციური აღმოჩნდა – მე-7 წარწერა ქვის ფილაზე, რომელზეც ამოკაწრულია სიტყვები. ძეგლი უნდა იყოს საფლავის ქვა, წარწერა ხანმეტურია, გვხვდება უცნობი სოციალური ტერმინი – „აზატი“. ტექსტი ასეთია: „აზატისი არს ნუმცა ვინ ხრევს“ – ნურავინ არევს, უბრალო კაცის საფლავი არააო. აქაა 2 დაზიანებული და 6 სრული სტრიქონი. ეს წარწერა დღვისთვის ცნობილ ქართულ წარწერებს შორის უძველესად მიიჩნევა (ახ. წ. I-III სს.) და წინაქრისტიანულია.

როგორც ჩანს, მაზდეანთა ტაძარი დაანგრიეს და გაძარცვეს ქრისტიანებმა, ასევე დაამსხვრიეს საფლავის ქვები.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ვარაუდს, რომ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ განადგურდა წარმართული არქიტექტურული ძეგლების წარწერები და ხელნაწერები.

## §22. ქართული ხელნაწერები

ქართული ხელნაწერებიდან ბევრია დაკარგული, მნელბედობისა და ისტორიის ბედუკულმართობის გამო განადგურებული ან სადმე გამნეული. 10.000 ხელნაწერიდან 1.000-ზე მეტი თარიღდება V-XII

საუკუნეებით. მათ პირობითად ყოფენ სამ ჯგუფად: ხანმეტად, ჰაემეტად და სანნარევად. ესაა ბიბლიისა და სახარების თარგმანები, სასულიერო ხასიათის ორიგინალური თხზულებები, საქართველოს ფილოსოფიური, საერო, იურიდიული ხასიათის ღოკუმენტები. მსთვავებები დიდი ნაწილი ინახება თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში, საქართველოს მუზეუმში, ნაწილი კი – საზღვარგარეთ: ოქსფორდში, კემბრიჯში, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (29 ხელნაწერი), ბრიტანეთის მუზეუმში, ავსტრიაში (ვენა, გრაცი), გერმანიაში, ვატიკანის ფონდში, აშშ-ში, სინას მთაზე, ათონის მონასტერში, ბულგარეთში (პეტრიწონის მონასტერში), იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, სირიაში, რუსეთში და სხვ.

ხანმეტი ხელნაწერებიდან უნდა დავასახელოთ: ქართულებრაული პალიმფსესტი (პალიმფსესტი არის საწერად ხელახლა გამოყენებული ეტრატი, რომელზეც ძველი ნაწერი გადაფხეკილია), სადაც ქართული ნაწერი მიეკუთვნება V-VI სს., ებრაული – XI ს., ხანმეტი ლექციონარი (VII ს. II ნახ. აკ. შანიძემ მასში დაადასტურა 165 ხანმეტი და 7 ჰაემეტი ფორმა), იერემიას წინასწარმეტყველება (VI-VII სს. – ოქსფორდული და კემბრიჯული ნაწყვეტები), ესაიას წინასწარმეტყველების ფრაგმენტები (VI-VII სს.), აკობის პროტოევანგელე (VII ს.) და სხვ.

პირველი თარიღიანი ხელნაწერია 864 წლის სინური მრავალთავი, გადაწერილი იერუსალიმში, საბაწმინდის ლავრაში (შესრულებული მრგვლოვანით, ჰატარა მონაკვეთი – ნუსხურით), შეუწირავთ სინას მთის მონასტრისთვის. გადამწერია გრიგოლ ხანძთელის მოწაფე მაკარი.

აღსანიშნავია სახარება-ოთხთავების უნიკალური ხელნაწერები: ზემო სვანეთში, მესტიის რაიონში დაცული ადიშის სახარება (897წ.), ოპიზის სახარება (913წ.), შატბერდის ოთხთავი (936წ.), ჯრუჭის ოთხთავი (936წ. 940 წელს მოუხატავს მხატვარ თევ-დორეს), პარხლის ოთხთავი (973წ.), სინას მთის (978წ.), ბერთის (988წ.), ტბეთის (995წ.) და სხვ. საინტერესოა ასევე ჰაემეტი პალიმფსესტები (853წ.), აკობის ფამის წირვა (985წ.) და სხვ.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული მხატვრული ჰაგიოგრაფიული თხზულება იაკობ ხუცესის „შუმანიკის წამება“, როგორც ვიცით, V ს. II ნახევარშია დაწერილი, მაგრამ ტექსტის

ავტოგრაფი არ შემონახულა. უძველესი ჩელნაწერი შესულია X საუკუნის პარხლის მრავალთავში, თუმცა დაზიანებული და თხზულების ბოლო მესამედი აკლია.

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ასევე „ვსტათი მცხეთელის წამება“, „აბიბოს ნეკრესელის წამება“, „აბო ტფილელის წამება“ (VIII ს.), „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (X ს.), „ნინოს ცხოვრება“ და სხვ.

ბიბლიური წიგნები IV-V საუკუნეებში უნდა იყოს თარგმნილი. ამას გარდა ბერძნულიდან, არაბულიდან, სირიულიდან და ძველი სომხურიდან თარგმნილია სხვადასხვა წასიათის ძეგლები: ლიტურგიული, ჰიმნოგრაფიული, ჰაგიოგრაფიული, აპოკრიფული, დოგმატური, გვზეგეტიკური, ჰომილეტიკური და სხვ.

საერო ლიტერატურის თარგმანებიდან აღსანიშნავია „სიბრძნე ბალავარისი“ (IX-X სს.), სპარსულიდან ნათარგმნი ძეგლები: „ვისრამიანი“ (XII ს.), „შაპ-ნამე“, „ქილილა და დამანა“, „ლეილ-მაჯნუნიანი“ და სხვ.

ისტორიული თხზულებებიდან უაღრესად მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრება“, დაყოფილი ორ ციკლად: XIV საუკუნემდე და XVII საუკუნეები.

ისტორიული, ფილოსოფიური, საერო თუ იურიდიული წასიათის დოკუმენტები დასტურდება X-XII საუკუნეებიდან.

X ს. შატბერდის მონასტერში შედგენილია უნიკალური ჩელნაწერი – მესხურ საგალობელთა კრებული – იადგარი, გამორჩეული დახვეწილი კალიგრაფიითა და ფაქტი მხატვრული გემოვნებით, შემდგენელ-რედაქტორია ჰიმნოგრაფი მიქაელ მოდრეკილი. ტექსტში დაფიქსირებულია გალობის კილო ნევმების მეშვეობით რიტმულ-მელოდიური მოდელების გადმოსალებად. მაშინასადამე, ნევმები ერთგვარი სანოტო ნიშნები ყოფილა.

რაც შეეხება საწერ მასალას, ადრე საქართველოში წიგნებს წერდნენ ეტრატზე ანუ პერგამენტზე, რომელსაც ამზადებდნენ ცხვრის, თხის, ხბოს ან ირმის სპეციალურად დამუშავებული ტყავისაგან. სიტყვა „პერგამენტი“ დაკავშირებულია მცირე აზიის ქალაქ პერგამონთან, სადაც მზადდებოდა საწერი ტყავი. „ეტრატი“ ბერძნული სიტყვაა და „ოთხეულს“, „ოთხფურცელას“ ნიშნავს (აქედანაა რუსულში შესული „тетрадь“), ქართული „რვეული“

რვაფურცლიანი იყო, რვა-რვა ფურცლად იკინძებოდა. ეტრატექტა  
წიგნის გადაწერა ძალზე ძვირი ჯდებოდა, ამიტომ სიტყვებს /  
ამოკლებდნენ ანუ აქარაგმებდნენ. თვით შემოკლების ნიშანის ქართულში ეწოდებოდა. მაგალითად, რ = რამეთუ, ხ = ხოლო, ქ = ქართული სტრუქტურის რნ = რომელმან, ვა = ვითარცა, წი = წმინდა, ღნ = ღმერთმან, შნ = შეიწყალენ და სხვ.

ძვ. წ. 2.200-1.500 წელს ეგვიპტელებმა გამოიგონეს პაპირუსი (ქართულად ჭილი), რომელიც ჭაობის მცენარისაგან მზადდებოდა.

ჭილზე შესრულებული ქართული ხელნაწერია დავითის ფსალმუნის ნაწყვეტები სინას მთიდან (დაცულია პეტერბურგის ბიბლიოთეკაში), ხოლო ჭილ-ეტრატზე დაწერილი X საუკუნის იადგარი, საგალობელთა კრებული (დაცული თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში).

ქაღალდზე შესრულებული უძეველესი ქართული ხელნაწერი XI საუკუნისაა.

ქაღალდზე აღნიშნულ საქარხნო ნიშნებს ჭვირნიშანს ანუ ფილიგრანს უწოდებდნენ. გვერდის მნიშვნელობით იხმარებოდა კაბალონი, ხოლო მის ნახევარს (ერთ სვეტს) ეწოდება გვერდი, გარშემო ცარიელ არეს – აშია ანუ არშია.

ადრე სიტყვებს ერთმანეთს არ აცილებდნენ, შემდეგ დაიწყეს მათ შორის განკვეთილობის ნიშნების დასმა.

სასვენ ნიშნებად ძველ ქართულ ხელნაწერებში გვხვდება წერტილი, ორწერტილი და სამწერტილი (წერტილი გამოყენებულია V-VII საუკუნეებში ხანმეტ პალიმფსისტებში).

ეფრემ მცირემ XI ს. II ნახევარში შემოიღო ერთი, ორი, სამი და ექვსი წერტილის ხმარება. ამ დროიდან გვხვდება ასევე კითხვითი წინადაღებების ბოლოს მახვილი და მძიმე.

თანამედროვე პუნქტუაციური ნიშნები ქართულში ევროპიდან შემოვიდა და გამოიყენება XIX საუკუნიდან.

პაპირუსსა და პერგამენტზე წერდნენ ჯერ ლერწმის, შემდეგ ფრთისა და ბოლოს ფოლადის კალმებით („კაღამოს“ – ბერძნულად ლერწამია, რუსული იpero – ფრთა). მელანი მხოლოდ შავი ფერის საწერ სითხეს ერქვა (შდრ. რუსული ცერნილა), რადგან ეს სიტყვა ბერძნულად „შავს“ ნიშავს. წითელ მელანს უწოდებდნენ წითელს, მაღალხარისხოვანს – სინგურს, ოქრონარევს კი – ოქრომელანს.



საქართველოში ცნობილი იყო წელთაღრიცხვის სამდგრავისტუმა; დასაბამითგანი, ქრისტესით და ქრონიკონი.

დასაბამითგანი წელთაღრიცხვის ათვლას იწყებს ქვეყნის გაჩენიდან, დასაბამით; ქრისტესით – ქრისტეს დაბადებიდან, ხოლო ქრონიკონი (ანუ ქრონიკონი) ემყარება მთვარისა და მზის მოქცევის 532 წლიან ციკლს.

საქართველოში ქვეყნის გაჩენიდან ქრისტემდე 5.600 წელს ანგარიშმობდნენ (ბიზანტიური სისტემით – 5.508წ.).

ქრისტეს დაბადებიდან წელთაღრიცხვა შემოიღო დიონისე მცირემ 525 წელს, საქართველოში პირველად იოანე საბანისძე აღნიშნავს ამგვარ დათარიღებას VIII საუკუნეში (შეინიშნება მცირეოდენი სხვაობა ამ დათარიღებაშიც. ზოგი ამოსავლად თვლის ქრისტეს დაბადებას, ზოგი – ვნებას, ჯვარცმასა და აღდგომას, ზოგი – ამაღლებას).

VIII-XVIII საუკუნეებში საქართველოში იყენებდნენ წელთაღრიცხვა „ქრონიკონს“. მზის სრული ციკლი (28 წ.) გამრავლებული მთვარის სრულ ციკლზე (19წ.) არის „სრული მოქცევა“  $28 \times 19 = 532$  ანუ 532-წლიანი ციკლი. მოქცევათა ანგარიში იწყება „ქვეყნის გაჩენიდან“.

$12 \text{ მოქცევა } \text{დამთავრდა } 780 \text{ წელს } (532 \times 12 = 6384; 6384 - 5604 = 780)$ . მე-13 მოქცევა მოიცავს  $781 - 1312$  წლებს, ხოლო მე-14 –  $1313 - 1844$  წლებს.

ქართული ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში მითითებული ქრონიკონის წლებს უნდა დაემატოს 780 ან 1312.

რიცხვების აღსანიშნავად აღრე კვალგან იყენებდნენ ასოებს. X საუკუნის მცხეთურ დავითნში პირველად გვხვდება არაბული ციფრები, დაწერილი მარჯვნიდან მარცხნივ (მარცხნიდან მარჯვნივ, როგორც ვიცით, პირველად დადასტურებულია ბაგრატის ტაძრის წარწერაში – ქორონიკონი 223 წელი), თუმცა შემდეგაც კარგა ხანს იყენებდნენ ასოებს თარიღების აღსანიშნავად.

შენიშვნა: ეს ციფრები ინდოელებმა შექმნეს, მაგრამ არაბებისგან გავრცელდა კვრისაში და ამიტომ უწოდდებოდა არაბული.

# ქართული ანბანის რიცხვითი მნიშვნელობები

კრიტ- ულები	1	2	3	4	5	6	7	ერთობების განვითარების მდგრადი მარტივი
ათეუ- ლები	0 10	2 20	3 30	4 40	5 50	6 60	7 70	3 80
ასეუ- ლები	რ 100	ს 200	ტ 300	უ 400	ვ 500	ქ 600	ლ 700	ყ 800
ათასე- ულები	ჩ 1000	ვ 2000	ძ 3000	წ 4000	ჭ 5000	ხ 6000	პ 7000	ჯ 8000
ათა ათასი	გ 10000							3 9000

როგორც ვხდავთ, ქართული ანბანის პირველი ცხრა ასო აღნიშნავს ერთეულებს, მეორე ცხრა – ათეულებს, მესამე – ასეულებს, მეოთხე – ათასეულებს, უკანასქნელი ასო ნიშნავდა 10.000-ს.

რიცხვების გამომხატველ ასოებს უკეთებდნენ ქარაგმის ნიშანს, კერ იწერებოდა უმაღლესი რიცხვი, შემდეგ – მომდევნო, ნული არ აღინიშნებოდა (რიცხვითი მნიშვნელობა არ ჰქონდა უ-ს). მაგალითად, 125 არის – რკე, 874 – ყოდ, 1837 – ჩყლზ, 1111 – აირჩ, 3712 – ძღიბ.

## §24. მკელი ქართული სამედიცინო ფიგვები

საქართველოში სამედიცინო განათლების დიდ ისტორიაზე მეტყველებს ძეველი სამედიცინო წიგნები (X-XV ს.ს.), სადაც განხილულია მედიცინის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ანატომიის, ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის პრობლემები, დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მეურნალობის მეთოდები, დასახელებულია ფარმაკოლოგიური საშუალებები და აღწერილია მათი დამზადების ტექნოლოგია.

ჩვენამდე მოღწეული სამედიცინო ძეგლებიდან ანატომია-ფიზიოლოგიის საკითხების განხილვა მოცემულია თხზულებებში:

მარტვირი საბაწმიდელის „სინანულისათვის სიმდაბლისა“, გორგი მთაწმინდლის „ფრანგულმანში „დაბადებისათვის კაცისა“ (X ს.), იოანე დამასკელის VIII საუკუნეებულის „გარდამოცემა“-ს არსენ იყალთოელისეულ თარგმანში (X ს.), ნემსიოს ემსელის „ბუნებისათვის კაცისა“ იოანე პეტრიშვილისეულ თარგმანში (XI ს.).

აღსანიშნავად ძველი ქართული სამედიცინო წიგნები: ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (XI ს. ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსახრება, რომ ეს ძეგლი X საუკუნისაა), ზოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოვ“ (XIII ს.), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი – კრაბადინი“ (XV ს.), დავით ბატონიშვილის „იადიგარ-დაუდი“ (XVI ს.), ვახტანგ VI-ის „სამედიცინო პარაგრაფები“ (XVII ს.).

„უსწორო კარაბადინი“ („უსწორო“ შეუდარებელს, სწორუპოვარს ნიშნავს) ლრმა მეცნიერული ნაშრომია, შედგება 96 კარისგან (539 ნაბეჭდი გვერდი). ავტორად თვლიან ვინმე ქანანელს. ორი ხელნაწერიდან უფრო ძველი შესრულებულია ნუსხურით და ათარიღებენ XIII-XIV საუკუნეებით. წიგნის აშეებზე არის ქართული მხედრული მინაწერები, ზოგან – სომხურიც. ამჟამად ხელნაწერში 134 ფურცელია. მეორე ხელნაწერი შესრულებულია მხედრულით და 600 ფურცელია, ის თითქმის სრულია. წიგნი ვახტანგ VI-ის ბრძანებით გადაუწერიათ დედინდან. მას მიაგნო ლენინგრადში ცნობილმა მეცნიერმა, ექიმმა ლადო კოტეტიშვილმა და გამოსცა 1940 წელს.

I ნაწილში (35 კარი) მოცემულია ზოგადი საექიმო პრინციპები, ანატომიური, ფიზიოლოგიური, ბიოლოგიური, ფარმაკოლოგიური, ზოგადემბრიოლოგიური ცნობები, ზოგადი გინეკოლოგია, „ცხროიან“ (სიცხიან) დაავადებათა ანუ „ცხროთა“ კარი. აღწერილია 25 სიცხიანი დაავადება (ანუ ანთებები) – მათი ეტოლოგია, პათოგენეზი, კლინიკა და მკურნალობა.

II ნაწილში (23 კარი) შედის კერძო პათოლოგია და თერაპია – ნერვული, თვალის, ყურის, ცხვირის, ყელის, სტომაქის, ფილტვის და ა.შ. დაავადებანი, მითითებულია შესაბამისი წამლები.

III ნაწილში (38 კარი) განხილულია გარეგანი დავპარებანი (მუწესები, წყლულები, მოტეხილობები, სახსართა ამოვარდნილობები, დამწვრობები, შხამიან ცხოველთა ნაკბენები და სხვ.).

ბოლოს წიგნს ახლავს ზოგადპიგინური და დიეტეტიკური ცნობები, ცალკეულ წამლეულთა აღწერა.

წიგნში ფურადლებაა გამახვილებული დიეტოლოგის საკითხებზეც.

ზოჯაყოფილის „წიგნი საქიმო“ სასწავლო-სახელმძღვანელოა, დაიწერა XIII საუკუნეში (1206-1210 წლებში), თამარის ეპოქაში, ანტონ ჭყონდიდელის ბრძანებით, როგორც ჩანს, გელათის აკადემიისათვის. შედგება 244 თავისაგან.

წიგნში მოცემულია მედიცინის ზოგადი საკითხები, ემბრიოლოგიური, ანატომიურ-ფიზიოლოგიური შეხედულებები („ძვალთა წყობილება“), ავადყოფის გამოკვლევისა და სადიაგნოზო საშუალებანი, დაავადებათა კლინიკა და მკურნალობა, ფარმაკოლოგიური საშუალებები (23 წამლეულის ფორმა).

გამოსცა 1936 წელს ლ. კოტეტიშვილმა.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი—კარაბადინი“ (XV ს.) მეცნიერმა თორნიკე ჭყონიაშ აღმოაჩინა გორკის (ნიუნი ნოვგოროდის) სახელმწიფო არქივში.

ეს წიგნი დიდი ფორმატისაა, თეთრ ქაღალდზე დაწერილი, ჩასმული ტფავგადაკრულ ხის ყდაში (684 ფურცელი). ორი გადამწერიდან ერთ-ერთია მცხეთის ქადაგ მახარებელ ივანიას ძე მაღალაძე (კონსტანტინე მეფის დროს, XV საუკუნის ბოლო მეოთხედი).

ზაზა იყო უკანასკნელი ფანასკერტელი და ციციშვილთა საგვარეულოს მამამთავარი. ის ტაოდან შიდა ქართლში გადმოსახლებულა, ყოფილა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, სახელოვანი მკურნალი და მეცნიერი.

„სამკურნალო წიგნი“ განკუთვნილია სახელმძღვანელოდ პრაქტიკოსი ექიმებისათვის, მომვლელთა და ავადმყოფთათვის.

ვახტანგ მეფის ბრძანებით, 1709 წელს შეუკინძავთ ფურცელ-ფურცელ დაშლილი კარაბადინი და ჩაუსვამთ ძვირვას ყდაში. მეფის შენიშვნები და განმარტებანი შენახულია წიგნის აშიებზე.

წიგნის II ნაწილი გამოიცა 1950 წელს მ. ხადგაშვილის საერთო რედაქციით, ი. აბულაძისა და კ. გრიგოლიას ულტრაფიზიკით, 1978 წელს კი მ. შენგელიამ ხელახლა გამოსცა ეფუძნულოფლექსიქონი.

ზ. ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნის“ პირველ ნაწილში განხილულია მედიცინის ზოგადი საკითხები, ჰიგიენისა და დაგნოსტიკის ზოგადი პრინციპები, ანატომიურ-ფიზიოლოგიური საკითხები, სამკურნალო საშუალებების ძირითადი ფორმები და მათი ტექნოლოგია.

მეორე ნაკვეთი ეთმობა მედიცინის კერძო ნაწილს, დახასიათებულია სხვადასხვა ორგანოს დავადებანი, მათი ნიშნები, მკურნალობის მეთოდები.

დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი“ (XVI ს.) კომპილაციური ნაშრომია. ავტორს უთარგმნა ორი თხზულება (თათრული წიგნი), სხვებისგან „გამორჩეული და გამოკრებილი“, დაუმატებია საკუთარი დაკვირვებანი, სამკურნალო ამბები და თავისი შედგენილი წამლები.

ესაა მეცნიერულ-პოპულარული წიგნი, განკუთვნილი პრაქტიკული საქმიანობისათვის (არასპეციალისტებისთვისაც).

წიგნი შეიცავს სამ ნაწილს: I ნაწილი – ზოგადი საექიმო საკითხები, II ნაწილი – დიეტეტიკა, III ნაწილი – კერძო პათოლოგია და თერაპია.

უძველესი ხელნაწერი გადაწერილია 1634-1655 წლებში, როსტომ მეფის დროს. შესრულებულია მხედრული ანბანით, შავი მელნით (თავების დასაწყისი და საკუთარი სახელები – წითელი მელნით). პირველად გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა 1938 წელს წინასიტყვაობით, გამოკვლევებით, ვარიანტებით, ლექსიკონითა და საძიებლებით. 1985 წელს გამოიცა ხელახლა.

დავით მეფე ანუ დაუდხანი იყო ლუარსაბ I-ის (1534-1558) შვილი. დავითი ჯერ პროინანულ ორიენტაციას აღდა, ხოლო შემდეგ იძულებული გამხდარა ოსმალეთის ჯარი შემოევგანა საქართველოში და თვითონ გამგზავრებულიყო სტამბულს, სადაც 1585 წელს გარდაიცვალა (საქართველოში იმედგა 9 წელი – 1569-1578 წწ.).

დასახელებული სამედიცინო წიგნები საინტერესოა მედიცინის ისტორიკოსებისა და ლინგვისტებისთვისაც, როგორც საშუალი

ქართულის ძეგლები. განსაკუთრებით ფასეულია ამ ძეგლზე  
ლექსიკური ფონდი, უპირველეს ყოვლისა, დავადებათა და/  
სამკურნალო საშუალებათა დასახელება.

მართალია, ამ წიგნებში ჭარბობს არაბულ-სპარსული და ლიტერატურული მაგრამ ვხვდებით ძველ ქართულ სამედიცინო ტერმინებსაც, რომელთა წყაროდ ზოგჯერ შეიძლება ჩაითვალოს ქართული ენის კილოები.

აშკარად იკვეთება ტენდენცია, საერთო-სახალხო ქართული ენის ლექსიკის (და უკვე არსებული ძველი ქართული სამედიცინო ლექსიკის) საფუძველზე შემუშავდეს ეროვნული ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია.

## §25. ქართული ენის მეცნიერული ჟანრავლის ისტორია

ქართულ გრამატიკულ აზროვნებას საქართველოში უძველესი ტრადიციები აქვს, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია ადრინდელ ენათმეცნიერულ ნაშრომებს. უძველესი ქართული გრამატიკული ტრაქტატის „სიტყუამ ართონთათვს“ (XI ს.) ავტორი უცნობია (ვარაუდობენ, რომ უნდა იყოს ეფრემ მცირე ან არსენ იყალთოელი). ეს ტრაქტატი მოწმობს, რა ღრმად ერკვეოდნენ მაშინ ენობრივ საკითხებში, როგორ კარგად იცნობდნენ ბერძნულ გრამატიკას და სწავლობდნენ ქართული ენის გრამატიკულ კანონებს (ზოგიერთი ტერმინი დღესაც მიღებულია, მაგ.: მიცემითი, ნათესაობითი და სხვ.).

ქართული ენით, როგორც ერთ-ერთი უძველესი ხალხის ენით, XVII საუკუნეში დაინტერესდნენ კათოლიკე მისიონერები და უცხოელი მეცნიერებიც, რადგან მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციისთვის საჭირო განდა ქართული ენის ადგილის განსაზღვრა. მისიონერებს კი ქართულის შესწავლა სჭირდებოდათ თავიანთი მუშაობის გასაშლელად საქართველოში. იმიტომ დაიწყეს ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკებისა და ლექსიკონების შედგენა.

1629 წელს რომში დაიბეჭდა სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირბაზის (ჩოლოფაშვილი) „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომელიც შეიცავდა 3.084 სიტყვას (ქართულად, ლათინური ტრანსლიტერაციით და იტალიური თარგმანით). ესაა პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნი.

XVII საუკუნეში ლექსიკონი შეადგინა ბერძოლო  
ნეაპოლელმაც (ხელნაწერები დაცულია ნეაპოლის ნაციონალურ  
ბიბლიოთეკაში).

ქართული ენის პირველი გრამატიკა დაწერა იტალიელმა  
მისიონერმა ფრანცისკ მარიო მაჯომ და გამოსცა 1643 წელს  
ლათინურად (II გამოცემა – 1670 წ.). გრამატიკა შედგებოდა 4  
ნაწილისაგან: ორთოგრაფია, ეტიმოლოგია, სინტაქსი, პროსოდია. ამ  
ნაშრომის შესახებ რეცენზია დაუწერია გერმანელ ფილოსოფოს  
გოტფრიდ ვილჰელმ ლაბბიცა, თუმცა ჩვენამდე მას არ მოუღწევია.

პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონი (1685-1716წწ.)  
შეადგინა სულხან-საბა ორბელიანმა და უწოდა „სიტყვის კონა“,  
რომელშიც აღნუსხულია 16.600-ზე მეტი ლექსიკური ერთეული. ამ  
ლექსიკონის მნიშვნელობა განუზომლად დიდია და დღესაც ყველა  
ფილოლოგის სამაგიდო წიგნია. ლექსიკონში განმარტებასთან ერთად  
მითითებულია სიტყვათა წარმომავლობა, სინონიმები, გამოყენების  
სფერო. ესაა ძირითადი განმარტებითი ლექსიკონი, მაგრამ შეიცავს  
ენციკლოპედიური ხასიათის შენიშვნებსაც.

არნ. ჩიქობავას აზრით, „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად და მის  
გვერდით სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი („სიტყვის  
კონა“) ძველი ქართული გონიო (სულიერი) კულტურის ძვირფასი  
ძეგლიცაა და უდიდესი მიღწევაც“.

„სპარსეთისა და თურქეთისაგან აწიოკებულ საქართველოში  
ერთმა პირმა იკისრა იმის გაკეთება, რაც ლუი XIV-ის საფრანგეთში  
აკადემიის საზრუნავ საგანს წარმოადგენდა“ (არნ. ჩიქობავა). 1634  
წელს საფრანგეთში დაარსებულ აკადემიაში 36 წელი მუშაობდნენ ფრანგულ  
ლექსიკონზე. სულხან-საბა ლექსიკონზე დართულ „ანდერძნამაგში“  
გულისწუხილით წერს, რომ ქართულში ლექსიკონი აღარ იყო თუ  
უამთა ვითარებისგან დაკარგულიყო: „ქართულთა ენათა ლექსიკონი  
აღარ იპოებოდა, რამთუ უამთა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო...  
ვინათვან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თავისთა  
ნებაზეც გაერყვნათ. ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ, მიბრძანა  
ამისი ხელყოფა“.

ქართულად დაწერილი პირველი გრამატიკის ავტორია ზურაბ  
შანშოვანი – „მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა“ (1737 წ.,  
გამოიცა 1881 წელს პროფ. ალ. ცაგარლის მიერ).

ქართული ენათმეცნიერება კი სათავეს იღებს ცნობილი ქართველი სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწის ანტონ ჭირველის (ერობაში თეომურაზ ბაგრატიონი) გრამატიკიდან (1753წ.). ჩექომიშვილი ღრამმატიკა“ (გამოიცა 1885 წ.). ამ შრომამ უდიდესი გავლენა მოახდინა ქართულ გრამატიკულ აზროვნებაზე. ანტონ კათალიკოსმა შეიმუშავა მრავალი გრამატიკული ტერმინი, გასაოცარი ენობრივი ინტიუციით დაახასიათა ქართული ენის ურთულესი გრამატიკული სტრუქტურა (მაგ., ბრუნვათა ფუნქციები, ზნის პოლიპერსონალიზმი და სხვა კატეგორიები). შემდეგ დაიწერა ბევრი გრამატიკა (არისტო ქუთათელაძის, სილვან ხუნდაძის, დიმიტრი ყიფიანის, თედო უორდანის, მოსე ჯანაშვილისა და სხვ.), რომელთაც აშკარად ეტყობოდათ ანტონის გრამატიკის გავლენა.

1787 – 1791 წლებში პეტერბურგში დაიბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტური ნაშრომი – მსოფლიო ენათა ლექსიკონი, სადაც შევიდა ქართველური ენების ლექსიკაც.

პეტერბურგის უნივერსიტეტში XIX საუკუნის დასაწყისში სომხურ-ქართული ფილოლოგის კათედრის გახსნის შემდეგ ჩამოყალიბდა მძლავრი ქართველოლოგიური სკოლა, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები: დავით ჩუბინაშვილი, ალ-ცაგარელი, მოგვანებით – ნიკო მარი.

მოსკოვის უნივერსიტეტში მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდნენ იღია ოქრომჭედლიშვილი და ალ. ხახანაშვილი.

1812-1825 წლებში ახალი განმარტებითი ლექსიკონი შეადგინა ნიკო ჩუბინაშვილმა სულხან-საბას სალექსიკონო სისტემის მიხედვით.

1823 წელს პარიზის საზოო საზოგადოებში დაისვა საკითხი ქართული გრამატიკისა და ლექსიკონის შედეგის შესახებ. 1834 წელს პარიზში დაიბეჭდა აკად. მარი ბროსეს ქართული გრამატიკა, 1837 წელს – მისივე „ელემენტები ქართული ენისა“.

1845 წლიდან პეტერბურგში ქართული ენა შემოიღეს და ასწავლიდა პროფ. დავით ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი), რომელმაც გამოაქვეყნა ქართულ-რუსულ-ფრანგული, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები (1842-1891 წწ.).

1885 წლიდან პეტერბურგში უნივერსიტეტში გაიხსნა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი და გამოიყო ქართულ-სომხურ-თათრული განყოფილება. 1871 წლიდან ქართული ენის კათედრის

გამგე იყო პროფ. ალ. ცაგარელი. 1872 წ. დაიბეჭდა მისი შრომა: „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის ენათა ქართული ტერმინი მიმოხილვა“, ხოლო 90-იანი წლებიდან პეტერბურგში მთლიანობისა აკად. ნიკო მარი, ოომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ახალი ხანა ქართველური ენათმეცნიერების ისტორიაში. მან გამოსცა ლექსიკონები, ძველქართული ტექსტები, გრამატიკა, მრავალი ლინგვისტური გამოკვლევა. ნ. მარის მოწაფეები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, ვაკოლ ბერიძე, კარპეზ დონდუა, აკაკი შანიძე და სხვ. ძალზე მნიშვნელოვანი ნაშრომია ქართულ ლინგვისტიკაში ნიკო მარის „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები“.

1931 წელს პროფ. მორის ბრიერის თანავტორობით პარიზში გამოქვენდა ფრანგულად ნიკო მარის წაკითხული ლექციების მთლიანი კურსი ქართულ ენაში (800 გვ.).

1918 წელს თბილისში გაიხსნა უნივერსიტეტი, სადაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ საენათმეცნიერო სკოლას. სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტზე დაარსდა ორი კათედრა – ქართული ენისა და ზოგადი ენათმეცნიერებისა. პირველი კათედრის გამგები იყვნენ: პროფ. იოსებ ყიფშიძე, პროფ. გიორგი ახვლედიანი, ხოლო 1919 წლიდან – აკაკი შანიძე. ისინი ქართული საენათმეცნიერო სკოლის ფუძემდებლებად ითვლებიან.

1923 წელს გ. ახვლედიანის თაოსნობით შეიქმნა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“.

თბილისის უნივერსიტეტში აღიზარდნენ მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი მეცნიერები: არნ. ჩიქობავა, ივ. ჯავახიშვილი, ვარ. თოფურია, გიორგი წერეთელი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დაარსდა 1941 წელს, მასთან კი – ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

1950-1964 წლებში გამოქვეყნდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული (მთ. რედ. არნ. ჩიქობავა).

ანგარიშგასაწევია საზღვარგარეთული ქართველოლოგიის მიღწევები საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, ნორვეგიაში, აშერიკაში, იაპონიაში და სხვ.

ევროპაში ქართველოგიის მამამთავრად ითვლება აკად. მარი ბროსე (1802-1880). საინტერესო ნაშრომები აქვს გამოჩენილ

ავსტრიელ ლინგვისტს ჰუგო შუხარდტს, ბერლინის უნივერსიტეტის პროფ. რიხარდ მეკელაინს (მისი ქართულ-გერმანული ლექსიკონი დამუშავდა 1928წ., ბოლო 1937წ. - გერმანულ-ქართული ლექსიკონი. 1931 წ. გერმანული ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის). პროფ. გერმარდ დეეტერს („ქართული ზმა“, 1930 წ.), ნორვეგიელ პროფ. ჰანს ფოგტს (ვამოცემული აქვს ქართული ენის გრამატიკა ფრანგულად), ფრანგ პროფ. რენე ლაფონს (ბასკოლოგი) და სხვ.

ამერიკულ ქართველოლოგის საფუძველი ჩაუყარა პროფ. ჰოვარდ არონსონმა.

დღიდი როლი შეასრულა ქართველოლოგიურ კვლევაში 1948 წლიდან ჰარაზში გამოცემულმა „ბედი ქართლისა“ („რევიუ დე კარტველოლოგი“, რედ. კალისტრატე სალია), რომელმაც შემოიკრიბა უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგები.

1979 წლიდან იენაში გამოდის უურნალი „გეორგიკა“ (რედ. ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი, პროფ. ჰაინც ფენრიჩი).

ნაყოფიერ მუშაობს ეწეოდა ქართულ ენათმეცნიერებაში რუსი პროფ. გიორგი კლიმოვი („ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, 1964 წ.).

უცხოელი ქართველოლოგები იკვლევდნენ ქართველურ ენებს, თარგმნიდნენ ძველქართულ ტექსტებს, „ვეფხისტყაოსანს“, მხატვრულ ლიტერატურას.

დავასახელებთ ზოგ გამოჩენილ ქართველოლოგს:

საფრანგეთიდან: მარი ბრიერი, უორუ დიუმეზილი, შარლ მერსე, რენე ლაფონი, ბერნარდ უტიე...

გერმანიდან: გ. როზენი, ფრიდრიხ მიულერი, რიხარდ ერკერტი, რიხარდ მეკელაინი, ფრიდრიხ ცორელი, ფ. ნაისერი, ადოლფ დირი, იულიუს ასფალგი, კარლ ბოედა, გერტრუდ პეჩი, კარლ ჰორსტ შმიდტი (1962წ. კიბადენში გამოაქვეყნა შრომა სამხრეთკავკასიური ფუძების ბერათშემსახურლობის რეკონსტრუქციის შესახვე), ვინფრიდ ბოედერი, იოსტ გიპერტი, ჰაინც ფენრიჩი (რომელიც კავკასიოლოგიურ განყოფილებას უძღვება იენის უნივერსიტეტში), შტეფი იურგენ-ხოტივარი (ბერლინში)...

ავსტრიიდან: ჰუგო შუხარდტი, გერმარდ დეეტერსი...

ნორვეგიდან: ჰანს ფოგტი.

შვეიცარიაში მოღვაწეობდა ქართველი მეცნიერი ჭრა  
ჩხერიელი, რომელმაც გამოსცა ქართული ენის სახელმძღვანელო  
(„შესავალი ქართულ ენაში“ - 1959წ.) და 1960წელს უნივერსიტეტი  
ვრცელი ქართულ-გერმანული ლექსიკონის გამოცემა. ეს საქმე  
ბოლომდე მიიყვანეს მისმა მოწაფებმა, დღეს უკვე ხანდაზმულმა  
ქართველოლოგებმა: რუთ ნოიკომმა, ლეა ფლურმა და ოოლანდა  
მარშევმა (დიდი ხანი არაა, რაც ი. მარშევმა გამოსცა გერმანულ-  
ქართული ლექსიკონიც).

ინგლისიდან: სოლომონ სიზარ მილანი, უილიამ ალენი, დევიდ  
მარშალ ლანგი, რობერტ სტივენსონი, და-ბმა მარჯორი და ოლივერ  
უორდორპები, ქეთრინ ვივიენი, ჯორჯ ჰიუიტი...

ამერიკიდან: ლუის ფრენსის სოლან, პროფ. ჰოვარდ  
არონსონი (ამერიკული ქართველოლოგის ფუძემდებელი), ალისა  
ჰარისი, რობერტ ბლეიკი, დი-ენ ჰოლისკი, ინდიანის უნივერსიტეტში  
მოღვაწეობს დოდონა კიზირია...

ბელგიიდან: პოლ პეეტერსი, უერარ გარიტი, ა. ფაკობი, მიშელ  
ვან ესბროკი...

იტალიელი ლუიჯი მაგაროტო...

ისრაელიდან: იცხაკ დავითი, გერშონ წიწუაშვილი, კოტე  
ლერნერი, რუბენ ენუქაშვილი...

პოლანდიელი: ა. კოიპერსი, კ. ებელინგი.

უნგრელები: ბელა ვიკარი, მარტინ იშტვანოვიჩი, ლაიოშ  
ტარდი.

ჩეხები: იარომირ იედლიჩკა, ვრაცლავ ჩერნი...

პოლონელი იან ბრაუნი (ბასკოლოგი)

იაპონელი ტადეო შიმიიმუა, ახალგაზრდა იასუკირო კოჯიმა.  
ესპანელში: ა. ტოვარი, შ. ლიცუდია, ბასკი შამუელ კინტანა...  
უკრაინელი ხალიმონენკო და სხვ.

მსოფლიოს ბევრ უნივერსიტეტში შემოღებულია ქართული  
ენის კურსი, ასწავლიან ძველ ქართულ ლიტერატურას, ეთნოგრაფიას.  
ყოველივე ეს მოწმობს, რომ საქმაოდ დიდია ინტერესი ქართული  
ენისადმი მსოფლიოში და ცდილობენ ღრმად ჩასწვდნენ ამ უაღრესად  
როტულ, მაგრამ ძალზე საინტერესო და ენათმეცნიერული  
თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან ენას.

## ნაწილი მეორე: ა) კითხვარი

მოცემულ კითხვებს მოუძღვნეთ ქვემოთ ჩამოთვლილი პასუხებითაც შესაბამისი (ყველა პასუხი სწორია და შეესაბამება მხოლოდ უწითესობის კითხვას):

### I. ენები და ენათა ოჯახები

1. რომელ ენათა ოჯახში შედის ქართული ენა?
2. რომელ ენათა ოჯახში შედის რუსული ენა?
3. რომელ ენათა ოჯახში შედის ინგლისური ენა?
4. რომელ ენათა ოჯახში შედის ოსური ენა?
5. რომელ ენათა ოჯახში შედის ლათინური ენა?
6. რომელ ენათა ოჯახში შედის აზერბაიჯანული ენა?
7. რომელ ენათა ოჯახში შედის სომხური ენა?
8. რომელ ენათა ოჯახში შედის ძველი გერაული ენა (ივრითი)?
9. რომელ ენათა ოჯახში შედის ბასკური ენა?
10. რომელ ენათა ოჯახში შედის ყაბარდოული ენა?
11. რომელ ენათა ოჯახში შედის ჩინური ენა?
12. რომელ ენათა ოჯახში შედის ხუნძური ენა?
13. რომელ ენათა ოჯახში შედის ძველი ეგვიპტური ენა?
14. რომელ ენათა ოჯახს მიეკუთვნება ესტონური ენა?
15. რომელ ენათა ოჯახს მიეკუთვნება ჩეჩინური ენა?

### პ ა ს უ ხ ე ბ ი

1. განცალკევებით მდგომი ენაა.
2. თურქულ-ალათაურ ენათა ოჯახში.
3. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში (აფხაზურ-ადიღური ჯგუფი).
4. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში (დაღესტნური ჯგუფი).
5. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში (ნახური ჯგუფი).
6. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში (ქართველური ჯგუფი).
7. ინდოევროპულ ენათა ოჯახში (არმენული ენა).
8. ინდოევროპულ ენათა ოჯახში (გერმანიკული ჯგუფი).
9. ინდოევროპულ ენათა ოჯახში (ირანული ჯგუფი).
10. ინდოევროპულ ენათა ოჯახში (რომულური ჯგუფი).
11. ინდოევროპულ ენათა ოჯახში (სლავური ჯგუფი).
12. სემიტურ-ქამიტურ ენათა ოჯახში (სემიტური ჯგუფი)..

13. სემიტურ-ქამიტურ ენათა ოჯახში (ქამიტური კვეთი).
14. უნგრულ-უინურ ენათა ოჯახში.
15. ჩინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახში.

## II. ქართველური ენები

1. რომელი მონათესავე ენა გამოეყო ქართულ ფუძეენას ყველაზე ადრე?
2. რომელი ქართველური ენაა ავრცელებული თურქეთში?
3. რომელი ქართველური ენაა დიდი სალიტერატურო ტრადიციის მქონე?
4. რომელი კილო ითვლება ქართული სალიტერატურო ენის ფუძედიალექტზე?
5. დაასახელეთ ნახური ენები.
6. რომელია აფხაზური ქვევეგუფის ენა?
7. დაასახელეთ ადიღეური ენები.
8. რომელია დაღესტნური ენები?
9. რა უწოდა აკად. აკ. შანიძემ ქართველურ ენებს?
10. რომელია ე. წ. "ქოლხური" ენები?
11. ევროპაში გავრცელებული რომელი ენა ითვლება ზოგი მეცნიერის შეხედულებით იმერიულ-კავკასიურ ენად?
12. რა უწოდა ივ. ჯავახიშვილმა ჩრდილო კავკასიურ ენებს?
13. რა უწოდა აკად. ნ. მარმა ქართველურ ენებს?
14. რომელია უძველესი ცივილიზაციის გადაშენებული ენები მცირე აზიასა და მესოპოტამიაში (ანატოლიაში)?
15. რომელ ენებზეა შესრულებული "არმაზის ბილინგვა"?

კ ა ს უ ხ ე ბ ი

- |  |                            |
|--|----------------------------|
| 1. აბაზური.                                    | 13. ჩეჩენური, ინგუშური,    |
| 2. არამეული, ბერძნული.                         | წოვათუშური, ქისტური .      |
| 3. ბასკური.                                    | 14. ხუნძურ-ანდოურ-დიდოური, |
| 4. იაფეტური.                                   | ლაკური, ლეზგიური.          |
| 5. ლაზური.                                     | 15. ჰურიტული, ხეთური,      |
| 6. მეგრული, ჭანური (ანუ ლაზური).               | კლამური, შუმერული,         |
| 7. სეანური.                                    | ურარტული.                  |
| 8. ქამესური.                                   |                            |
| 9. ქართლური.                                   |                            |
| 10. ქართული.                                   |                            |
| 11. შარომატიული                                |                            |
| 12. ჩერქეზული (ადიღეური), ყაბარდოული, უბისური. |                            |

### III. ქართული ენის ნათესაობის თეორიები



1. რომელი გერმანული მეცნიერები თვლიდნენ უკანონობრივობის ინდოევროპული ენების მონათესავედ?
2. რომელი ფრანგი მეცნიერი აღიარებდა ქართულს ინდოევროპულ ენად?
3. რომელი მეცნიერი თვლიდა ქართულს სემიტურ ენად?
4. რომელი ონგლისელი მეცნიერი აღიარებდა ქართულს თურანულ-ალათაური ენების მონათესავედ?
5. რომელი ქართველი მეცნიერი იზიარებდა ქართული ენის განკურძობულობის თეორიას?
6. რომელი უცხოელი მეცნიერები უჭერდნენ მხარს ქართული ენის განკურძობულობის თეორიას?
7. რომელი მეცნიერები თვლიდნენ ბასკურს ქართული ენის მონათესავედ?
8. ვინაა ავტორი სამოგზაურო ჟანრის თხზულებისა ქართველთა და ესპანეთის იბერიელთა ნათესაობის შესახებ?
9. რომელი უცხოელი მეცნიერები აღიარებდნენ ქართულის ნათესაობას წინა აზიასა და ხმელთაშუა ზღვის აუზის უძველეს ენებთან?
10. რომელი ქართველი მეცნიერები ემსრობიან იმავე თეორიას?
11. რომელი მეცნიერები აღიარებდნ ქართულისა და მთის კავკასიური ენების ნათესაობის თეორიას?
12. რომელი უცხოელი მეცნიერები უარყოფენ ამ თეორიას?
13. რომელი ქართველი მეცნიერი არ იზიარებს ასევე ამ თეორიას?
14. რომელი ემიგრანტი ქართველი მეცნიერი იკვლევდა ქართულ-შუერულ ენობრივ პარალელებს?
15. რომელი მეცნიერები არიან ავტორები მონოგრაფიისა ქართული და ინდოევროპული ენების ისტორიული კონტაქტების შესახებ?

პ ა ს უ ხ ე ბ ი

1. მარი ბროსე.
2. ტიმოთე გაბაშვილი.
3. თამაზ გამყრელიძე, ვიაჩესლავ ივანოვი.
4. ადოლფ დირი, პეტერ შეხარდტი, ბორკი, კარსტი, ბლაიხშტაინერი, ზომერი, პიუსინგი., ვადინერი...
5. ვილჰელმ ლაიბნიცი, ფრანც ბოპი.

6. რენე ლაფონი, ჰუგო შეხარდტი, ალფრედო ტრომბეტი, ჰენრი  
ვინკლერი, კარლ ბოუდა
7. ნიკო მარი.
8. მაქს მიულერი.
9. ფრიდრიხ მიულერი, რიხარდ ერკერტი, ჰენრიხ კლაპროთი, შპიგელი,  
შლაიხერი.
10. ალ. სვანიძე, მიხაკო წერეთელი, ნიკო მარი, არნოლდ ჩიქობავა, გ.  
წერეთელი, ს. ჯანაშვილი, გ. ახვლედიანი.
11. პეტრე უსლარი, არნოლდ ჩიქობავა, ივანე ჯავახიშვილი.
12. კარლ შმიდტი, ნიკ. ტრუბეცკოი, გერმარდ დეეტერსი, ჰანს ფოგტი.
13. ალ. ცაგარელი.
14. მიხაკო წერეთელი.
15. გიორგი წერეთელი.

#### IV. ქართული ენის დიალექტები

1. ქართული ენის რომელი კილოკავია გავრცელებული ბალდათის,  
ხონის, სამტრედის რაიონებში?
2. ქართული ენის რომელ დიალექტზე ლაპარაკობენ ოზურგეთის,  
ლანჩჩუთის, ჩოხატაურის რაიონებში?
3. ქართული ენის რომელი დიალექტია გავრცელებული ლაჯანურის  
ხეობასა და ცაგერის რაიონში?
4. რომელი დიალექტია გავრცელებული ონისა და ამბროლაურის  
რაიონებში?
5. ქართული ენის რომელი სამხრული დიალექტია  
გავრცელებული ახალციხეში, ასპინძაში, ადიგენში?
6. ქართული ენის რომელი კილოა გავრცელებული ახალქალაქში,  
ასპინძაში, ბორჯომში?
7. ქართული ენის რომელი დიალექტია გავრცელებული  
შავიზღვისპირეთში (ხულოს, შუახევის, ხელვაჩაურის, ქედის  
რაიონებში)?
8. რომელია ქართული ენის აღმოსავლერი დიალექტი ბარში  
(საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღის,  
წითელწიფარის რაიონები)?
9. რომელი დიალექტია გავრცელებული ბოლნისის, ბორჯომის, გორის,  
დუშეთის, კასპის, მცხეთის, ხაშურის რაიონებში?



10. ქართული ენის რომელ დიალექტზე ლაპარაკობენ ჩრდილო კავკასიაში ?
11. ქართული ენის რომელი დიალექტები შედის ეწ. "ფხოურული დიალექტები" (დუშეთის, თანავალის, ერწო-თანავალის რაიონები) ?
12. ქართული ენის რომელი დიალექტია გავრცელებული არხოტში, შატილში, ბარისახოსა და ბაცალიგოში?
13. რომელია თურქეთში(ისტორიულ შავშეთ-კლარჯეთში) გავრცელებული ქართული ენის დიალექტი?
14. რომელია აზერბაიჯანში გავრცელებული ქართული ენის დიალექტი (კახის, ზაქათლის, ბელაქნის რაიონები) ?
15. ქართული ენის რომელ დიალექტზე მეტყველებენ ირანის ერთ-ერთ პროვინციაში (ისპაპანის მხარე) ?

### პ ა ს უ ხ ე ბ ი

1. აჭარული.
2. გურული.
3. იმერხეული.
4. ინგილოური.
5. კახური (ქიზიფურითურთ).
6. ლეჩხუმური.
7. მესხურ-ჯავახური კილოს მესხური კილოკავი.
8. მესხურ-ჯავახური კილოს ჯავახური კილოკავი.
9. რაჭული.
10. ფერეიდნული.
11. ქართლური.
12. ქვემოიმერული.
13. ყიზლარ-მოზდოკური.
14. ხევსურული.

15. ხევსურული, თუშური,  
მოხევური.

## V. ქართველური ენების დიალექტები



1. მეგრული ენის კილოები.
2. ლაზური ენის კილოები.
3. სვანური ენის კილოები ცხენისწყლის ხეობაში (ქვემო სვანეთში).
4. ზემო სვანეთში გავრცელებული კილოები (ენგურის ხეობაში).
5. რომელი ენები (თუ დიალექტები) შედის ზანურში?
6. რომელია ჭანური ენა?
7. დაასახელეთ ქართული ენის დასავლური დიალექტის კილოკავი (ჭათაურის, საჩხერის რაიონებში).
8. ქართული ენის დასავლური დიალექტის კილოკავი (ჭუთაისის, სამტრედიის, ვანის რაიონებში).
9. რომელია თუშური კილოს სხვაგვარი სახელწოდება?
10. დაასახელეთ ქართველური ენები.
11. რომელ დიალექტს იყენებდა დ.კლდიაშვილი პერსონაჟთა მეტყველებაში?
12. რომელ დიალექტს იყენებდნენ ე. ნინოშვილი და ნ. ლუმბაძე პერსონაჟთა მეტყველებაში?
13. რომელ დიალექტს იყენებდა ალ. ყაზბეგი თავის ნაწარმოებებში?
14. რომელ დიალექტს იყენებდნენ ბმები რაზიკაშვილები თავიანთ ნაწარმოებებში?
15. რომელ კილოზე წერს ლექსებს პოეტი ეთერ თათარაიძე?

პ ა ს უ ხ ე ბ ი

- |                                       |                    |
|---------------------------------------|--------------------|
| 1. ბალსხემოური, ბალსქევემოური.        | 12. ფშაური.        |
| 2. გურული.                            | 13. ქვემოიმერული.  |
| 3. ზემოიმერული.                       | 14. ჩაღმათუშური.   |
| 4. თუშური.                            | 15. ხოფური, ვიწურ- |
| 5. იმერული.                           | არქაბული, ათინური. |
| 6. ლაზური.                            |                    |
| 7. ლაშეური, ლენტეხური.                |                    |
| 8. მეგრულ-ჭანური.                     |                    |
| 9. მოხეური.                           |                    |
| 10. სენაკური, ზუგდიდურ-სამურზაყანული. |                    |
| 11. ქართული, სვანური, მეგრულ-ჭანური.  |                    |

## VI. დამწერლობის წარმოშობის ისტორია



1. ნახატების საშუალებით აზრის გაღმოცემა.
2. იდეის, ცნების გამოხატვა გრაფიკული ნიშნებით.
3. შემერთა დამწერლობის სახეობა.
4. მარცვლოვანი დამწერლობის სხვაგვარი სახელწოდება.
5. თანხმოვნური დამწერლობის სახელწოდება.
6. მსოფლიოში უძველესი ალფაბეტური (ანბანური) დამწერლობა.
7. უცხოური ენის გრაფიკული ნიშნებით ტექსტის თარგმანის ჩაწერა სხვა ენაზე.
8. ყოველ სტრიქონში წერის მიმართულების ცვლა.
9. ევროპის ქვეყნებში გავრცელებული დამწერლობების ამოსავალი ანბანი.
10. უკრაინული, აფხაზური, ოსური, შუა აზიის ენების დამწერლობათა ამოსავალი ანბანი.
11. სირიის, ლიბანის, ერაყის დამწერლობათა ამოსავალი ანბანი.
12. მხედრული ანბანის ადრინდელი სახეობა.
13. ქართული ანბანის უძველესი სახეობა.
14. ქართული ანბანის კუთხოვანი სახეობა.
15. ასომთავრულისა და ნუსხურის მეორენაირი სახელწოდება.

ვ ა ს უ ჩ ე ბ ი

1. არაბული.
2. ფინიკიური.
3. ბუსტროფედონური.
4. იდეოგრაფიული (იეროგლიფური) დამწერლობა.
5. კონსონანტური.
6. ლათინური.
7. ლურსმული.
8. მდივანმწიგნობრული.
9. მრგვლოვანი (ასომთავრული).
10. ნუსხური.
11. პიქტოგრაფიული დამწერლობა.
12. სილაბური.
13. სლავურ-კირილური.
14. ხუცური.
15. ჰეტეროგრაფია (ალოგლოტოგრაფია).

## VII. ქართული წარწერები და დამწერლობა



საქართველო  
გილეკიონი

1. ქართული დამწერლობათმცოდნეობის ფუძემდებელი.
2. პალესტინის წარწერების აღმომჩენი არქეოლოგი.
3. ვინ ამოიკითხა პირველად პალესტინის წარწერები?
4. რომელმა მეცნიერმა შეისწავლა და დაათარიღა პალესტინის წარწერები?
5. რომელი სასულიერო პირი და დიდი მოღვაწეა მოხსენიებული პალესტინის უძველეს წარწერაში?
6. ვინ არის ნახსენები პალესტინის შედარებით ახალ წარწერაში?
7. პალესტინის წარწერაში მოხსენიებული იატაკის მოზაიკის დამგები.
8. ბოლნისის სიონის წარწერაში ნახსენები პირები.
9. კოლხეთში არსებული დამწერლობის შესახებ პირველი ცნობის ავტორი.
10. ქართული დამწერლობის შემქმნელი, ლეონტი მროველის მიხედვით.
11. ქართული ანბანის შემქმნელი, სომხური ვერსიის თანახმად.
12. რომელი მეცნიერები მიიჩნევენ ქართულ ასომთავრულს უშუალოდ ფინიკურ-არამეული დამწერლობის საფუძველზე შექმნილად?
13. რომელი უცხოული მეცნიერები აკავშირებენ ქართულ ასომთავრულს ბერძნულ ანბანთან?
14. ქართული ანბანის წარმოშობის ბერძნული თეორიის მომხრე ქართველი მეცნიერები.
15. ვინ გაატარა ქართულ სალიტერატურო ენაში ორთოგრაფიული რეფორმა?

პ ა ს უ ხ ბ ი

1. ანტონი აბაი
2. ვ. გარდტპაუშენი, მარკვარტი, იუნკერი, ვინფრიდ ბოედერი.
3. დიმიტრი ბაქრაძე, დავით კარიჭაშვილი, პ. ქეკელიძე,  
3. ინგოროვა, ა. შანიძე, თ. გამყრელიძე, თ. ჩხერიძე.
4. მიქელ თარხნიშვილი.
5. იოსია.
6. ვირჯილიო კორბო.
7. ივ. ჯავახიშვილი, გ. წერეთელი, რამაზ პატარიძე,
8. მესროპ-მაშტოცი.

9. პეროზ მეფე, დავით ეპისკოპოსი, აზარუხტი, ფარნავაზი.
10. პეტრე იბერი (მარუანი).
11. აპოლონიოს როდოსელი.
12. ფარნავაზ მეფე.
13. გიორგი წერეთელი.
14. ილია ჭავჭავაძე.
15. ივანე ჯავახიშვილი.

### VIII. ქართული წარწერები, ხელნაწერები, ბეჭდური წიგნები

1. პალესტინის უძველესი ქართული წარწერების დათარიღება.
2. როდის აღმოაჩინეს პალესტინის წარწერები?
3. პალესტინის შედარებით ახალი წარწერის დათარიღება.
4. ბოლნისის სიონის წარწერების დათარიღება.
5. დავათის სტელის წარწერის სავარაუდო დათარიღება  
(რ. პატარიძის მოსაზრება).
6. წყისის წარწერის დათარიღება.
7. ქართული ეროვნული წელთაღრიცხვისა და მწიგნობრობის შემოღების თარიღი.
8. ბერძნული კლასიკური ანბანის ჩამოყალიბების თარიღი.
9. ქართული ასომთავრულის შექმნის თარიღი (რ. პატარიძის მიხედვით).
10. როდის შეიქმნა მსოფლიოში უძველესი ანბანური დამწერლობა?
11. როდის აღმოაჩინეს მცხეთაში "არმაზის ბილინგვა"?
12. როგორაა დათარიღებული სინური მრავალთავი?
13. როდის დაიბეჭდა რომში პირველი ქართული წიგნი – "ქართულ-იტალიური ლექსიკონი"?
14. როდის დაიბეჭდა პირველად "ვეფხისტყაოსანი" ქართულ სტამბაში?
15. როდის დაიბეჭდა რომში მარიო ფრანცისკ მაჯოს "ქართული ენის გრამატიკა"?

- |  |               |
|--|---------------|
| 1. 3500 წლის წინათ (ძვ. წ. XV-XIVსს.). | 9. 616-619წწ. |
| 2. ძვ.წ. 415წ.                         | 10. 864წ.     |
| 3. ძვ.წ. 403წ.                         | 11. 1629წ.    |
| 4. ძვ.წ. 284წ.                         | 12. 1643წ.    |
| 5. ახ.წ. 311წ.                         | 13. 1712წ.    |
| 6. 429-444წწ.                          | 14. 1940წ.    |
| 7. 493-494წწ.                          | 15. 1952წ.    |
| 8. 532-552წწ.                          |               |

### IX. ძველი ქართული წარწერები და ხელნაწერები

1. საქართველოში ახლახან აღმოჩენილი უძველესი ქართული წარწერა.
2. საზღვარგარეთ აღმოჩენილი ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული წარწერა.
3. პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერი.
4. უძველესი ხანძეტი ხელნაწერი.
5. რომელი ძეგლის წარწერაში გვჩვდება პირველად საქართველოში არაბული ციფრები?
6. რომელ ძეგლზეა ამოკაწრული თანამიმდევრულად და სრულად ქართული ასომთავრული ანბანი?
7. პირველი ქართული თარიღიანი წარწერა.
8. "შუშანიკის წამების" უძველესი ხელნაწერი.
9. პირველი ქართული თარიღიანი წარწერა.
10. VI-VII საუკუნეების ქართული წარწერები.
11. რომელ ხელნაწერშია აღნიშნული ქართული სანოტო ნიშნები?
12. საწერად ხალახლა გამოყენებული ეტრატი.
13. უძველესი კოლხური კარტოგრაფიული ჩანაწერები.
14. სანოტო ნიშნების სახელი მიქელ მოდრეკილის საგალობლებში.
15. სიტყვების შემოკლებით წერის მანერა ძველ წარწერებსა და ხელნაწერებში.



1. სამცხეში, წყისის წარწერა.
2. ბაგრატის ტაძრის წარწერა.
3. ბოლნისის სიონის წარწერა
4. დავათის ქვა-ჯვარი (სტელა).
5. დაქარაგმება.
6. კვირბები.
7. მაქელ მოდრეკილის იადგარი.
8. ნემები.
9. ნეკრესის წარწერა (ეპიტაფის ფრაგმენტი).
10. პალესტინის ბეთლემის მონასტრის წარწერა.
11. პალიმფსისტი.
12. პარხლის მრავალთავი.
13. სინური მრავალფაზული იმპერია.
14. ქართულ-ებრაული პა-ლიმფსისტი.
15. კვრის მონასტრის, უკანგორის, საკაკლუხ-ტის... წარწერები.

## X. ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია; უძველესი საექიმო წიგნები; ქართული ლექსიკონები, გრამატიკები

1. რომელი მეცნიერები გამოყოფდნენ ქართულ სალიტერატურო ენაში ძველ, საშუალ და ახალ ქართულს?
2. რომელი მეცნიერები გამოყოფდნენ ქართულ სალიტერატურო ენაში მხოლოდ ძველ და ახალ ქართულს?
3. რომელი მეცნიერი არ მიიჩნევს საჭიროდ ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციას?
4. ქართული ენის პირველი სამეცნიერო გრამატიკის ავტორი.
5. „უსწორო კარაბადინის“ ავტორი.
6. „წიგნი სააქიმოის“ ავტორი.
7. XVს-ში შექმნილი „სამკურნალო წიგნის“ ავტორი.
8. „იაღიგარ-დაუდის“ ავტორი.
9. ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნის“ ერთ-ერთი გადამწერი.
10. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ ქართველი შემდგენელი.
11. ამავე ლექსიკონის უცხოელი შემდგენელი.
12. თბილისის საენათმეცნიერო სკოლის ფუძემდებლები.

13. რომში დაბეჭდილი პირველი ქართული გრამატიკის ავტორი.
14. პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონის შემდგენელი.
15. ფრანგი ქართველოლოგი – ქართული გრამატიკის უკირარებელი გენერატორი.

### პ ა ს უ ხ ე ბ ი

1. ანტონ პირველი (კათალიკოსი).
2. მარი ბროსე.
3. დავით ბატონიშვილი (ბაგრატიონი).
4. რევაზ თვარაძე.
5. ნიკიფორე ირბახი (ჩოლოფაშვილი).
6. მცხეთის ქადაგი მახარებელ ივანიას-ძე მაღალაძე.
7. მარიო მაჯო.
8. სულხან-საბა ლობელიანი.
9. სტეფანე პაოლინი.
10. ზაჟა ფანასკერტელ-ციციშვილი.
11. ქანანელი.
12. იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი.
13. აკ. შანიძე, ივ. ქავთარაძე, ივ. გიგინეიშვილი, შოთა მიძიგური...
14. არნოლდ ჩიქობავა, ვარ. თოფურია, ფ. ერთეულიშვილი, კიშირია.
15. ხოჯაყოფილი.

### XI. ქართული სალიტერატურო ენა, ქართული ანბანის სახეები, ქართული სამედიცინო წიგნები

1. რომელ საუკუნეებს მოიცავს ძველი ქართული ენა?
2. რომელ საუკუნეებს მოიცავს საშუალი ქართული?
3. რომელი საუკუნეებს მოიცავს ახალი ქართული ენა (არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი)?
4. რომელი საუკუნიდან იწყება ახალი ქართული ენა (აკ. შანიძის თვალსაზრისი)?
5. რომელ საუკუნეში შეიქმნა ქართული ასომთავრული (რ. პატარიძის მოსაზრება)?



6. რომელ საუკუნეებში იყო გავრცელებული ნუსხური ანბანი?
7. რომელი საუკუნიდან იყენებდნენ მრგვლოვან ანბანს ასომთავრულებული (დიდ ასოებად)?
8. რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა მესროპ-მაშტოცი – სომხური ანბანის შემქმნელი?
9. როდის მეფობდა ფარნავაზი?
10. როდის შეიქმნა არქაული ბერძნული დამწერლობა?
11. რომელ საუკუნეებშია დაწერილი დავით ბაგრატიონის "იალიგარ-დაუდი"?
12. რომელ საუკუნეებში შეიქმნა ქართული ასომთავრული (თამაზ გამყრელიძის თვალსაზრისი)?
13. რომელ საუკუნეში დაიწერა ზაზა ფანასკერტელის "სამკურნალო წიგნი"?
14. რომელ საუკუნეში შეიქმნა ქანანელის "უსწორო კარაბადინი"?
15. რომელ საუკუნეში შეიქმნა ხოჯაყოფილის "წიგნი სააქიმოი"?

პ ა ს უ ხ ე ბ ი

- |                            |                  |
|----------------------------|------------------|
| 1. ძვ.წ. I ათასწლ. დასაწყ. | 9. X ან XIIს.    |
| 2. ძვ.წ. III ს.            | 10. XII-XVIIIსს. |
| 3. ძვ.წ. Vს.               | 11. XII-XXსს.    |
| 4. ას.წ. IVს.              | 12. XIIIს.       |
| 5. VIს.                    | 13. XVIს.        |
| 6. V-XIIსს.                | 14. XVIს.        |
| 7. IXს.                    | 15. XIXს.        |
| 8. IX-XIIსს.               |                  |

## ბ) ტესტები



1. რომელ ენათა ოჯახში შედის ქართული ენა?
  - ა. განცალკევებით მდგომი ენა.
  - ბ. თურანულ-ალათაურში.
  - გ. იბერიულ-კავკასიურში (აფხაზურ-ადიღეური ჯგუფი).
  - დ. იბერიულ-კავკასიურში (იბერიული ჯგუფი).
  - ე. ინდოევროპულში.
2. რომელ ენათა ოჯახში შედის ჩეჩენური და ინგუშური ენები?
  - ა. თურქულ-ალათაურში.
  - ბ. ინდოევროპულში (ირანული ქვეჯგუფი).
  - გ. სემიტურში.
  - დ. იბერიულ-კავკასიურში (დაღესტნური ჯგუფი).
  - ე. იბერიულ-კავკასიურში (ნახური ჯგუფი).
3. რომელ ენათა ოჯახში შედის ხუნძური (ავარული), ლაკური და ლეზგიური ენები?
  - ა. თურქულ-ალათაურში.
  - ბ. იბერიულ-კავკასიურში (დაღესტნური ჯგუფი).
  - გ. იბერიულ-კავკასიურში (ადიღეური ჯგუფი).
  - დ. ინდოევროპულ ენათა ოჯახში.
  - ე. სემიტურ ენათა ოჯახში.
4. რომელ ენათა ოჯახში შედის ყაბარდოული და უბიხური ენები?
  - ა. იბერიულ-კავკასიურში (დაღესტნური ჯგუფი).
  - ბ. იბერიულ-კავკასიურში (ჩერქეზული ანუ ადიღეური ჯგუფი).
  - გ. თურქულ-ალათაურ ენათა ოჯახში.
  - დ. სემიტურ ენათა ოჯახში.
  - ე. ინდოევროპულ ენათა ოჯახის ინდურ ჯგუფში.



5. რომელ ენათა ოჯახში შედის აბაზური ენა?  
ა. იბერიულ-კავკასიურში (აფხაზურ-ადილეური ჯგუფი).  
ბ. იბერიულ-კავკასიურში (იბერიული ჯგუფი).  
გ. იბერიულ-კავკასიურში (დაღესტნური ჯგუფი).  
დ. ინდოევროპულ ენათა ოჯახში.  
ე. თურქულ-ალათაურ ენათა ოჯახში.
6. რომელ ენათა ოჯახში შედის ჭანური ენა?  
ა. ინდოევროპულ ენათა ოჯახის ძველ ინდურ ჯგუფში.  
ბ. ინდოევროპულ ენათა ოჯახის კელტურ ჯგუფში.  
გ. სემიტურ ენათა ოჯახში.  
დ. თურქულ-ალათაურ ენათა ოჯახში.  
ე. იბერიულ-კავკასიურში (იბერიული ანუ ქართველური ჯგუფი).
7. რომელ ენათა ოჯახს მიეკუთვნება ქისტური და წოვათუშური ენები?  
ა. ინდოევროპულ ენათა ოჯახს.  
ბ. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის იბერიულ ჯგუფს.  
გ. იბერიულ-კავკასიურს (ნახური ანუ ვეინახური ჯგუფი).  
დ. იბერიულ-კავკასიურს (აფხაზურ-ადილეური ჯგუფი).  
ე. თურქულ-ალათაურ ენათა ოჯახს.
8. რომელ ენათა ოჯახს მიეკუთვნება ანდიური, დიდოური და ტაბასარანული ენები?  
ა. იბერიულ-კავკასიურს (აფხაზურ-ადილეური ჯგუფი).  
ბ. იბერიულ-კავკასიურს (დაღესტნური ჯგუფი).  
გ. იბერიულ-კავკასიურს (ნახური ანუ ვეინახური ჯგუფი).  
დ. ინდოევროპულს (ირანული ჯგუფი).  
ე. თურქულ-ალათაურ ენათა ოჯახს.
9. რომელ ენათა ოჯახს მიეკუთვნება ბასკური ენა?  
ა. იბერიულ-კავკასიურს (იბერიული ჯგუფი).

- ბ. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ადილეურ ჯგუფს.  
გ. ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანულ ჯგუფს.  
დ. ანატოლიის (მცირე აზიის) ენათა ჯგუფს.  
ე. განცალკევებით მდგომი ენაა.

10. რომელი ენათა ოჯახის რომელ ჯგუფს მიეკუთვნება  
ლათინური ენა?  
ა. ინდოევროპულ ენათა ოჯახის გადაშენებულ ენათა  
შტოს გერმანიკულ ჯგუფში.  
ბ. ინდოევროპულ ენათა ოჯახის კელტურ ჯგუფს.  
გ. სემიტურ ენათა ოჯახის აქადეურ ჯგუფს.  
დ. ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანულ ანუ იტალიკურ  
ჯგუფს.  
ე. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ბასკურ ჯგუფს.


11. რომელ ენათა ოჯახს მიეკუთვნება ოსური ენა?  
ა. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფს.  
ბ. იბერიულ-კავკასიურს (დაღესტნური ჯგუფი).  
გ. ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ჯგუფს.  
დ. ინდოევროპულ ენათა ოჯახის ინდურ ჯგუფს.  
ე. თურქულ-ალათაურ ენათა ოჯახს.

12. რომელია აფხაზური ქვეჯგუფის ენა?  
ა. ავარული (ხუნძური). ბ. აბაზური. გ. ჩერქეზული.  
დ. ჩეჩინური. ე. ქისტური.

13. რომელ ენათა ოჯახს მიეკუთვნება აზერბაიჯანული ენა?  
ა. იბერიულ-კავკასიურს (დაღესტნური ჯგუფი).  
ბ. იბერიულ-კავკასიურს (ადილეური ჯგუფი).  
გ. თურქულ-ალათაურ ენათა ოჯახს.  
დ. ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ჯგუფს.  
სემიტურ-ქამიტურ ენათა ოჯახს.

14. რომელ ენათა ოჯახს მიეკუთვნება სომხური ენა?  
 ა. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს.  
 ბ. სემიტურ ენათა ოჯახს.  
 გ. თურქულ ენათა ოჯახს.  
 დ. ინდოევროპულ ენათა ოჯახს.  
 ე. მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვის უძველეს ენებს.
15. რომელი ენაა აგლუტინაციური?  
 ა. ლათინური.      ბ. ინგლისური.      გ. ქართული.  
 დ. რუსული.      ე. გერმანული.
16. რომელ მორფოლოგიურ (სტრუქტურულ) ტიპს განაკუთვნებენ რუსულს?  
 ა. ფლექსიურს (ანალიზური ჯგ.).  
 ბ. ფლექსიურს (ანალიზური ჯგ.).  
 გ. აგლუტინაციურს.      დ. ძირულს.  
 ე. პოლისინთეზურს.
17. რომელ ენათა ტიპს მიეკუთვნება ინგლისური ენა?  
 ა. ფლექსიურს (ანალიზური ჯგ.).  
 ბ. ფლექსიურს (სინთეზური ჯგ.).      გ. ძირულს.  
 დ. პოლისინთეზურს.      ე. აგლუტინაციურს.
18. ჩამოთვლილთაგან რომელი ენაა ყველაზე გავრცელებული მსოფლიოში?  
 ა. ინდური.      ბ. ესპანური.      გ. ინგლისური.  
 დ. რუსული.      ე. ფრანგული.
19. რომელი არაა მკვდარი ენა?  
 ა. ლათინური.      ბ. სანსკრიტი.      გ. შუმერული.  
 დ. ხეთური.      ე. ივრითი (ებრაული ენა)..

20. რას უწოდებდა ივ. ჯავახიშვილი ჩრდილო ქავებულებებს (ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის საფუძველზე)?
- შარომატიულს.
  - იაფეტურს.
  - ქამესურშარიული.
  - ალაროდიულს.
  - კელტ-ირნიულს.
21. რომელია ე. წ. "კოლხური" ენები?
- მეგრული და ლაზური.
  - ქართული და სვანური.
  - ლაზური და სვანური.
  - ლაზური და ქართული.
  - ზანური და სვანური..
22. რომელი მონათესავე ენა გამოეყო ქართულ ფუძეენას ყველაზე ადრე?
- ქართული.
  - მეგრული.
  - ჭანური.
  - სვანური.
  - ბასკური.
23. რომელია ქართველური ენები?
- სვანური, ადიღეური, ლაკური.
  - მეგრული-ჭანური (ზანური), სვანური, ქართული.
  - მეგრულ-ჭანური, წოვათუშური.
  - ჩეჩინური, ქართული, ხუნძური.
  - ქართული, ბასკური.
24. რომელი ქართველური ენაა გავრცელებული თურქეთში?
- მეგრული.
  - სვანური.
  - იმერხეული.
  - ლაზური.
  - ფერეიდნული.
25. რომელი ქართველური ენაა სალიტერატურო?
- ბასკური.
  - მეგრული.
  - ქართული.
  - სვანური.
  - ჭანური.
26. რომელია დაღესტნური ენები?
- ყაბარდოული, უბიზური.
  - ჩეჩინური, ინგუშური.
  - ქართული, სვანური.
  - ადიღეური, ლაკური.
  - ხუნძური, ანდიური, დიდოური, ლეზგიური.



27. რას უწოდებდა აკად. ნ. მარი ქართველურ ენებს?  
ა. ქამესურს.      ბ. კოლხურს.      გ. იაფეტურს.  
დ. შარომატიულს.
28. რომელია ადიღეური ენები?  
ა. ჩეჩნური, ინგუშური.      ბ. აფხაზური, აბაზური.  
გ. ჩერქეზული, ყაბარდოული, უბისური.  
დ. ქართული, მეგრული. ე. ხუნძური, ანდიური,  
დიდოური..

29. რომელია ნახური ენები?  
ა. ჩეჩნური, ინგუშური, წოვათუშური, ქისტური.  
ბ. ადიღეური, ყაბარდოული. გ. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური.  
დ. ლეზგიური, ლაკური.  
ე. მეგრული, სვანური, ჩერქეზული.
30. ევროპაში გავრცელებულ რომელ ენას თვლის ზოგი  
მეცნიერი იბერიულ-კავკასიურ ენად?  
ა. ესპანურს.      ბ. იტალიურს.      გ. ბასკურს.  
დ. კელტურს.      ე. ტოქარულს.

31. რომელია აფხაზური ქვევეუფის ენა?  
ა. დიდოური.      ბ. სვანური.      გ. ჩეჩნური.  
დ. აბაზური      ე. მეგრული.

32. რომელია ადიღეური ქვევეუფის ენა?  
ა. ავარული(ხუნძური).      ბ. სვანური.      გ. ჩეჩნური.  
დ. ლაკური.      ე. ჩერქეზული.

33. რომელია უძველესი ცივილიზაციის გადაშენებული ენა  
მცირე აზიასა და მესოპოტამიაში (ანატოლიაში)?  
ა. ლათინური.      ბ. ყივჩალური.      გ. შუმერული.  
დ. კედური.      ე. ლაოსური.

34. რომელი კილო ითვლება ქართული სალიტერატურო  
ენის ფუძედიალექტად?  
 ა. იმერული.      ბ. გურული.      გ. ქართლურობრივი  
 დ. ქიზიყური.      ე. მესხური. შემდეგით ეს
35. რას უწოდებდა აკადამიურ ენებს?  
 ა. კოლხურს.      ბ. იაფეტურს.      გ. ქამესურს.  
 დ. შარომატიულს.      ე. იბერიულს
36. რომელია თურქეთში გავრცელებული ქართული ენის  
დიალექტი (ისტორიულ შავშეთ-კლარჯეთში)?  
 ა. ინგილოური.      ბ. იმერხეული.      გ. ლაზური.  
 დ. აჭარული.      ე. ჯავახური.
37. ქართული ენის რომელი დიალექტია გავრცელებული  
ხულოს, შუახევის, ხელვაჩაურის, ქედის რაიონებში?  
 ა. ინგილოური.      ბ. იმერხეული.      გ. ლაზური.  
 დ. აჭარული.      ე. ფერეიდნული.
38. ქართული ენის რომელი კილოკავია გავრცელებული  
ბაღდათის, ხონის, სამტრედიის რაიონებში?  
 ა. ზემოიმერული.      ბ. ქვემოიმერული.      გ. გურული.  
 დ. აჭარული.      ე. სამტრედიული.
39. რომელი დიალექტია გავრცელებული ბოლნისის,  
ბორჯომის, გორის, დუშეთის, კასპის, მცხეთის,  
ხაშურის რაიონებში?  
 ა. კახური.      ბ. ქიზიყური.      გ. ქართლური.  
 დ. ინგილოური.      ე. იმერხეული.
40. რომელია აზერბაიჯანში გავრცელებული ქართული ენის  
დიალექტი (კახის, ზაქათლის, ბელაქნის რაიონებში)?  
